ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№260 (319) 11-18 მარტი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

მეგობრები გვილოცავენ სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” დაარსებიდან 15 წლის იუბილეს

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” თავმჯდომარეს, ცნობილ ქართველ მეცნიერსა და პოლიტიკოსს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, სახალხო მოძრაობის აქტივს და მის ყველა წევრს!

ძვირფასო მეგობრებო,

მოგესალმებით და გულითადად მოგილოცავთ თქვენი ორგანიზაციის დაარსებიდან მე-15 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს თქვენს საქმიანობაში, რაც მიმართულია საქართველოს აღორძინებისა და გამთლიანებისაკენ!

თქვენ, ბატონო ალექსანდრე, თქვენს თანამებრძოლებთან ერთად, მართლაც დაუჯერებელი გმირობა და სიმტკიცე გამოიჩინეთ, რადგან აღნიშნული საზოგადოებრივი მოძრაობა დააფუძნეთ მაშინ, როცა ძალზე დიდი იყო ერთი მუჭა პუტჩისტებისა და ყაჩაღების იარაღის წყალობით ქვეყნის სათავეში მოსული ცენტრალური ხელისუფლების აგრესია სამეგრელოსა და მისი მოსახლეობის მიმართ. ეს **“გასაგებიც”** გახლდათ, რადგან სწორედ სამეგრელომ გამოუცხადა სრული უნდობლობა შევარდნაძის კრიმინალურ რეჟიმს და გზას უკეტავდა აფხაზეთის გასაძარცვად დაძრულ ქართულ შეიარაღებულ ბანდფორმირებებს, რომელთაც წინასწარ ჰქონდათ გამიზნული საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ჩამოშორება დედა-სამშობლოსაგან. დიახ, აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორება ხორციელდებოდა მაღალ კაბინეტებში დაგეგმილი ბინძური გეგმის თანახმად, რომელსაც თავკაცობდა შევარდნაძე, და რომელსაც ეხმარებოდნენ **“აფხაზეთის გულშემატკივარი”**, სინამდვილეში კი სკამს ჩაფრენილი არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსები და კიტოვან-იოსელიანის ყაჩაღები, მოქმედებდნენ რა საძრახისი პრინციპით: **“სახლი გეწვოდეს, ხელი მაინც მოითბე”!**

და მოემართებოდა თბილისისაკენ ნაძარცვ-ნაოხრალი ქონებით დატვირთული ავტომანქანების კოლონები და სარკინიგზო ეშელონები...

ბუნებრივია, რომ სწორედ მეგრელთა მართებულმა და მამულიშვილურმა საპროტესტო განწყობამ გამოიწვია ამ ანტიძალების გულისწყრომა და სიძულვილი მეგრელებისა და სამეგრელოს მიმართ, რაც გამოიხატა ამ უმშვენიერესი კუთხის არაერთგზის აწიოკებით, გადამწვარ-გადაბუგული სახლებით, დაბომბილი მარტვილით, მხეცურად დახვრეტილი უდანაშაულო ადამიანებით...

ძნელია ყველა იმ სისაძაგლის ჩამოთვლა, რაც მაშინ შევარდნაძის კრიმინალურმა ხელისუფლებამ სამეგრელოში ჩაიდინა!

და, სამეგრელოსა და სრულიად საქართველოს საბედნიეროდ, თქვენ სწორედ მაშინ დააფუძნეთ სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** და, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, წინ აღუდგეთ ქვეყნის მძარცველ პუტჩისტთა რეჟიმის ძალადობრივ მოქმედებებს, რაც ნამდვილად გმირობის ტოლფასი გახლდათ! და ის, რომ, დღეს ხელისუფლება, ავად თუ კარგად, ყურადღებას აქცევს საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს და მეგრული ენისა და და კუთხის წარსულისადმი ადრინდელ ხელისუფალთა მსგავსად ზიზღსა და აგრესიას არ ამჟღავნებს, სწორედაც რომ პირადად თქვენი და თქვენი თანამებრძოლების დიდი დამსახურება გახლავთ!

ნაპო მესხია,
პროფესორი

მეგობრებო, მოგესალმებით და გილოცავთ სახელოვან იუბილეს!

მე, როგორც ისტორიკოსმა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თქვენი ძალისხმევით შექმნილმა სახალხო მოძრაობა **“სამეგრელომ”** უკვე დაიკავა ღირსეული ადგილი საქართველოს ისტორიაში. ისიც ფაქტია, რომ სახალხო მოძრაობა არ ღალატობს ისტორიულად ჩამოყალიბებულ რეალობას და, შეიძლება ითქვა, რომ ყველაზე მეტად გულშემატკივრობს საქართველოს და თავდაუზოგავად იბრძვის მისი ტერიტორიული გამთლიანებისათვის. და თუ რომელიმე ხელისუფალთაგანი ამას ჯიუტად ვერ ამჩნევს, იგი ან უგუნურია, ან სამშობლოს მოღალატე, რომელიც არად დაგიდევს ქვეყნის ბედს.

თქვენი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მაშინ, როცა ძალზე უჭირდა ერთიანი საქართველოს შემადუღაბებელ, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანს – სამეგრელოს (სამწუხაროდ, მას დღესაც ძალიან უჭირს) და სწორედ თქვენმა ომახიანმა შეძახილმა დააფრთხო შევარდნაძის კორუმპირებული ხელისუფლება და აიძულა იგი, რომ შეეწყვიტა სამეგრელოს გენოციდი და მეტი ყურადღება მიექცია ამ კუთხისათვის.

სწორედ თქვენმა ხელმძღვანელმა ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ დაუდგა ზუგდიდში (საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთი) ხელთუქმნელი ძეგლი საქართველოს ერთადერთ კანონიერ პრეზიდენტს სულმნათ ზვიად გამსახურდიას, რაც მის მიმართ ღრმა პატივისცემით განაწყობს სრულიად საქართველოს.

საკმარისია გაეცნოთ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ფუნდამენტურ ნაშრომს **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა”**, წამსვე დარწმუნდებით, რომ საქმე გაქვთ გამჭრიახ პოლიტიკოსთან და ღრმად მოაზროვნე მეცნიერთან, რომელსაც სწორი გზით მიჰყავს სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”**. ეს გზა კი არის ერთადერთი და სრულიად უალტერნატივო – კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა ძნელბედობის ჟამს ჩვენს მფარველ რუსეთთან, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტირებული საშუალება გახლავთ! მტრად არავინ უნდა მოვიკიდოთ და, მით უმეტეს, მტრად არ უნდა ვაქციოთ იქ ქვეყანა, რომელმაც დაშლილ-დანაკუწებულად შეგვირთა, გაგვამთლიანა, გაგვამრავლა, გაგვაძლიერა ეკონომიკურად, სულიერად, კულტურულად და მსოფლიოში ანგარიშგასაწევ ქვეყნად გვაქცია. უმადურობა სრულიადაც არ გახლავთ ქართული თვისება, უმადურობას მხოლოდ ქართულ გვარ-სახელებს ამოფარებული გადამთიელები ამჟღავნებენ და მას ქართველი ერის სულისკვეთებად ასაღებენ, რაც დიდი და უპატიებელი დანაშაულია.

სწორედ ამგვარ სიმახინჯეს ებრძოდით თქვენ, დაარსების დღიდან, და თქვენს ყველაზე დიდ გამარჯვებად მიმაჩნია ის, რომ ქართველ ხალხს სწამს თქვენი, ქართველ ხალხს სჯერა თქვენი, ქართველი ხალხი უყოყმანოდ გამოგყვებათ თქვენ!

მაგრამ უფრო დიდი გამარჯვებები წინ გელით, მეგობრებო, რადგან თქვენი საქმე სამშობლოსა და მშობლიური ხალხის სიყვარულზეა დაფუძნებული!

კლიმენტი შელია,
ისტორიკოსი, აკადემიკოსი,
საქართველოს მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

დროში ნაწრთობი სახალხო მოძრაობა

ზუსტად 15 წელიწადი გასულა სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** დაფუძნების დღიდან.

ეს ის წლებია, როცა საქართველოს არამც მავანნი დაღუპვისკენ კისრისტეხით მიაქანებენ.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** მიზანი არასდროს ყოფილა მხოლოდ სამეგრელოს ყოფითი პრობლემების მოგვარება. ეს ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია შექმნას **„ქართველი ერის გამაერთიანებელი იდეოლოგიური პლატფორმა“, „ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომლიც მზად იქნება, პასუხისმგებლობა აიღოს საქართველოს მომავალზე“** (ალ. ჭაჭია).

დიდი ილიას ცნობილი შეფასება სამეგრელოს როლის და ფუნქციის შესახებ მთლიანად საქართველოსთვის, მარტო ლიტერატურის მოყვარულთა სენტენცია არ არის. იგი დღევანდელობისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო და არსებითი გახდა, ვიდრე იყო რუსეთის იმპერიის არწივის ფრთებქვეშ მოქცეული საქართველოსთვის.

15-წლიანი წრთობა საკმარისია. სახალხო მოძრაობა **„სამეგრელომ“** დროის გამოცდას გაუძლო, შეიმუშავა იდეოლოგიური პლატფორმაც, პროგრამაც და ჩამოაყალიბა ისეთი გუნდიც, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობა აიღოს საქართველოს მომავალზე.

გამარჯვებას ვუსურვებ სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** მომავალ პოლიტიკურ ბრძოლებში!

თენგიზ კუბლაშვილი

მარად გამარჯვების გზით გევლოთ, მეგობრებო!

ჭეშმარიტად სასიხარულო მოვლენა გახლავთ, რომ უკვე 15 წელიწადია მაღალნაყოფიერად იღვწის სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”**, რომელიც ძნელბედობის ჟამს შეიქმნა და დაარსების დღიდანვე უწევდა უძნელეს გზაზე სიარული.

სამეგრელოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული შევარდნაძე-იოსელიანის ბანდფორმირებების თარეშით და ომით მიყენებული უმძიმესი ჭრილობები, დიდი ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა სრულიად საქართველოში, არ იყო წყალი, შუქი, ელექტროენერგია... კორუმპირებული ხელისუფლება გაურკვეველი მიმართულებით მიაქანებდა ქვეყანას, როგორც დიდმა პოეტმა თქვა: **“არსაიდან ხმა, არსით ძახილი!”**, უიმედობამ წალეკა საქართველო გაიზარდა თვითმკვლელობათა რიცხვი, საღამო ჟამს ქუჩაში გამოსვლა საშიში იყო, რადგან შეიძლებოდა მძარცველის ძალადობის მსხვერპლი გამხდარიყავი. ადარ ჩანდა ხვალინდელი დღის პერსპექტივა და როცა ქართულმა საზოგადოებამ ღამის საბოლოოდ ჩაიქნია ხელი მომავალზე, სწორედ მაშინ შემოაბიჯა ქართულ პოლიტიკაში ახალგაზრდა პოლიტიკოსმა ალექსანდრე ჭაჭიამ, რამაც მეხის გავარდნის ეფექტი მოახდინა.

რეალურ პოლიტიკურ კონკურენციას მიუჩვეველმა სახელისუფლებო ძალებმა, რომლებიც **“ხელების გადაგრეხვისა”** და დიდი ფულის ხარჯვის გამოისობით მიაქანებდნენ ქვეყანას დაღუპვისაკენ, წასვე იგუმანეს, რომ პრინციპული, პატიოსანი და მოუსყიდავი ნიჭიერი კაცის ქართულ პოლიტიკაში მოსვლა კარგს არაფერს უქადდა მათ და ამიტომაც გადაწყვიტეს მისი გადმობირება: შესთავაზეს მაღალი თანამდებობა, ყოველნაირი კეთილდღეობა, მაგრამ ვერანაირად ვერ შეუცვალეს მრწამსი და შემდეგ ღია ტერორზე გადავიდნენ, მაგრამ უტეხი სულის პოლიტიკოსი მაინც ვერ დააშინეს.

ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა იარაღის ძალით საქართველოს ხელისუფლებაში მოსული შევარდნაძე ყოველი საძრახისი მეთოდების გამოყენებით ცდილობდა მისი ესოდენ მოძულე სამეგრელოს დაჩოქებას და ამაში მას მხარს უბამდნენ მისი მონამორჩილი თანამზრახველები. ცნობილია შევარდნაძის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ იგი სიამოვნებით დაუსერავდა სხეულს მეგრელებს და მარილს ჩააყრიდა შიგ. მანამდე კი მან კაციჭამიები შეუსია სამეგრელოს, ყოველნაირად დაასუსტა ერთ დროს ეს უძლიერესი კუთხე, რათა აფხაზეთის გასხვისება გაადვილებოდა. იოსელიანის **“მხედრიონელები”** დაუნდობლად უსწორდებოდნენ სამეგრელოს მოსახლეობას – უწვავდნენ სახლ-კარს, ძარცვავდნენ, მშობლების თვალწინ აუპატიურებდნენ ქალიშვილებს და ხოცავდნენ ყმაწვილებს. და ეს კეთდებოდა ერთგვარი სიამოვნებით, **“სამშობლოს გადარჩენის”** განცდით. და იმდენად დიდი გახლდათ სამეგრელოს კუთხისადმი სხვა კუთხეების გაუცხოება და ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ზიზღი, რომ ამ განცდამ ინერციით მოიტანა თავი ღამის მეოცე საუკუნის დასასრულამდე. სწორედ მაშინ გამოიჩინეს დიდი გმირობა ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ და მისმა თანამოაზრეებმა და დაადგეს ფუძვნეს სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”**.

როგორც იტყვიან, კიდევ ერთხელ **“გავარდა მეხი”** შევარდნაძის კორუმპირებული და ძირგამომპალი პარტნომენკლატურისათვის და სხვა არგუმენტი რომ ვერ მოძებნეს, ჭაჭიას და მის თანამებრძოლებს ე.წ. **“მეგრულ სეპარატიზმში”** დასდეს ბრალი.

მაგრამ წლები გავიდა და, მიუხედავად ავისმსურველთა ყარყაშისა, სახალხო მოძრაობა **“სამეგრელომ”** დიდი ძალისხმევა გასწია ქვეყნის გადასარჩენად, ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად და იმ კოლხურის ცივილიზაციის ფესვების გამოსავლენად, რომელიც სამართლიანად ითვლება მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად. სწორედ სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** და მისი ხელმძღვანელის ინიციატივით დაიდგა ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ძეგლი, ჩატარდა ყრილობები და სხვა ღონისძიებები, სისტემატურად გამოდის გაზეთები **“ილორი”** და **“საქართველო და მსოფლიო”**, ჟურნალი **“აია”**, სხვადასხვა სახის პოლიტიკური ლიტერატურა.

სწორედ სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ძალისხმევამ მოუდო ბოლო უსაგნო საუბარს ე.წ. **“მეგრული სეპარატიზმის”** თაობზე, რომელსაც აღვივებდნენ სწორედ ხელისუფლების მიერ შეგულიანებული ღვინჯილიები და მსგავსნი მისი.

მართლაც რომ სახელოვანია თქვენს მიერ განვლილი 15 წელიწადი, მეგობრებო, რასაც კეთილი გულით გილოცავთ და გისურვებთ გამარჯვების გზით სიარულს!

ვახტანგ გვარამია

ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს ცნობილი მეცნიერის არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი – "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.

რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

ცნობილი აფხაზი სწავლული, ისტორიკოსი-კავკასიოლოგი, პედაგოგი და სახელმწიფო მოღვაწე ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე დაიბადა 1920 წლის 22 აპრილს, ქალაქ გაგრაში. იგი აღიზარდა ოჯახში, რომელიც გამოირჩეოდა დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებით.

მისმა პაპამ – ტარას ზურაბის ძე ანჩაბაძემ, რომელიც 1859 წელს დაიბადა სამურზაყანოს ულამაზეს სოფელ ოტობაიაში, ჯერ სტავროპოლის გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ კი კურსკის სამხედრო სასწავლებელი და მეფის არმიის კადრის ოფიცერი გახდა. იგი მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში, შემდეგ კი ცუსიმის საბრძოლო მოქმედებებში გადაისროლეს და აქედან გავიდა თადარიგში პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით. 1907 წელს იგი ერთხმად აირჩიეს ქალაქ სოხუმის მმართველობის წევრად. სწორედ მის კალამს ეკუთვნის აფხაზეთის მაღალმთიანი სოფლის ფსხუს მოსახლეობის **"გამუჰაჯირებისა"** და სამშობლოდან განდევნის ტრაგიკული მოვლენების აღწერა, ქმნიდა ლექსებსაც...

მათ ოჯახში 6 შვილი აღიზარდა და ექვსივემ სათანადო განათლება მიიღო. ზურაბის მამა – ვიანორი – სოხუმში დაიბადა, ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია და წარმატებით გაიარა სასწავლო სემესტრები პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელში. აქტიურად მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, რისთვისაც დაჯილდოვდა რამდენიმე ორდენითა და მედლით. 1918 წელს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, არჩეულ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრად, შემდეგ კი, 1937 წლის რეპრესიამდე, მუშაობდა აფხაზეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისრად. დაიღუპა 1938 წელს.

მამის დაღუპვისას ზურაბი მხოლოდ 17 წლისა იყო, უსამართლო რეპრესიებს შეეწირა მისი დედაც, შესანიშნავი ექიმი – ვერა ანდრიას ასული შენგელაია, მაგრამ ამან სულით ვერ გატეხა ნიჭიერი ყმაწვილი – ზურაბი წიგნებს დაეწაფა, იყო აქტიური სპორტსმენი, კარგად თამაშობდა ფეხბურთს...

ზურაბმა 1941 წელს განსაკუთრებული წარჩინებით დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ისტორიული მეცნიერებით გატაცებულ ყმაწვილს ყურადღება მიაქციეს პროფესორმა სერგი კაკაბაძემ და აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ. სწორედ მათი რჩევით ჩაბარა ზურაბმა გამოცდები ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში და სულმნათი სწავლულის სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით გაიარა საფუძვლიანი საწყისი სამეცნიერო წრთობა.

ზურაბმა საკანდიდატო დისერტაცია 1948 წელს დაიცვა თემაზე – **"სამეგრელო და აფხაზეთი მე-17 საუკუნეში"**, 1960 წელს კი მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა მისი სადოქტორო ნაშრომი თემაზე – **"აფხაზეთის შუასაუკუნეობრივი ისტორია (აფხაზთა ეთნიკური განვითარება და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები)"**, 1963 წელს მას მიანიჭეს პროფესორის წოდება, 1980 წელს კი არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ზურაბ ანჩაბაძე განსაკუთრებულად იყო გატაცებული აფხაზი ხალხის ისტორიით, დიდი სიყვარულით არჩევდა და შეიმუშავებდა აფხაზეთთან დაკავშირებულ კარდინალურ საკითხებს, რომელიც გადმოგვცა მონიოგრაფიებში: **"აფხაზეთის VI-XVII საუკუნეების ისტორიიდან"**, **"ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა"**, **"აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევები"** და სხვა. ლიტერატურული და ისტორიული წყაროების სკურპულოზური და მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვლია აფხაზთა ტომების ისტორია, მათი წარმომავლობა, აფხაზეთში დასახლების ეტაპები, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეტაპები, კულტურა, სხვა ცივილიზაციებთან ურთიერთობა... იგი აფხაზი ხალხის უშუალო წინაპრებად მიიჩნევდა აფსილებსა და აბაზგებს, დაამტკიცა მათი გენეტიკური კავშირი თანამედროვე აფხაზ ხალხთან!

ზურაბ ანჩაბაძის კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური შრომები აფხაზეთის ფეოდალურ ეპოქასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ფეოდალიზმი აფხაზეთში საბოლოო სახით ჩამოყალიბდა მე-8 საუკუნეში.

ზურაბ ანჩაბაძე ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა **"აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევების"** შექმნაში. სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა პირველი სახელმძღვანელო აფხაზეთის უმაღლესი სასწავლებლებისათვის – **"აფხაზეთის ისტორია"**, აქტიურად მონაწილეობდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის და სხვა ენციკლოპედიებისათვის აფხაზეთთან დაკავშირებული ისტორიული მასალების მომზადებაში.

ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძის კალამს ასევე ეკუთვნის რიგი ნაშრომებისა აფხაზეთის ისტორიოგრაფიაში, სადაც იგი მაღალპროფესიულად მიმოიხილავს შორეულ ისტორიულ წყაროებს, რამაც ჩამოაყალიბა აფხაზმცოდნეობის ისტორიული მიმართულებები ცნობილ აფხაზ მეცნიერებთან გიორგი ძიძარიასთან, შალვა ინალ-იფასთან და სხვებთან ერთად. ბუნებრივია, რომ ისტორიული მეცნიერება მუდამ ერთ ადგილს არ ტკეპნის და ზურაბ ანჩაბაძის სამეცნიერო თვალსაზრისს დღეს წარმატებით ანვითარებენ მისი მემკვიდრე ახალგაზრდა აფხაზი მეცნიერები.

ზურაბ ანჩაბაძემ საკმაოდ დიდი შრომა გასწია საქართველოს შუასაუკუნეობრივი ისტორიის შესწავლისა და დაზუსტების საქმეში. მან, როგორც აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიების შესანიშნავმა მცოდნემ, სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად თანმიმდევრულად შეისწავლა აფხაზებსა და ქართველებს შორის საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობები და აქტიური მონაწილეობა მიიღო **"საქართველოს ისტორიის ნარკვევების"** რვატომეულის შედგენაში, იყო მესამე ტომის თანაავტორი და თანარედაქტორი, რისთვისაც დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით.

ზურაბ ანჩაბაძე გახლდათ **"კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის"** ორტომეულის გამოცემის ინიციატორი, თანარედაქტორი და თანაავტორი, რომელიც 1969 და 1978 წელს გამოვიდა ქართულ ენაზე და მოიცვა პერიოდი 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი ვ. გაჯიევი, ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე გახლდათ არა მხოლოდ დიდი ისტორიკოსი-კავკასმცოდნე, არამედ წყაროთმცოდნეც, არქეოგრაფიცა და დამხმარე ისტორიული საგნების უბადლო მცოდნეც, რომელიც ღრმად იყო გაცნობილი კავკასიის არქივებს.

ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე, ასევე, დიდ დროს და ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო-ორგანიზატორულ საქმიანობას. იგი იყო აფხაზეთის დიმიტრი გულიას სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების გამგე, შემდეგ კი, წლების განმავლობაში, თავკაცობდა კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზურაბ ანჩაბაძის დიდი როლი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში როგორც აფხაზეთის, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების სამეცნიერო დაწესებულებებისათვის. იგი 60-ჯერ გამოვიდა მოხსენებებით, როგორც ოპონენტი, სხვადასხვა სამეცნიერო დისერტაციების დაცვისას, იყო ოცამდე საკანდიდატო დისერტაციისა და ექვსი სადოქტორო დისერტაციის მაძიებლის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რაც თავისთავად მეტყველებს ამ მართლაც დაუღლელი მარჯვენის მქონე ადამიანის სამეცნიერო პოტენციალზე.

ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე მაღალნაყოფიერად უთავსებდა ერთმანეთს სამეცნიერო-ორგანიზატორულ და პედაგოგიურ საქმიანობას. იგი სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციების კურსს მოსკოვის, თბილისის, ყაბარდინო-ბალკარეთის და აფხაზეთის უნივერსიტეტებში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ისტორიაზე ლექციების კურსს კითხულობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ეს მოხდა 1957-58 სასწავლო წელს, როცა ინსტიტუტის რექტორის გიორგი ძიძარიას ინიციატივით აფხაზეთის ისტორიის კურსი სასწავლო საგნად დაუწესდათ ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. იგი არჩეული იყო სსრკ და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, არაერთგზის დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, იყო **"სსრკ განათლების სისტემის დამსახურებული მუშაკი"**.

დიდი აფხაზი მეცნიერი გარდაიცვალა 1984 წლის 14 იანვარს, 64 წლის ასაკში, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში. ეს გახლდათ ჭეშმარიტად დიდი დანაკლისი მსოფლიო ისტორიული მეცნიერებისათვის. პროგრესული კაცობრიობის მეხსიერებას ზურაბ ანჩაბაძე შემორჩება როგორც გენიალური მკვლევარი, პრინციპული მეცნიერი და მოქალაქე, გულისხმიერი ადამიანი, დიდი მეცნიერი-კავკასიოლოგი...

მეგობრებო, გილოცავთ სახელოვან იუბილეს!



სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** 15 წლისაა! ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს გახლდათ უძნელესი 15 წელიწადი, რადგან საქართველოს მაშინდელი მეგრელთ-მოძულე ხელისუფლება დიდი აგრესიით შეხვდა ამ აშკარად მამულიშვილური საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნას!

ჩვენ ნამდვილად გვეამაყება, რომ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გახლავთ აფხაზეთის ულამაზეს კუთხეში – ოჩამჩირეში დაბადებული და აღზრდილი პრინციპული პიროვნება, პირუთვნელი პოლიტიკოსი, არსებული პოლიტიკური სიტუაციის რეალურად შემფასებელი ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც დიდ შრომას ეწევა მეგრული ენის გადასარჩენად და განსავითარებლად. ამიტომაც სარგებლობს იგი დიდი პატივისცემითა და ნდობით როგორც საქართველოში, ასევე აფხაზეთში.

სწორედ ბატონი ალექსანდრეს დამსახურება გახლავთ ის, რომ სისტემატურად გამოდის სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** სახედ ქცეული ყოველკვირეული გაზეთი **"ილორი"**, რომელსაც სიამოვნებით ვეცნობით აფხაზეთში, რადგან იგი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე აშუქებს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ განვითარებულ მოვლენებს, დაუნდობლად ებრძვის უმდიდრესი მეგრული ენისა და კუთხის ლამაზი ტრადიციებისადმი ნებისმიერ მტრულ გამოვლინებას.

გისურვებთ წარმატებებს მომავალ საქმიანობაში!

ამასთან, სამახსოვროდ გიძღვნით, ჩვენს მიერ გამოცემულ, ქალბატონ ნარგიზა ბასარიას წიგნს **"ჩქინი ნინა"**, შემდეგი წარწერით: "Дорогой Роланд. Примите памятный подарок первого мегрельского сборника-монографию на мегрельском языке, в честь Вашей пропагандической деятельности по развитию мегрельского языка".

პატივისცემით,

ნუგზარ სალაყაია,
გაზეთ "Гал"-ის მთავარი რედაქტორი,
აფხაზეთი, გალის რაიონი

აფხაზეთის სასამართლო ჯერჯერობით ვერ ახერხებს ანქვაბზე თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილის დაკითხვას

აფხაზეთში უკვე მერამდენე თვეა გრძელდება სასამართლო პროცესი, რომელზეც განიხილება აფხაზეთის პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმის საქმე. მაგრამ, სასამართლო ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ საქმეში მონაწილე ერთ-ერთი ბრალდებულის ანზორ ბუტბას დაკითხვას.

როგორც საინფორმაციო სააგენტო **"აფსნი პრესი"** იუწყება, რამდენიმე ხნით ადრე სასამართლოს სხდომა გადაიდო ადვოკატ ომარ ბერულავას შუამდგომლობის საფუძველზე, რომელმაც განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, არ შეუძლია სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება და ჩვენების მიცემა. მისი განცხადებით ბუტბამ თავი შეუძლოდ იგრძნო იმ შეურაცხყოფის გამო, რაც მას დაუსაბუთებლად მიაყენეს სასამართლო პროცესზე. მან, ასევე, პროცესის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, რაც ხშირად ირღვევა ბუტბას მიმართ, რადგან მას სისტემატურად მოიხსენიებენ **"ბანდის ორგანიზატორად"**.

ამის საპასუხოდ სახელმწიფო ბრალმდებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანზორ ბუტბას ადვოკატის ომარ ბერულავას საქციელი, ხშირ შემთხვევაში, არაკორექტული და შეურაცხმყოფელია.

სასამართლომ ხანმოკლე თათბირის შემდეგ დააკმაყოფილა ომარ ბერულავას შუამდგომლობა და რამდენიმე დღით გამოაცხადა შესვენება. მაგრამ, სამწუხაროდ, ბრალდებულის დაკითხვა ვერც სხდომების განახლების შემდეგ მოხერხდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილის ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე მისვლა ვერ მოახერხა. მოსამართლე იძულებული შეიქმნა, რომ საკითხის განხილვა კვლავ გადაედო რამდენიმე დღით.

აფხაზეთის უმაღლესმა სასამართლომ პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბზე განხორციელებული თავდასხმის საქმის განხილვა, რომლის დროსაც დაიღუპა აფხაზეთის სახელმწიფო დაცვის სამსახურის ორი თანამშრომელი, დაიწყო 2013 წლის ნოემბერში. დამნაშავეთა მიმართ წაყენებული ბრალი დამძიმებულია წინასწარ-განზრახული მკვლელობის მუხლით.

პრინციპულობითა და კორუფციისადმი შეურიგებელი დამოკიდებულებით გამორჩეულ აფხაზეთის პრეზიდენტ ანქვაბზე რამდენიმე თავდასხმა მოეწყო, თუმცა ტერორისტების ყოველი შემოტევა წარუმატებლად დასრულდა. თავდასხმები მოეწყო 2007 წლის 9 ივლისს, 2011 წლის აგვისტოსა და ნოემბერში, 2012 წლის იანვარსა და თებერვალში. აქედან სამი თავდასხმის ორგანიზებაში ბრალი წარედგინათ ანზორ ბუტბას, რამზი ხაშიგს, ასტამურ და ალხას ხუტაბებს. კიდევ ერთი ბრალდება, მაგრამ სიკვდილის შემდეგ, წარედგინა ალსამბეი ქჩაჩს. მისმა ნათესავებმა მოითხოვეს ქჩაჩის საქმის სასამართლოში გადაგზავნა ბრალდებულის რეაბილიტაციის მოთხოვნით.

2007 წლის თავდასხმის ორგანიზების ბრალდება, რომლის დროსაც დაიღუპა აფხაზეთის სახელმწიფო დაცვის სამსახურის ორი თანამშრომელი, წარედგინათ თამაზ ბარციცს, ედლარ და ედგარ ჭითანავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები სამეგრელოდან

მარტვილში სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება დაიწყო

ამას წინათ, მარტვილის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა, **„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“** ფარგლებში, მოსახლეობისათვის დასარიგებელი ბარათები გადასცეს სოფლის რწმუნებულებს. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ფერმერები, მიწის ფართობების მიხედვით, დაიყო ორ კატეგორიად და მიიღებენ სხვადასხვა ოდენობის სარგებელს. ეს კატეგორიებია: ა) ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთი, მიიღებენ აგრო-ბარათებს, რომელზეც 50 ლარის შესაბამისი 50 ქულა იქნება დარიცხული. ბ) ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0.25 ჰა-დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები მიიღებენ, როგორც **„აგრო-ბარათს“**, ასევე სასოფლო-სამეურნეო ბარათს ჰექტარზე 140 ლარის გაანგარიშებით. **„აგრო-ბარათების“** მიღება ფერმერებს **„ლიბერთი ბანკის“** ბანკის ფილიალში შეუძლიათ 6 თვის განმავლობაში.

ფაქტია, რომ სწორედ ამგვარი ღონისძიებების გააქტიურება გახლავთ მომავალი წარმატების გარანტი, რაც ესოდენ აუცილებელია ჩვენი შერყეული ეკონომიკისათვის.

დავით ნარმანიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2014 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებ ისაუბრა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში სამეგრელო-ზემო სვანეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე მინისტრმა გუბერნატორს, გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს 2014 წელს რეგიონში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

წელს სამეგრელო-ზემო სვანეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაა. დამტკიცებული პროექტების მიხედვით, ზუგდიდში დაგეგმილია ხუბულავას ქუჩის რეაბილიტაცია. ამავე ქუჩაზე აშენდება სანიაღვრე კოლექტორებიც.

2014 წელს განსახორციელებელ პროექტებს შორის ჭარბობს წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების, აგრეთვე ნაპირსამაგრი პროექტები.

რეგიონში განსახორციელებელი სამუშაოების მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებს. დაგეგმილია ზუგდიდი-ჯიხაშკარი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზაზე გამორეცხილი მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები; ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზის მონაკვეთზე არსებული სახიდე გადასასვლელებისა და მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დავით ნარმანია შეხვედრაზე საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრად აირჩიეს.

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა, „მცირემეწარმიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის რწმუნებულებს მოსახლეობისათვის დასარიგებელი „ხვნის ბარათები“ გადასცეს. რწმუნებულები ვალდებულნი არიან პროექტის მოსარგებლეებს გადასცენ მათი კუთვნილი ბარათი და აუხსნან სარგებლობის პირობები. შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ ითვალისწინებს სოფლად მაცხოვრებელთა ხელშეწყობას მათი მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოყალიბების მიზნით.

ბენეფიციარები ისარგებლებენ ორი ტიპის ბარათით:

1) ნიადაგის ხვნის სამუშაოებისათვის დარიგდება სასოფლო–სამეურნეო ბარათი;

2) სასოფლო-სამეურნეო საქონლის მისაღებად, გასული წლისგან განსხვავებით, წელს ფერმერები ისარგებლებენ "ლიბერთი ბანკის" პლასტიკური ბარათით, ე.წ. "აგრო-ბარათით", რომელზეც დაერიცხებათ 50 ლარის შესაბამისი 50 ქულა (1 ქულა-1 ლარი). "აგრობარათების" მიღება ფერმერებს "ლიბერთი ბანკის" ფილიალებში 6 თვის განმავლობაში შეეძლებათ.

მიმდინარეობს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძრის მოხატვა

სენაკის, ჩხოროწყუსა და ავსტრალიის მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძრის მოხატვა. უკვე თითქმის სრულდება საკურთხევლის მოხატვის ძირითადი ნაწილი. მაცხოვრის ცენტრალური ფიგურა დედა ღვთისმშობელსა და იოანე ნათლისმცემელს შორის საოცრად ამაღლებულ განწყობას უქმნის მნახველს. ავტორი ამ მადლმოსილი შემოქმედებისა არის ხატმწერი ზურაბ მოდებაძე. აღსანიშნავია, რომ მოხატვა ტაძრისა ბატონი გოჩა დგებუაძის ოჯახის შემოწირულობით დაიწყო და მას თანდათან სხვა მსურველებიც შემოუერთდნენ. ტაძარში ხატწერითი სამუშაოების გაგრძელებასა და ბოლომდე მიყვანას დიდი თანხები სჭირდება. იმედია, ჩვენი თანამოქალაქეების სახით კიდევ ბევრი შემწე და ქველმოქმედი გამოუჩნდება ამ საღვთო საქმეს.

რა მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების შეცვლას, თუ პოლიტიკის წარმართვაში არაფერი შეიცვლება

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის დ. პესკოვის განცხადება, რომ ზამთრის ოლიმპიადის მიმდინარეობისას პუტინი შესაძლებელია შეხვედროდა უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტებს, თავის დროზე, მწვავე განხილვის საგანი გახდა. მარგველაშვილის პუტინის შეხვედრას ალბათ მხოლოდ გაცნობითი ხასიათი ექნებოდა. თუმცა, ეს არ მოხდა. ცხადია ,პირადი ურთიერთობა მუდამ ატარებს პოზიტიურ ხასიათს. ეტყობა ჩვენმა პრეზიდენტმა ამერიკის ელჩის რჩევა გაითვალისწინა და არ ჩავიდა სოჭში.

რიჩარდ ნორლანდმა, თურმე, ბრძანების ტონში განუცხადა მარგველაშვილს: **„შეგიძლიათ ყველას ევაჭროთ, ვაშინგტონის გარდა! გადაწყვეტილებას არ შევიცვლით და ჩვენთან ვაჭრობა არც იფიქროთო!“**

სოჭის ოლიმპიადის გახსნის დღეს პუტინმა ამჯერად თავად ბრძანა, რომ იგი მზად არის შეხვდეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელს, თუ ამას თავად საქართველო ისურვებს. ამ მესიჯმა დაადასტურა, რომ კრემლი მზად არის მოუსმინოს საქართველოს და ეტყობა მოსკოვსაც აქვს სალაპარაკო. რა იქნება ეს, ჯერ უცნობია. დღეს ქვეყნის ხელისუფლებას აქვს კი იმის პოლიტიკური ნება, რომ მოუსმინოს რუსეთის პრეზიდენტს? განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ამერიკაში შეხვდა ობამასა და თეთრი სახლის მაღალჩინოსნებს?

როგორც ახლახან დაანოსდა, გადაიდო კარასინი-აბაშიძის შეხვედრაც, რომელიც მარტის პირველ ნახევარში უნდა გამართულიყო.

ჩვენ ვიცით რა ფასად დაუჯდა ქვეყანას მჯიღისა და ცრუ მუქარის პოლიტიკა რუსეთის მიმართ. ჩრდილოელ მეზობლებთან ურთიერთობა განიხილებოდა თითქმის სახელმწიფო დანაშაულად. აიკრძალა სიმღერები, რუსული სწავლების საათები მინიმუმამდე შემცირდა სკოლებში. და კიდევ რა სისულელე არ მოიფიქრა **„ნაცმოძრაობამ“**. საფასურად მივიღეთ ასობით ადამიანის დეპორტაცია და დიპლომატიური ურთიერთობის ჩამოშლა.

თუ ახალი ხელისუფლება კვლავ ჯიუტად გააგრძელებს ნაცების პოლიტიკას, გაექცევა ახალ გამოწვევას, რბილად, რომ ვთქვათ, ამერიკელების გულის მოფხანის მდგომარეობიდან არ გამოვა, კვლავ გახანგრძლივდება ჩრდილოელ მეზობლებთან დამოკიდებულების ახალ ამპლუაში გადაყვანა. ეს კი უვადოდ გადადებს ჩვენი ძირძველი ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივასა და დეოკუპაციის საკითხს.

ცხადია, ქვეყნის საგარეო ურთიერთობის პრიორიტეტად კვლავ რჩება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რაშიც რუსეთს შეუძლია გადამწყვეტი როლის შესრულება. ამიტომ, საგარეო ურთიერთობა მეზობელ ქვეყანასთან უნდა განთავისუფლდეს პირადული შეხედულებებისა და ბოღმიანი დამოკიდებულებისაგან. იგი უნდა დაუბრუნდეს ცივილური ლოგიკის ჩარჩოს. ჩვენი სამერმისო მოქმედებები ლავირების, მანევრირებისა და ტაქტიკურ სვლების **„ორბიტაში“** უნდა მოექცეს. მარადიულ მტრებად დარჩენა, ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება, საბოლოოდ დაგვაკარგვინებს ჩვენს ძირძველ ტერიტორიებს.

ნაცმოძრაობისაგან სულ გვესმოდა ერთდა იგივე: ევროკავშირი და ამერიკა, ამერიკა და ევროკავშირი. თითქოს სარწმუნელა იყოს, აიწონა-დაიწონა. ვითომც მხოლოდ ისინი გაგვხდიან ბედნიერს, ლაღს, უსაფრთხოს. ცხადია, ამერიკა გახდა მთავარი მოთამაშე საქართველოს პოლიტიკაში. მაგრამ მოლოდინის ნერწყვს დღემდე ვყლაპავთ და, სამწუხაროდ, ოცი წელია ერთ ადგილს ვტკეპნით.

დღემდე არცერთმა ხელისუფალმა არ გამოიჩინა კეთილი ნება ქვეყნის ერთიანობისთვის გონივრული ნაბიჯი გადაედგა. საკუთარი უსუსურობის მისაჩქმალად **„მოდაში“** იყო რუსების გინება და **“ოკუპანტად”** მოხსენიება. ეს ფორმალურად წარსულს ჩაბარდა, მაგრამ როცა კრემლმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ მოუსმენდა საქართველოს, მაშინ ღარიბაშვილი ვაშინგტონში გავარდა ახალი დივიდენდების მისაღებად. და, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი დაიმედეს რომ ყველაფერი კარგად იქნება. შევალთ ევროკავშირში და მივიღებთ **„მაპს“**.

მეგონა, რომ პუტინის მინიშნებას გაიგებდა ხელისუფლება როგორც გამოწვევას, თუნდაც გამოძახილს, გამოფხიზლდეს საქართველოს ახალი მთავრობა, რომ მიჯაჭვულები არ ვყოფილვიყავით ერთ ქვეყანაზე. ეტყობა, ოკეანის გადაღმელები უშლიან საქართველოს ხელისუფალთ რუსეთთან ურთიერთობის დათბობაში. მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ცალ ფეხზე კიდიათ ჩვენი ეროვნული სატკივარი.

2004 წელს პუტინი ბაქოში ჩამოვიდა. ვიწრო წრეში რუსეთის პრეზიდენტს უთქვამს, **„საქართველოში ჩამოვალ, თუ სააკაშვილი მომიწვევს და ქართველებს, აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემების ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებაში მივეხმარებიო“.**

მგონია, ამაზე უკეთესი სხვა შესაძლებლობა არ ჰქონიათ საქართველოს ხელისუფალთ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ორჯერ შეატყობინეს პრეზიდენტ სააკაშვილს, მაგრამ ორჯერვე მიიღეს პასუხად, ამ თემაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს დაელაპარაკეთო. როგორც კედელი აისხლიტავს ქვას, ისე აისხლიტა სააკაშვილმა შესაძლებლობა დაკარგული ტერიტორიების თემაზე რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგი გაემართა. იგი თვალების გიჟური ცეცებით მუდმივად აბრიყვებდა მოსახლეობას, როყიო ხმით აცხადებდა: **„ყველა საშუალებას გამოვიყენებ, თუნდაც ის სიცოცხლის ფასად დამიჯდესო“**. მაგრამ ეს გამოდგა მაცდური ფარსი.

ცხადია, სააკაშვილს საკუთარი პრეზიდენტობა აღელვებდა, საკუთარი სავარძლის შენარჩუნების მანია ბოჭავდა. ამერიკელების ხელდასმული, რუსეთის პრეზიდენტს ვერ მოიწვევდა. რა იცვლება იმ მანიერი პოლიტიკიდან? არც არაფერი.

ამ **„შანსის“** ხელიდან გაშვება იყო აშკარა ღალატი. ჩვენთვის მიუღებელია ორი რამ: პირველი – რაც ხელყოფს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და მეორე – რაც დაემუქრება პოლიტიკურ სუვერენიტეტს. სხვა შემთხვევაში ყოველგვარ მოლაპარაკებაზე წასვლა უპრიანია, ეს მით უფრო მაშინ, როცა ქვეყანას მოსაგვარებელი აქვს ყველაზე საოცნებო საკითხი – ტერიტორიული გამთლიანების პრობლემა. ასეთ დროს ნებისმიერი საშუალების გამოყენებას მოსახლეობა მიესალმება.

დარწმუნებული ვარ, მოსახლეობაში რომ მოეწყოს კვლევა და დადგეს არჩევანის საკითხი – **„ტერიტორიული მთლიანობა თუ ნატო, რას დაუჭერდით მხარს?”** ცხადია, მათი აბსოლუტური უმრავლესობა უპირატესობას მიანიჭებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ეს აქსიომაა. აქსიომაა ისიც, რომ ტერიტორიები დაკარგა ჩვენმა თაობამ. ამიტომ, სწორედ ჩვენი თაობის უდიდესი სატკივარია ქვეყნის გამთლიანება, მომავლის წინაშე შერცხვენილები, უნიათოები და უვიცები არ წავრსდგეთ. ყველამ ძალიან კარგად იცის, ერისთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება შეუძლებელი რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე.

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით ვერ ვხედავ ჩამოყალიბებულ ეროვნულ ძალას, რომელიც მართლა ქვეყნის მთავარი პრიორიტეტებისთვის იბრძოლებს. ყველა იბრძვის საკუთარი ადგილისა და განდიდებისთვის.

მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ქვეყნის სათავეში უნდა იყოს დამოუკიდებელი, ნეიტრალური ადამიანი, რომელიც ეცდება მონახოს საერთო ენა, უპირველესად, მეზობელ ქვეყნებთან. აუცილებელია, აფხაზებთან და ოსებთან დიალოგი რუსების მონაწილეობით, საერთო კავკასიური ერთობის შექმნა და ურთიერთობის მოწესრიგება, ანუ, ახალ კონფიგურაციაზე მუშაობა. და ეს უნდა იყოს ეტაპობრივი, რომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ კერას დაუბრუნდეს დევნილი მოსახლეობა, რომლის საარსებო პირობები გაუსაძლისია ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში.

ცხადია, სააკაშვილმა შეიყვანა ღრმა ჩიხში საქართველო – რუსეთის ურთიერთობა და ახლაც, საპრეზიდენტო მოვალეობიდან წასვლის შემდგომაც, ხელიდან არ უშვებს შანს, გადმოანთხიოს შხამი ჩრდილოელი მეზობლის მიმართ. არის თუ არა ეს მტრობა ქართველი ერისადმი? არის, რასაკვირველია. ქვეყნის საგარეო ურთიერთობაში უხეში ჩარევის უფლება მას არ აქვს.

მგონია, რომ მესამე შანსი არ იქნება. ახლა უნდა გვეყოს შინაგანი ძალა, რომ ამერიკის შეპირებების მიუხედავად, მათგან ცარიელი იმედების დაანონსების მიუხედავად, მოვუსმინოთ მოსკოვს, იქნებ რას გვთავაზობს?

ვფიქრობ და ვერ გამიგია, რისთვისაა ხელისუფლების შეცვლა საჭირო, თუ პოლიტიკაში არაფერი შეიცვლება. დღეს ამერიკასა და რუსეთს შორის უფრო მნიშვნელოვანი საკითხი დგას ვიდრე საქართველოა. ორი გიგანტი ქვეყანა მსოფლიო ჰეგემონობაზე ფიქრობს და გაირჯება კი ამერიკა ჩვენნაირი პატარა ქვეყნების მდგომარეობის მოგვარებაზე?

რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა ხუბუტიამ, გაახმოვანა, რომ ის ელაპარაკა პუტინს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილზე და ამით გარკვეული სამომავლო მესიჯი მოგვცა, მაგრამ უკვე არავინ იცის – შედგება კი რუსეთ-საქართველოს ხელისუფალთა შეხვედრა ახლო მომავალში, რადგან საქართველოს ხელისუფლება და პარლამენტი ახლა დაკავებულია ვილნიუსის სამიტის მოსალოდნელ შედეგებზე ფიქრით.

იმედი ვიქონიოთ, ქართველი მოსახლეობა ამჯერადაც არ გაწბილდება.

ბორის დავითაია,
პროზაიკოსი, მეცნიერებათა აკადემია „აიას“ ნამდვილი წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმბერტო ეკოს წერილი შვილიშვილს

"დაიზეპირე"– ასე უწოდა თავის საახალწლო მიმართვას შვილიშვილისადმი იტალიელმა მწერალმა და ფილოსოფოსმა უმბერტო ეკომ. შემთხვევით როდი დაურქმევია ეს სახელწოდება – ბარათი მიუძღვნა ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც ჰქონდა და აქვს ადამიანს – მეხსიერებას. წერილი მართლაც შთამბეჭდავია, ამიტომაც ვუზიარებთ ჩვენს მკითხველს.

– ჩემო ძვირფასო შვილიშვილო, არ მინდა, რომ ეს საშობაო წერილი მეტისმეტად დამრიგებლურად ჟღერდეს, დე ამიჩისის მსგავსად, გასწავლიდეს მოყვასის, კაცობრიობის სიყვარულს და მსგავს რამეებს. შენ ამას არც მოუსმენდი (უკვე დიდი ხარ, მე კი – მეტისმეტად მოხუცი), რადგან ფასეულობების სისტემა იმდენად შეიცვალა, ჩემი რეკომენდაციები შეიძლება უადგილოც კი აღმოჩნდეს.

მაშ ასე, მინდა ერთადერთი რჩევა მოგცე, რომელიც შეიძლება პრაქტიკულად გამოგადგეს უკვე ახლა, როცა შენს პლანშეტში ხარ თავჩარგული. არ მოგცემ შენიშვნას, რომ შეეშვა მაგ საქმიანობას, რათა სულელ მოხუცად არ ჩამთვალო. მით უმეტეს, თავადაც ვიყენებ მას.

უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება გირჩიო, ყურადღება არ შეაჩერო ასობით პორნოგრაფიულ საიტზე, რომლებიც სექსუალურ თამაშებს წარმოაჩენენ ადამიანებს შორის, ადამიანსა და ცხოველებს შორის.

არ დაიჯერო, რომ სექსუალური ურთიერთობები ამ საკმაოდ მონოტონურ ქმედებებამდე მიდის. ეს სცენები იმისთვის არის მოფიქრებული, რომ შენ სახლში დაგაბან, იმის ნაცვლად, რომ წახვიდე და რეალური გოგონები გაიცნო.

ვიმედოვნებ, ჰეტეროსექსუალი ხარ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი რეკომენდაციები შენი სიტუაციის შესაბამისად მიიღე, ოღონდ უყურე გოგონებს სკოლაში და სათამაშო მოედნებზე, მერწმუნე, ისინი სატელევიზიო პერსონაჟებს სჯობიან და ოდესმე გაცილებით დიდ სიხარულს გაჩუქებენ, ვიდრე გოგონები **"onlain"**.

დამიჯერე, რადგან მე მეტი გამოცდილება მაქვს (მე რომ მხოლოდ კომპიუტერით მეყურებინა სექსუალური თამაშებისთვის, მამაშენი არასდროს დაიბადებოდა და არც შენ გაჩნდებოდი ამ ქვეყნად).

თუმცა, მე ამაზე სულაც არ მსურდა შენთან საუბარი, არამედ დაავადებაზე, რომელმაც შთანთქა შენი და წინამორბედი თაობა, რომელიც უკვე უნივერსიტეტებში სწავლობს. მე მეხსიერების დაკარგვაზე გელაპარაკები.

მართალია, რომ თუ მოისურვებ იმის გაგებას, ვინ არის კარლ დიდი ან სად მდებარეობს კუალა-ლუმპური, შეგიძლია მარტივად დააჭირო ღილაკს თითი და მაშინვე შეიტყო ყველაფერი ინტერნეტიდან. გააკეთე ეს, როცა დაგჭირდება, მაგრამ როდესაც საჭირო ცნობებს მიიღებ, ეცადე, მათი შინაარსი დაიხსომო, რათა მეორედ არ ეძებო, როცა ეს ცოდნა კიდევ დაგჭირდება, მაგალითად, სკოლაში.

იცი რა არის ცუდი? იმის შეგრძნება, რომ კომპიუტერს ნებისმიერ მომენტში შეუძლია გასცეს პასუხი შენს შეკითხვას, გიქრობს სურვილს, ინფორმაცია დაიმახსოვრო. ამ მოვლენას შემიძლია შემდეგი შედარება მოვუძებნო: როდესაც ადამიანი შეიტყობს, რომ ერთი ქუჩიდან მეორემდე შეიძლება ავტობუსით ან მეტროთი მისვლა, რაც ძალიან მოსახერხებელია, როცა გეჩქარება, რასაკვირველია, გადაწყვეტს, რომ აღარ არის აუცილებელი, ფეხით იაროს.

მაგრამ თუ შენ სიარულს შეწყვეტ, გადაიქცევი ადამიანად, რომელიც იძულებული იქნება, ინვალიდის ეტლით გადაადგილდეს. ო, ვიცი, რომ სპორტით ხარ დაკავებული და შეგიძლია საკუთარი სხეულის მართვა, მაგრამ დავუბრუნდეთ შენს ტვინს.

მეხსიერება შენი ფეხების კუნთებს ჰგავს. თუ მათ გავარჯიშებას შეწყვეტ, ის მოდუნდება და შენ (ოღონდ არ გეწყინოს) იდიოტად გადაიქცევი. გარდა ამისა, ჩვენ ყველას გვემუქრება სიბერეში ალცჰაიმერის დასნებოვნების საშიშროება და ამ უსიამოვნების თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა, გამუდმებით ვავარჯიშოთ ჩვენი მეხსიერება.

აი, როგორია ჩემი რეცეპტი. ყოველ დილით ზეპირად ისწავლე რომელიმე მოკლე ლექსი, როგორც ჩვენ ბავშვობაში გვთხოვდნენ ხოლმე. შეიძლება, მეგობრებთან ერთად შეჯიბრება მოაწყო, ვის აქვს საუკეთესო მეხსიერება.

თუ პოეზია არ მოგწონს, შეგიძლია, საფეხბურთო კლუბების შემადგენლობა დაიმახსოვრო, მაგრამ არა მხოლოდ რომის საკლუბო გუნდის მოთამაშეების სახელები უნდა იცოდე, არამედ სხვა გუნდებისაც, ასევე მათი შემადგენლობა გასულ წლებში (წარმოიდგინე, მე მახსოვს ტურინის კლუბის მოთამაშეების სახელები, რომლებიც სუპერგის მთაზე ავიაკატასტროფას ემსხვერპლნენ: ბაჩიგალუპო, ბელარინი, მაროზო და ა.შ.).

შეეჯიბრეთ ერთმანეთს იმაში, თუ ვის ახსოვს უკეთ წაკითხული წიგნების შინაარსი, ახსოვთ თუ არა შენს ამხანაგებს სამი მუშკეტერისა და დარტანიანის მსახურთა სახელები (გრიმო, ბაზენი, მუშკეტონი და პლანშე)... და თუ არ გინდა **"სამი მუშკეტერის"** წაკითხვა (თუმცა შენ არც კი იცი, რას კარგავ ამით), მსგავსი თამაში შეგიძლია მოიგონო იმ წიგნისთვის, რომელიც წაიკითხე.

ეს თამაშს ჰგავს, ჰო, ეს თამაშია, მაგრამ დაინახავ, შენი თავი როგორ შეივსება პერსონაჟებით, ამბებით და სრულიად განსხვავებული მოგონებებით. მკითხავ, ოდესღაც რატომ უწოდებდნენ კომპიუტერს ელექტრონულ ტვინს. იმიტომ, რომ ის ჩაფიქრებული იყო შენი (ჩვენი) ტვინის მოდელის მიხედვით, მაგრამ ადამიანის ტვინს გაცილებით მეტი კავშირი აქვს, ვიდრე კომპიუტერს.

ტვინი ეს ისეთი კომპიუტერია, რომელიც ყოველთვის შენთან არის, მისი შესაძლებლობები განივრცობა გავარჯიშების შედეგად, შენი სამაგიდო კომპიუტერი კი ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ სიჩქარეს კარგავს და რამდენიმე წელში სულაც გამოსაცვლელია.

აი, ტვინს კი შეუძლია, 90 წლამდე გემსახუროს, და ოთხმოცდაათი წლისას, თუ ტვინს გამუდმებით ავარჯიშებ, გაცილებით მეტი რამ გეხსომება, ვიდრე ახლა. თანაც, ტვინი უფასოა.

კიდევ არსებობს ისტორიული მეხსიერება, რომელიც არ არის დაკავშირებული ფაქტებთან შენი ცხოვრებიდან, ან იმასთან, რაც შენ წაგიკითხავს. ის იმ მოვლენებს ინახავს, რომლებიც შენს დაბადებამდე მოხდა.

როდესაც დღეს კინოთეატრში მიეშურები, აუცილებლად ფილმის დაწყებამდე უნდა მიხვიდე. როცა ფილმი იწყება, მაშინაც თითქოს სულ ხელს გკიდებენ და გიხსნიან, რა ხდება. ჩემ დროს შეიძლებოდა, კინოთეატრში ნებისმიერ მომენტში მისულიყავი, ფილმის შუალედშიც კი. უამრავი მოვლენა მომხდარა შენს მისვლამდე და გიწევდა იმის წარმოსახვა, თუ რა მოხდა მანამდე.

როცა ფილმი თავიდან იწყებოდა, შესაძლებლობა გქონდა გენახა, სწორი იყო თუ არა შენი რეკონსტრუქცია. თუ ფილმი მოგწონდა, შეგეძლო დარჩენილიყავი და ხელახლა გენახა. ცხოვრება მაგონებს ფილმის ყურებას ჩვენს დროში.

ჩვენ იმ მომენტში ვიბადებით, როცა უკვე მრავალი მოვლენა მომხდარა ასობით ათასი წლის განმავლობაში და მნიშვნელოვანია იმის გაგება, მაინც რა მოხდა ჩვენს დაბადებამდე. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ უკეთ მიხვდე, რატომ ხდება დღეს ამდენი ახალი მოვლენა.

დღეს სკოლას ალბათ აქვს ვალდებულება, გასწავლოს ის, რაც შენს დაბადებამდე მოხდა, მაგრამ ეს მას ცუდად გამოსდის. სხვადასხვა გამოკითხვით დასტურდება, რომ დღევანდელმა ახალგაზრდობამ, საუნივერსიტეტომაც კი, რომელიც 1990-იან წლებშია დაბადებული, არ იცის, ან იქნებ, არც უნდა, იცოდეს, რა ხდებოდა 1980 წელს, რომ აღარაფერი ვთქვათ 50 წლის წინანდელ მოვლენებზე.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ როდესაც ახალგაზრდებს ეკითხებიან, ვინ არის ალდო მორო, ისინი პასუხობენ, რომ იგი **"წითელ ბრიგადებს"** მეთაურობდა, არადა, სწორედ ამ იატაკქვეშა მემარცხენე რადიკალური ორგანიზაციის წევრებმა მოკლეს.

"წითელი ბრიგადების" მოღვაწეობა ბევრისთვის საიდუმლოდ რჩება, არადა ისინი სულ რაღაც ოცდაათი წლის წინ იდგნენ პოლიტიკურ სცენაზე. მე 1932 წელს დავიბადე, ათ წელიწადში მას მერე, რაც ხელისუფლებაში ფაშისტები მოვიდნენ, მაგრამ ვიცოდი, ვინ იყო პრემიერ-მინისტრი რომში გამართული მარშის დროს. შეიძლება, ფაშისტურ სკოლაში მიამბეს მასზე, რომ აეხსნათ, რა სულელი და ცუდი იყო ის მინისტრი, ფაშისტების მიერ ჩანაცვლებული. დაე ასე იყოს, მაგრამ მე ვიცოდი ეს. თუმცა სკოლას თავი დავანებოთ.

დღევანდელმა ახალგაზრდობამ არ იცის ოცი წლის წინანდელი კინომსახიობების სახელები, მე კი ვიცოდი, ვინ იყო ფრანჩესკა ბერტინი, რომელიც ჩემს დაბადებამდე ოცი წლით ადრე თამაშობდა მუნჯ კინოში. იქნებ, იმიტომ ვიცოდი, რომ ჩვენი სახლის სხვენზე დაყრილ ძველ ჟურნალებს ვფურცლავდი. შენც გთავაზობ ძველი ჟურნალების თვალიერებას, რადგან ეს დაგეხმარება იმის გაგებაში, რა ხდებოდა შენს დაბადებამდე.

მაგრამ რატომ არის ასე მნიშვნელოვანი, იცოდე შორეული წარსულის მოვლენები? იმიტომ, რომ ხშირად მსგავსი ცოდნა გვეხმარება დღევანდელი მოვლენების მსვლელობის გაგებაში და ნებისმიერ შემთხვევაში, ისევე, როგორც საფეხბურთო გუნდების შემადგენლობის ცოდნა, მეხსიერების გამდიდრებაში გვეხმარება.

დაიმახსოვრე, რომ შენ შეგიძლია ავარჯიშო შენი მეხსიერება არა მხოლოდ წიგნებისა და ჟურნალების დახმარებით, არამედ ინტერნეტის დახმარებითაც. ის არა მხოლოდ იმისთვის არის გამოსადეგი, რომ მეგობრებთან იყბედო, არამედ მსოფლიო ისტორიის შესასწავლადაც. ვინ არიან ხეთები და კამიზარები? რა ერქვა კოლუმბის სამ გემს? როდის გადაშენდნენ დინოზავრები? ჰქონდა თუ არა საჭე ნოეს კიდობანს? რა ერქვა ხარის წინაპარს? ასი წლის წინ მეტი ვეფხვი იყო თუ ახლა? რა იცი მალის იმპერიაზე? ვინ გიამბო მის შესახებ? ვინ იყო ისტორიაში მეორე პაპი? როდის შეიქმნა მიკი მაუსი?

შეკითხვების დასმა შემიძლია, უსასრულოდ გავაგრძელო, და ისინი შესანიშნავ თემებად იქცეოდა კვლევისთვის. ეს ყველაფერი უნდა გახსოვდეს. დადგება ის დღეც, როცა დაბერდები, მაგრამ იგრძნობ, რომ ათასობით ცხოვრება გაგივლია, თითქოს ვატერლოოს ბრძოლაში მიგიღია მონაწილეობა, იულიუს ცეზარის მკვლელობას დასწრებიხარ, იყავი იმ ადგილას, სადაც იყო ბერტოლდ შვარცი, რომელიც სხვადასხვა ნივთიერებას აზავებდა ოქროს მისაღებად, შემთხვევით კი დენთი მოიგონა და ცაში აიწია (ასე უნდა მაგას!). ხოლო შენი სხვა მეგობრები, რომლებიც არ იზრუნებენ მეხსიერების გამდიდრებაზე, მხოლოდ ერთ, საკუთარ ცხოვრებას გაივლიან, მონოტონურსა და დიდ ემოციებს მოკლებულს.

ჰოდა, ასე, გაიმდიდრე შენი მეხსიერება და ხვალ ზეპირად დაისწავლე **"La Vispa Teresa"**.

თარგმნა ლ. ზურაბიანმა

ბანკი გაზეთს ომს უცხადებს?! "საქინფორმი" „ასავალ-დასავალს" სოლიდარობას უცხადებს

(ანუ, დავიცვათ ჩვენი კოლეგები თანამედროვე "ხაზართა" შემოტევებისაგან!)

2014 წლის 21 თებერვალს **„თიბისი ბანკმა"** სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, გაზეთ **"ასავალ-დასავალის"** და ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის წინააღმდეგ, გაზეთის რამდენიმე ნომერში **„ბანკისა და მისი ხელმძღვანელის, მამუკა ხაზარაძის შესახებ გამოქვეყნებული ცრუ და შეურაცხმყოფელი სტატიების გამო"**.

მოსარჩელე მოითხოვს **„ასავალ-დასავალის"** მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფას და მორალური ზიანის სახით 160 000 ლარის ანაზღაურებას, რომელიც, ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, **„თავისუფალი ჟურნალისტიკის განვითარების საქმეს მოხმარდება"**.

აგრეთვე, **„თიბისი ბანკმა"** ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნავს, რომ **„ბანკის და მისი ხელმძღვანელი პირების შესახებ გადაუმოწმებელი და ცრუ ინფორმაციის გამოქვეყნების ნებისმიერი შემთხვევისას, მოითხოვს ამ ინფორმაციის გამავრცელებელი გაზეთის დღის ტირაჟის სრულ ამონაგებს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით"**.

„თიბისი ბანკი არ აპირებს „ასავალ-დასავალის" თითოეულ ცილისწამებაზე პასუხის გაცემას. უბრალოდ გვსურს შევახსენოთ ამ გაზეთს, რომ ყოველ ახალ ცილისწამებაზე ბანკი ახალ სარჩელს შეიტანს მის წინააღმდეგ და ახალი ფინანსური სანქციების დაკისრებას მოითხოვს", – ნათქვამია, კერძოდ, განცხადებაში.

„თიბისი ბანკს" გაზეთმა **„ასავალ-დასავალმა"** თავის საიტზე და ***Facebook***-ის გვერდზე წერილის ბოლოში დატანილი განცხადებით უპასუხა:

საქინფორმი

"ილორის" კომენტარი: მართლაც რომ თავს გავიდნენ საქართველოში კომერციული ბანკები, რომლებიც ლამის წურბელებად იქცნენ და სისხლს სწოვენ ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით ისედაც გამწარებულ მოსახლეობას. ის ფული აღარ ჰყოფნით, მევახშური გარიგებებით რომ სძალავენ მოქალაქეებს და ახლა იმ "მორალური ზიანისათვის" ითხოვენ კომპენსაციას, რომელიც მათ არასოდეს ჰქონიათ და არც არასოდეს ექნებათ, ვიდრე ასე უსულგულოდ იქნებიან გადაგებულები საშოვარს. სწორედ ბანკების გამოისობით კარგავს ყოველდღიურად ასობით მოქალაქე საცხოვრებელ სახლებს, უზომოდ დიდი მადის მქონე ბანკირები კი მევახშეობით ნაშოვნ მილიონებს არ სჯერდებიან და საკუთარ ბიზნესს აძლიერებენ, რაც არსებული კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ამიტომ, საქართველოს ყველა ჟურნალისტმა უნდა გამოთქვას გულისწყრომა ბანკირთა ამგვარი აგრესიისა და ძალადობის მიმართ და უნდა დავიცვათ ჩვენი "ასავალ-დასავლელი" კოლეგების ღირსება, რომლებიც ბინძურ კომბინაციებში ამხელენ კომერციული ბანკების თავგასულ მესაკუთრეებს!

ვინ ვინ, მაგრამ სწორედ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ალაგმოს ამგვარი განუკითხაობა საბანკო სისტემაში, რომელსაც კვლავ ავადსახსენებელი "ნაციონალები" და მათ მიერ გამოჩეკილი ე.წ. "ნომენკლატურული" ბიზნესმენები ასხედან წურბელებად!

„თიბისი ბანკი"
„ასავალ-დასავალს" 160 ათასი ლარის წაგლეჯით ემუქრება!

საეჭვო ფინანსური გარიგებებისა და ნაცმოძრაობის ფაშისტური „ომშიაკის" შესაძლო გათეთრების გამო, „ასავალ-დასავალის" რედაქციისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანგებო კონტროლზეა აყვანილი **„თიბისი ბანკის"** საქმიანობა, რომელმაც „ასავალ-დასავალის" წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოს სარჩელითი მიმართა და გაზეთისაგან 160 ათასი ლარის წაგლეჯა მოითხოვა!

მოვუწოდებთ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, თავიანთი დანაზოგისა და უძრავ-მოძრავი ქონების გარანტირებულად დაცვის მიზნით, „თიბისი ბანკის" მიმართ ნებისმიერი პრეტენზიები მოგვაწოდონ „ასავალ-დასავლის" ცხელ ხაზზე: 599-64-25-77, აგრეთვე ელფოსტით mail@asavali.ge

ჩვენი მიზანია არა რომელიმე ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის შელახვა, არამედ მოქალაქეთა უფლებების სავარაუდო შელახვის გამოვლენა და სამართლიანობის აღდგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამანტი ერასტოს ძე ჯოლია 90 წლისაა

სსრკ საპატიო ჩეკისტი მამანტი ერასტოს ძე ჯოლია დაიბადა 1924 წლის 10 მარტს გალის რაიონის სოფელ შეშელეთში, ქართულ ოჯახში.

1940 წელს დაამთავრა გალის №2 საშუალო სკოლა. (1930-34 წლებში სწავლობდა შეშელეთის დაწყებით სკოლაში). 1950 წელს დაამთავრა ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, ისტორიკოსის სპეციალობით. (1940-42 წლებში სწავლობდა აღნიშნულ ინსტიტუტში, შემდეგ იმყოფებოდა სსრკ-გერმანიის ომში და 1947 წელს დაუბრუნდა სასწავლებელს.) 1965 წელს დაამთავრა სსრკ-ის უშიშროების სამინისტროს კიევის სადაზვერვო უმაღლესი სასწავლებლის ერთწლიანი კურსი.

მ. ჯოლია 1942 წლის ოქტომბერში მოხალისედ მიდის დიდ სამამულო ომში. ბუინაგის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (უმცროსი ლეიტენანტის, ლეიტენანტისა და უფროსი ლეიტენანტის წოდებით) იბრძოდა უკრაინის მეოთხე, ბელორუსიის პირველ, მეორე და ბალტიისპირეთის ფრონტებზე ოცეულისა და ასეულის მეთაურად. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ქ. სევასტოპოლის მისადგომებთან **„საპუნ-გორას"** მაღლობის აღების ეპიზოდი, რომელიც მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, სივაშის სახელობის 417-ე წითელდროშოვანმა დივიზიამ შეძლო. მსუბუქად დაჭრილი იყო ორჯერ. ომის შემდეგ, 1947 წლამდე, იმავე დივიზიის 1369-ე პოლკის შტაბის უფროსის თანაშემწედ მსახურობდა.

მ. ჯოლია 1950 წელს მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. 1950-1960 წლებში სოხუმის რკინიგზის უშიშროების განყოფილებაში ოპერრწმუნებულად და უფროს ოპერრწმუნებულად; 1960-1965 წლებში გალისა და ოჩამჩირის რაიონებისა და ქ. ტყვარჩელის უშიშროების უფროსად; 1965-70 წლებში – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის უშიშროების უფროსად. 1970-78 წლებში იყო აფხაზეთის ასსრ უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი; 1978-1993 წლებში აფხაზეთის ასსრ თევზდაცვის, გამრავლებისა და რეგულირების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი; 1994-96 წლებში საქართველოს ეროვნული გვარდიის კონტრდაზვერვის უფროსი. 1996-98 წლებში საქართველოს უშიშროების მინისტრის უფროსი მრჩეველი და საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1998 წლიდან დღემდე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარის პირველი მოადგილე. მ. ჯოლია სპეციალური მივლინებით (დავალებით) იმყოფებოდა ავსტრიაში (1962წ.), საბერძნეთში (1963წ.), იტალიაში (1965წ.), თურქეთსა (1967წ.) და რუმინეთში (1974წ.).

მ. ჯოლია იყო მშრომელთა (სახალხო) დეპუტატების ოჩამჩირის რაიონული, სოხუმისა და ზუგდიდის საქალაქო საბჭოების დეპუტატი და საქართველოს კ.პ. ოჩამჩირის რაიკომისა და ზუგდიდის ქალაქკომის ბიუროების წევრი.

მ. ჯოლია დაჯილდოებულია ორი **„წითელი ვარსკვლავის"**, დიდი სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხისა და **„ღირსების"** ორდენითა და 30 მედლით.

ჰყავს მეუღლე – ცაგო გოგბერიშვილი, შვილები: თიაზი, ლიანა, ოლეგი.

დევნილობის გამო დროებით ცხოვრობს ქ. თბილისში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების საქმეში.

ბატონ მამანტი ჯოლიას ინიციატივით დაარსდა ქართველ უხუცესთა საბჭო აფხაზეთიდან, რომლის თავმჯდომარეც თვითონ უნდა გამხდარიყო, მაგრამ მისი დაჟინებული მოთხოვნისა თანახმად უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აფხაზეთში ყველასათვის ცნობილი პიროვნება კონსტანტინე მარშავა, თვითონ კი კენჭი იყარა მოადგილედ, რაც ერთხმად იქნა დაკმაყოფილებული.

აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირმა (თავმჯდომარე ოლეგი ჯოლია) და ქართველ უხუცესთა საბჭომ, პირადად მამანტი ჯოლიას ხელმძღვანელობით, გამოიმუშავა და როგორც ძველი, ისე ახალი მთავრობის წინაშე დააყენა 12 წინადადება-პროექტის განხორციელების საკითხი. ძველიდან პასუხი არ ყოფილა – ახალმა მთავრობამ კი ყოველგვარი ხელშეწყობა შემოუთვალა.

რამოდენიმე თვის უკან განხორციელდა აფხაზეთის პრეზიდენტთან ბატონ ალექსანდრე ანქვაბთან სატელეფონო საუბარი, საფლავების მონახულების საკითხის მოგვარების შესახებ. ანქვაბმა უხუცესებს მისცა პირობა, რომ დადებითად გადაწყვეტდა საკითხს. ამას წინ უძღოდა კავშირის თავმჯდომარის ოლეგ ჯოლიას ვიზიტი მოსკოვში აფხაზ ვეტერან უხუცესებთან შესახვედრად. შეხვედრამ ჩაიარა თბილ საქმიან ვითარებაში. საუბარი იყო ჩვენს შორის არსებულ პრობლემებზე და მათი მოგვარების გზებზე. აქაც წამოიჭრა სასაფლაოების მონახულების საკითხი, რომელიც ალბათ მალე განხორციელდება.

გაზეთი „ილორი" ულოცავს ბატონ მამანტი ჯოლიას დაბადებიდან 90 წლის იუბილეს, უსურვებს ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა კვლავაც აქტიურად იღვაწოს ქართველებისა და აფხაზების შესარიგებლად.

პოეზიის კუთხე

ულაშჷ ბორჯი

დოთირელე არძა ფერი,
გურც ანთასი ჭუა მობუ,
დუც გიმორე უჩა სერი,
ულაშჷ ბორჯი გგმასოფუ.

ბონი შოშე სოთინჷ ვაჩქუ,
მარა ვამიღ ანწი მენდი,
უკოჩობაშჷ ცვანას ვხაჩქუ,
აიშახ ბერგის ვთაკილენდი.

„მინ რექია"-თქუანქ გურით,
მარა ნარღი ვარე ეფი,
თი სერი დო ჩილამურით
ეფშა მაფუ ლაწკარეფი.

სი გიღოთამ შხვაში ჩირე,
დღასვ ვარდი ჩქიმი თური,
ეკონიათ ეწმაძირე,
სქანჷ თოლეფი გოსოფური.

ხუჯო მიჩქუ: ფორიაში
ასე დუბეს ქინიხვილუ,
სი შური რექ ბორიაში,
გელალუქ დო კინი პილუ.

ვათმაჩერდგ იშენთ ორთა,
ღურუქ ცალა თოლეფჷ განჯგ,
ნაკეკინა, ნაგორგოთა,
გურჷ ოგურეს ალასვანჯგ.

დოთირელე არძა ფერი,
გურც ანთასი ჭუა მობუ,
დუც გიმორე უჩა სერი,
ულაშჷ ბორჯი გგმასოფუ.

***

შური ორე თინერჷ ტიბუ,
მუჭოთ ნანაშ ჰამო კართე,
ანთასნერო მტახვნს სქიბუ,
შარა ოკო გეკოჩართე.

გინმოჯინე არძა გვალა,
ირო თირი ეწმომხვადგ,
შურიშ დინოხ მიკნავალაქ,
გალე ორთა ეკოხანტგ.

ჰავა ინგარს, მუჭოთ ლილუ,
შუშელი რე არძა დოლო,
ბორჯიქ კირდას ქიმკმოხვილგ,
თოლით ვაბძირჷ თიში ფოლო.

დო მა სქანდა ვემუვანჭი,
ლექინჷ ვარდგ ნარღიშ ღალა,
დუდჷ დივფორი, მუჭოთ ცანჭიქ,
ანწჷ შურდგუმა ვამინძალა.

გიორგი ხულორდავა,
თბილისი

საქინფორმი ძალიან მალე გაახსენებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მის სიტყვებს: „რუსეთი ბევრ პროვოკაციას ამზადებს საქართველოს წინააღმდეგ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე!"

აშშ-ში ვიზიტის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანმხლები საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ჟურნალისტებთან კომენტარებში გამუდმებით მიუთითებს საფრთხეზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან.

„პრეზიდენტმა ობამამ ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ გადადგმული კონსტრუქციული ნაბიჯები რუსეთთან მიმართებაში, რადგან ეს იოლს ხდის საქართველოს თემაზე საუბარს სხვადასხვა ფორმატში და სხვადასხვა კონტექსტში. ჩვენ დღევანდელი ამბები მოვუყევით ამერიკულ მხარეს. ეს არის მავთულხლართების დამონტაჟების განახლება ოლიმპიადის მეორე დღესვე და ისიც აღვნიშნეთ, რომ ჩვენ ამას ველოდით გარკვეულწილად, რადგან ის 11 კმ-იანი უსაფრთხოების ზონა, რომელიც ვითომდა შეიქმნა სოჭის ოლიმპიადის კონტექსტში, სავარაუდოდ, შეიძლება აღარ მოიშალოს და დარჩეს ისე, როგორც არის დღეს, რადგანაც დღევანდელმა მოვლენებმა ჩვენ კიდევ უფრო გაგვიღრმავა ის ეჭვი, რომ რუსეთი ბევრ პროვოკაციას გვიმზადებს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე. აშშ-ის ხელმძღვანელობა სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს. ეს ხაზგასმით ითქვა ამ შეხვედრაზე", – განუცხადა მაია ფანჯიკიძემ დღეს დილით სააკაშვილის ტელეარხ **„რუსთავი 2"**-ს ვაშინგტონში.

საქინფორმი ეთანხმება მაია ფანჯიკიძეს – პროვოკაციები მართლაც იქნება, თანაც ძალიან მალე, ოღონდ არა რუსეთის მხრიდან: მათ ამზადებენ ხულიგნები სააკაშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია **„თავისუფალი ზონიდან"** და მისი პარტია **„ნაციონალისტური მოძრაობა"**, რისი მტკიცებულებებიც საქინფორმს აქვს.

საქინფორმი ქალბატონ ფანჯიკიძეს მის სიტყვებს ახლო მომავალში შეახსენებს, როდესაც **„ქართველი"** ნაციონალისტი-ნეოფაშისტები საქართველოში ტრიუმფით დაბრუნებული სააკაშვილის ხელმძღვანელობით აქ **„გრძელი დანების ღამეს"** მოაწყობენ. იმედი გვაქვს, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას და სამოქალაქო ომის გაჩაღებას ვერ მოახერხებენ, მაგრამ აი ასეთი **„სასაცილო"** მინისტრები, როგორც ფანჯიკიძეა, იძულებული იქნებიან გადადგნენ, როგორც ეს უკრაინაში მოხდა.

საქინფორმი

შეხვედრა წარსულთან

ერთი შეკითხვა მაქვს მუდამ მასთან,
რატომ არა სურს ბავშვობა მარად,
ის პასუხს ირჩევს მარად და მარად,
რადგანაც წარსულს არა თვლის მართლად.
მირბიან დრონი, დღეები სწრაფად,
ზოგიერთი კი კვლავ რჩება ბავშვად,
მათი სიწმინდე, სილაღე ახლად,
გულს მიმშვიდებს და მახარებს მარად.
ნუ გადავუქცევთ სხვებს ფიქრებს დარდად,
ნუ გავხდით ალალ სიყვარულს ნატვრად,
ნუ ვუქცევთ მავანთ ოცნებას ნაცრად,
დე მუდამ იყოს ბავშვობა მარად.

დალი ცხაკაია,
თბილისი

ქუთაისს პარლამენტი არ სჭირდება – იმერეთის ახალი გუბერნატორი

იმერეთის ახალი გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის საკითხს გამოეხმაურა. მისი თქმით, პარლამენტის ადგილი ქუთაისში არ არის. მეფარიშვილი აცხადებს, რომ ქალაქს განვითარებისთვის სხვა ფუნქცია უნდა მოეძებნოს და მისი ხსნა საპარლამენტო ქალაქის სტატუსში ნამდვილად არ არის.

„ქუთაისს პარლამენტი არ სჭირდება. ამ ქალაქს აქვს სტუდენტური ქალაქის პოტენციალი და შეიძლება იმაზე ფიქრი, როგორ განვავითაროთ ამ კუთხით ეს ქალაქი. მიუხედავად იმისა, როგორც ქუთაისელს მიხარია და მომწონს პარლამენტი რომ ქუთაისშია, თუმცა ობიექტური, თუ ვიქნები უნდა ვთქვა, რომ პარლამენტის ადგილი არის დედაქალაქში. ქალაქი ახლა ჰგავს პატარა ბავშვს, რომელსაც კამფეტს მისცემ და შემდეგ ხვდება, რომ შეიძლება ეს კამფეტი წაართვა და ამიტომ არის განაწყენებული. მე მინდა ვუთხრა ქუთაისელებს, ვიდრე ქალაქს სხვა ფუნქცია არ მოეძებნება, პარლამენტი ამ ქალაქიდან არ გადავა", – ამბობს მეფარიშვილი.

ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **„ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომრებზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-259

ნიკიტა ხრუშჩოვს ქართველთმოძულე ბევრი წინამორბედი ჰყავდა. რუსეთის ე.წ. პროგრესული თავადაზნაურობის წარმომადგენელი დეკაბრისტი პესტელი ამბობდა: **„ქართველები ციმბირში უნდა გავასახლოთ და ისიც კი უნდა დავავიწყოთ, სად უცხოვრიათ ოდესღაც“.** რუსეთი, რომელიც მსოფლიო ასპარეზზე 12-13 საუკუნის წინ გამოვიდა, ყოველმხრივ ჩამორჩებოდა ევროპის მოწინავე ქვეყნებს. რუსეთის არარუსული ნაწილი (ძირითადად – ეთნიკური გერმანელები) ვერ იტანდა, შეურაცხმყოფლად მიაჩნდა, რომ საქართველო მსოფლიოს უძველესი და უპირველესი ქვეყანა იყო. ცარისტულმა შოვინისტებმა ბევრჯერ მოინდომეს საქართველოს აყრა და გასახლება, მაგრამ ვერ მოახერხეს...

საქართველოს მთასა და ბარში, კომპარტიის ცენტალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს თითქმის არასოდეს უვლია მცველთა თანხლებით. მაგრამ, ახლა სხვა დროა.

ბევრისათვის ცნობილია, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში, ხრუშჩოვის რეკომენდაციით, ერთი იაპონელი ჩამოვიდა თბილისში და ხელოვნების მუზეუმის დირექტორს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს მოსთხოვა საღამოს 9 საათზე გაეხსნა დალუქული ეროვნული საგანძური. შემდეგ, მეორე დღეს იაპონელმა შ. მირიანაშვილს ჩამოუთვალა ქართული ლითონმქანდაკებლობის საუკეთესო ნიმუშები, რომელთა შესყიდვაც სურდა საკავშირო მთავრობის ნებართვით. თავზარდაცემულმა შ. მირიანაშვილმა დახმარებისათვის დაუყოვნებლივ მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს.

შეშფოთებული ვ. მჟავანაძე დაჰპირდა შ. ამირანაშვილს: ვაჭრობის ერთი კვირის გადადებას როგორმე გავახერხებო. ეს იყო იმედის პირველი ნიშანი. ვასილ მჟავანაძე მაშინათვე ჩაფრინდა მოსკოვში, ხრუშჩოვის მეუღლეს ეახლა და ყველაფერი უამბო ქვეყნის პირველ ლედის, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ქმარზე. ქალბატონს ვ. მჟავანაძესათვის დახმარებაზე უარი არ უთქვამს. **„დედოფალმა“** ხრუშჩოვს საქართველოს კულტურული და სულიერი საგანძურის გაყიდვის გადაწყვეტილება გააუქმებინა.

კომუნისტებისათვის ყველას არ მიუყიდია სული. ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა, მათ შორის ერთ-ერთი ვასილ მჟავანაძეა. ეს გულთბილი, უბრალო, თავმდაბალი ადამიანი, რამდენადაც შეეძლო, ეხმარებოდა თანამემამულეებს. მისი ნებართვით, დაიწყო მრავალი დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა, საქართველო კი გადაურჩა ხრუშჩოვის რეპრესიებს.

კარგადაა ცნობილია, თუ როგორ დანაშაულებრივად გაუსწორდნენ ქვეყნისთვის (სსრკ) თავდადებულ მოამაგეს ლ. ბერიას. მან, შედარებით ადრეულ პერიოდში, მოუპოვა სამშობლოს ატომური იარაღი და ქვეყანას ააცილა ის უდიდესი საშიშროება, რომლითაც იმუქრებოდნენ გენერალი მაკარტური და ზოგიერთი ცხელი თავები. ლ. ბერიამ უდიდესი როლი შეასრულა გერმანელ ფაშიზმთან ომის დროს საზღვარგარეთ საქმიანობის მაღალ დონეზე აყვანით – ხშირად ბევრი რამ იცოდა, თუ რა ხდებოდა ფაშისტური ხელისუფლების მწვერვალებში და სამხედრო შტაბებშიც. ლავრენტი ბერიამ ყველაფერი გააკეთა საბჭოთა კავშირის სამხედრო აღჭურვილობათა მომარაგების საქმეში და ბევრი სხვაც. მაგრამ ვერ აიტანეს, რომ ის იყო სხვა ერის წარმომადგენელი უნიჭიერესი პიროვნება და თავის ახლობლებთან ერთად გაანადგურეს (ასე გაუკეთეს სტალინსაც). ხომ შეეძლოთ გაეთავისუფლებინათ, სამუშაოდან გადაეყენებინათ?!

* * *

პროფ. ზ. რატიანი აღნიშნავს: **„სიმონ ჯანაშიამ გენიალურად დაასაბუთა, რომ ქართველი ერის წინაპრები ხალხთა იმ მოდგმას განეკუთვნებიან, რომლებმაც შექმნეს მსოფლიო უძველესი ცივილიზაცია...“**

ხალხთა ამ გვარტომებს ჩვენ ხეთურ-იბერიულს ვუწოდებთ, ვინაიდან მათი მთავარი წარმომადგენლებია მცირე აზიაში – ხეთები, ევროპაში – იბერები და მესოპოტამიიდან კავკასიამდე ბერსუბარები.

მაშასადამე, აკად. ს. ჯანაშია მიუთითებს, რომ ქართველი ერის წინაპართა თავდაპირველი სამშობლო გადაშლილი იყო ევფრატისა და ტიგროსის შუამდინარეთის, მცირე აზიისა და კავკასიის ვრცელ მიწა-წყალზე, რომ სუმერული ანუ შუმერული ცივილიზაციის შემქმნელნი ქართველთა წინაპრები არიან.

ამრიგად, ასკვნის ზ. რატიანი **„ქართველი ერის წინაპრები არიან სუმერ-სუბარპერ-იბერები, ხოლო თავდაპირველი სამშობლო გადაშლილი იყო მესოპოტამიის (მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთი, ანუ აწინდელი სირია-ერაყის უდიდესი ნაწილი), მცირე აზიისა (აწინდელი თურქეთი) და კავკასიის ბუმბერაზ მთებსა და უკიდეგანო ველებზე. (მასალები მოტანილი მაქვს ზურაბ რატიანის სტატიიდან, როგორ მოიპარეს საქართველოს ისტორია“,** გაზ. **„დიოსკურია“,** 2006, სექტემბერი, №34.)“

ქართველთა განსახლების შესახებ პროფ. გიზო ჭელიძე აღნიშნავს, რომ ქართველები ითვლებიან პირველი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ მთავარ მესაძირკვლედ კავკასიაში, აგრეთვე ტიგროსში და ევფრატის ნაპირებზე, წინა აზიაში და, რაც მთავარია, ხმელთაშუაზღვისპირეთში – იგივე ბერძნებამდელ საბერძნეთში. ბერძნებამდელი კულტურული ფასეულობანი ხმელთაშუაზღვისპირეთში არც მეტი, არც ნაკლები შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს, კერძოდ კოლხებს, რომლებიც ბერძნულ-რომაული და სხვა წყაროებით იხსენებიან პელაზგებად და კოლხ-პელაზებად. მომდევნო ხანების მონაცემებით დადგენილია, რომ მთელი კავკასია დასახლებული ყოფილა ერთი მოდგმის ხალხით, კერძოდ, ქართველებით. (გიზო ჭელიძე, პირინეიზე უქცევენ კოლხურად, გაზ. **„დიოსკურია“,** 200I, სექტემბერი, №34.)

ჰოლანდიელმა ენათმეცნიერმა ფურნიემ ხმელთაშუაზღვისპირეთში აღრიცხა 5 ათასი ქართველური სიტყვა, რომელიც ბგერობრივად და სემანტიკურად ემთხვევა წინალინურს – პელაზგურს – გრამატიკული წყაროებითაც; ასეთ დასკვნამდე დამოუკიდებლად მივიდა აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი. ე.ი. ფურნიემ და რ. გორდეზიანმა დაამტკიცეს, რომ ქართული და პელაზგური ენები ერთი სტრუქტურის მოვლენებიაო. პელაზგები კი კოლხური მოდგმისანი არიან.

პროფ. გ. ჭელიძე აგრძელებს – **„ბასკები რომ „ოროველას“ მდერიან, შუმერები კი „შამაშრერას“, ჰომეროსის ლექსი ძალიან რომ მიაგავს ქართული მთიბლურების წყობას, ან კიდევ, ხეთების მეტყველებაში მოჭარბებულად რომ ჟღერს მეგრული ლექსიკა, სხვა არაფერია, თუ არა ბიოლოგიურ წინაპართა სისხლის ყივილი“.** როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული. ბასკებში მრავლად არის მეგრული გვარები, რომ ბასკურ ენაში იმდენი ბრუნვა აქვთ რამდენიც ქართულში და ისიც ფრიად საინტერესოა, რომ **„მოთხრობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი მეგრული „ქ“-**ა – კოჩიქ (კაცმა) და სხვა.

ჩვენ ხაზგასმით აღნიშნული გვაქვს, აქაც მოვიტანთ გ. ჭელიძის სტატიიდან ციტატას: **„აი, სენსაციაც: ანუ პრომეთეს მამა, ბერძნული მითოლოგის დასტურით, არის იაპეთოსი, აიეტის მამის, ჰელიოსის მამა – ჰიპერიონი, ხოლო ღმერთთა ღმერთის ზევსის მამა კრონოსი... – ცნობილი მოვლენებია... რომ იაპეტოსი, ჰიპერიონი და კრონოსი, ღვიძლი ძმები არიან.“**

* * *

დღევანდელი დასავლური დემოკრატია, ამერიკის დემოკრატია, რომელიც ჩვენი სამყაროს ეტალონადაა აღიარებული, არ არის ნამდვილი დემოკრატია – ის დიდი ფულის დემოკრატიაა. (**„დიდი ფული ქმნის ისტორიას“**: მასონები ჯ. სოროსი და ზ. ბჟეზინსკი). ამის თვალსაჩინო მაგალითებია დასავლეთის რიგ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნები. დასავლეთის რამდენიმე ქვეყანაში არჩევნებში გაიმარჯვეს მარქსისტულმა, მარქსისტებთან მიახლოებულმა და სხვა პარტიებმა, მაგრამ მსოფლიო კაპიტალიზმმა გადატრიალება მოახდინა, ხოლო ზოგ ქვეყანაში დემოკრატია სისხლში ჩაახშვეს – ასე იყო პარიზის კომუნიდან ჩილემდე. ამერიკელებმა რატომ მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება გვატემალაში? არბენსის მთავრობა სრულიად დემოკრატიული გზით მოვიდა ხელისუფლებაში. ძმებ დალესებს იქ უდიდესი ბანანის პლანტაციები ჰქონდათ. ალენ დალესი აშკარად ემუქრებოდა გვატემალას და სახელმწიფო გადატრიალებაც მოახდინეს. ასევე, სახელისუფლო გადატრიალება მოახდინეს ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც. რა უნდოდათ და რა უნდათ ირანში, გრენადაში, ვიეტნამში, ჩრდილოეთ კორეაში, ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში და სხვაგან? რატომ გაასამართლა და ჩამოახრჩო აშშ-მ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნის ზოგიერთ ლიდერი – რატომ ჩემულობს მსოფლიოს მოსამართლეობას? აშშ უეროვნო, ურელიგიო და ფაქტობრივად უისტორიო ქვეყანაა. ასევე ცდილობს ეროვნული ნიშნები, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები დაუკარგოს სხვა ქვეყნებსაც. აშშ-ს განსაკუთრებული კარგი, დიდი **„მეგობრული“** ურთიერთობა აქვს საუდის არაბეთის (იქ დიდი ნავთობია) ზღვარგადასულ, დრომოჭმულ აბსოლუტიზმთან, მეფის ხელისუფლებასთან. ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, უძლიერესი და უმდიდრესი აგრესიული ქვეყანაა, ის ყველაფერს აკეთებს, რომ მსოფლიოსათვის მიმართულების მიმცემი იყოს.

ცნობილია, რომ ოლიგარქები მაქსიმალური მოგების, ახალი მილიონების მოსაპოვებლად არაფერს – მიღებულ თუ მიუღებელ წესებს, არ ერიდებიან – ექსპლოატაცია, ძარცვა, მოტყუება, შანტაჟი, შიმშილი, მოსახლეობის გაღატაკება, მაგრამ საბედნიეროდ, არის თითო-ოროლა ოლიგარქის მიერ მაღალი შეგნების გამოვლენისა და ხალხზე ზრუნვის შემთხვევებიც. თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა აშშ-ს ოლიგარქ უორენ ბაფეტის კეთილშობილურმა მოქმედებამ. ეს მასალა უცხოურ პრესაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა გაზეთმა **„ალიამ“** სათაურით: **„უორენ ბაფეტის უცნაური საქციელი“**. ვფიქრობთ, ოლიგარქის მოქმედებას, თუ ის სწორია, რაშიც ძალიან ეჭვი მეპარება, მაშინ მას უნდა დავარქვათ, არა **„უცნაური“,** არამედ ასეთი სახელი: **„უორენ ბაფეტის კეთილშობილური, გმირული საქციელი“** – ის თავის 44 მილიარდ დოლარს (პირად ქონებას) საქველმოქმედო ფონდებში გადარიცხავს. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ მან მოუწოდა – დაგმონ ყველა ის მდიდარი ამერიკელი, რომლებიც უზარმაზარ სიმდიდრეს მხოლოდ ერთ ადამიანს უტოვებს. ბაფეტმა იცის, რომ ფული ჰაერიდან, თავისთავად არ მოდის, ფული შრომით იქმნება და ამ ფულის შემქმნელები მშრომელების ექსპლუატაციით ხდებიან მილიონერები, მილიარდერები, ოლიგარქები.

უორენ ბაფეტი წინ აღუდგა რესპუბლიკური პარტიის წინადადებას გადასახადების მემკვიდრეებზე საერთოდ მოხსნის შესახებ და კონგრესში გამოსვლის დროს განაცხადა, ისეთ ადამიანებს, როგორც თვითონ არის, ამერიკის მთავრობა ტყავს უნდა აძრობდეს გადასახადებით. ამერიკაში არსებული წესებით მემკვიდრეობა, რომელიც 2 მილიონ დოლარზე ქვემოთ არის, არ იბეგრება ფედერალური საგადასახადო ორგანოების მიერ, დანარჩენ თანხაზე გადასახადი 45 პროცენტია. სხვა პარტიების მოთხოვნით კი 1 მილიონ დოლარზე მეტი მემკვიდრეობის შემთხვევაში ადამიანმა სახელმწიფოს 55 პროცენტი უნდა გადაუხადოს.

ისტორიაში ცნობილია, რომ მდიდარი ადამიანები სხვებს ეხმარებიან ეკონომიკურად, აფინანსებენ ახალგაზრდების სწავლას, ეწევიან ქველმოქმედებას. საქართველოში ასეთი მდიდარი ადამიანები იყვნენ სარაჯიშვილი, ზუბალაშვილები, ხოშტარია (ე.ი. თითო-ოროლა). ბოლო პერიოდში დიდი ქველმოქმედი და მეცენატი იყო ბადრი პატარკაციშვილი. მსოფლიოს მასშტაბით ქველმოქმედი კაპიტალისტ-ოლიგარქები მრავლად არ არიან – ისინი ყოველწლიურად ცდილობენ თავიანთ მილიონებს ახალი მილიონები მიუმატონ, მილიარდებს ახალი მილიარდები და ამისათვის ისინი თითქმის არაფერს ერიდებიან; დღეს მსოფლიოს ფულის ტომრები – ოლიგარქები განაგებენ, რასაც კაცობრიობისათვის უბედურება მოაქვს. ოლიგარქების მიზეზით ე.წ. მესამე სამყაროს განვითარებადი ქვეყნები ძალიან ნელი ტემპით ვითარდებიან, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში შიმშილი ცელავს მოსახლეობას. ასე იქნება მომავალშიც.

სიმდიდრე ქვეყნებს შორის არათანაბრად ნაწილდება. როგორც ცნობილია, აშშ-ს მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენს, სამაგიეროდ ისინი მოიხმარენ დედამიწის რესურსების ნახევარს.

უორენ ბაფეტის ქონება არ ხმარდება აფრიკისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნის ღატაკ, დამშეულ მოსახლეობას. თუ რა მიზანს ემსახურება ბაფეტის მოქმედება ჯერ კიდევ გაურკვეველია.

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ლი მენ ბაკმა ერისადმი რადიომიმართვაში განაცხადა, რომ მთელ თავის პირად ქონებას შესწირავს სახელმწიფოს, რომელიც საზოგადოების დარიბ ფენას ეკონომიკური სირთულეების გადაწყვეტისათვის წაიქეზებს. ის ღარიბ მოსახლეობას დაპირდა, რომ მისი საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე – 2013 წლის თებერვლამდე, თავის ხელფასს ხელმოკლეებს დაურიგებს. ასე იქცეოდა იგი 2005-2006 წლებში, დედაქალაქ სეულის მერობის პერიოდშიც. 2007 წელს საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნების წინ ლი მენ ბაკმა, რომელსაც ოპოზიცია ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებდა, განაცხადა, რომ მთელ თავის 20,7 მლნ დოლარიან ქონებას ხელმოკლეებისათვის გაიღებდა, მხოლოდ ვერ გასცემდა იმ სახლს (სადაც უნდა ეცხოვრა), რომელშიც კორეის კანონის თანახმად, ყველა სამხრეთ კორეული სახელმწიფოს ყოფილი მეთაური ბინავდება. ლი მენ ბაკს საპრეზიდენტო ვადის დამთავრებისა და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ სახლში გადასვლით არაფერი უფუჭდება, მისი საყოფაცხოვრებო მდგომარეობა არ გაუარესდება, სამაგიეროდ 20 მილიონ 700 ათასი დოლარი რამდენ ღარიბ ადამიანს შეუქმნის ცხოვრების ნორმალურ პირობებს. ისტორიამ, როგორც ცნობილია, იცის ბევრი ქველმოქმედის ღირსეული საქმეები, მაგრამ სამხრეთ კორეის პრეზიდენტის მოქმედება მარტო ქველმოქმედობა როდია, ეს არის მაღალი ღირსებების მქონე ადამიანის დიდებული საქციელი, იშვიათი შემთხვევა – მან მთელი თავისი ქონება ხალხს გადასცა – ღარიბებს. მას მიმბაძველები მასობრივად უნდა გამოუჩნდნენ, მაგრამ მიმბაძველნი რომ გამოუჩნდნენ მაინც, სახელმწიფო მმართველობაში მყოფი ადამიანები ძალიან მდიდრები ნაკლებად არიან. ამიტომ ლი მენ ბაკს უნდა მიბაძონ მილიონერებმა, ბიზნესმენებმა, ოლიგარქ-მაგნატებმა (როგორც ითქვა სამწუხაროდ, ამ უკანასკნელებში ნაკლებად არიან ქველმოქმედები).

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐᲡ

შვილო, ალექსანდრე, მე ოჩამჩირელ დეკნილს მიხარია, რომ საქართველოს ჰყავს თქვენისთანა, ნაპო მესხიასთანა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები, რომელთაც აქვთ უნარი, რესურსი, მოაგვარონ საქართველოსთვის ყველაზე ჯოჯოხეთური აფხაზური საკითხი. დღევანდელობამ ნათელყო, რომ საქართველოში საღად მოაზროვნე პოლიტიკოსების დიდი დეფიციტია, რის გამოც თავს დაგვატეხეს დიდი უბედურებები. კარგად თუ არ დავუფიქრდით, ის, რაც დაგვემართა, იქნება კინოჟურნალი, დიდი ფილმის წინ, თუ არ დავანებებთ თავს სააკაშვილისეულ ანტირუსულ ისტერიას. ქართველებს კარგად უნდა ესმოდეს, რომ დიდი, ძლიერი, მდიდარი, ერთმორწმუნე რუსეთის გვერდით ავლით ვერ მოვაგვარებთ ვერც საგარეო და ვერც საშინაო საკითხებს, მათ შორის ჩვენთვის აქტუალურ აფხაზურ პრობლემას. თუმცა, აფხაზური საკითხი დღეს დავიწყებულია, დახურულიც კი. მე ოჩამჩირელ რიგით მოქალაქეს გული მტკივა მასზე, რომ, რაც დრო გადის, აფხაზეთი უფრო გვშორდება, ქართველი პოლიტიკანების უჭკუობით.

შვილო, ალექსანდრე, აფხაზეთი თქვენი და ჩემი სატკივარია. მე მჯერა, ჩვენ თუ რუსებთან გამოვნახავთ საერთო ენას, ვიქნებით იმ გაგებით, როგორიც ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, ყველაფერი სასიკეთო მოსალოდნელია. იმედია, აღვადგენთ აფხაზ ძმებთან ისეთ ძმურ, მეზობლურ ურთიერთობას, როგორიც ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს. მე მახსოვს, პატარა ვიყავი, როცა გალიდან მეგრელი სტუმრები ცხენებით გვეწვეოდნენ, მამაჩემი იტყოდა – აფხაზები გვესტუმრნენო, ცნობისმოყვარე ბავშვს მიკვირდა, რადგან ისინი მეგრულად ლაპარაკობდნენ. თურმე, ძველად, ყველა ენგურგაღმელს აფხაზს ეძახდნენ. ყოველთვის დიდი იყო სიყვარული აფხაზების მიმართ, მაგრამ, როგორც ვიცით, ყველას საუბედუროდ, დრო შეიცვალა. მეოცე საუკუნეში ქართველებმა თავს მოახვიეს აფხაზებს თავისი წესები, ნება-სურვილი. იყო დრო, ისინი არსად არ ჩანდნენ აფხაზეთში. აფხაზები ვერ აფხაზობდნენ. მე ყველაფერი მაქვს ჩემი თვალით ნანახი და გაგონილი. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. დიდი ბრძოლის მერე მტრებმა საბჭოეთის ნგრევა, აფხაზური ტრაგედია კარგად გამოიყენეს, რომ მიეღწიათ საუკუნოვანი ოცნებისათვის. საბჭოთა კავშირის დანგრევა ნამდვილად არის დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა. ნება მომეცით ორიოდე სიტყვით გავიხსენო, თუ რა ხდებოდა მეოცე საუკუნეში აფხაზეთში. რამ გამოიწვია ჩვენს მონათესავე აფხაზებში ისეთი სიძულვილი, როგორიც დღეს არის.

მე პირადად აფხაზეთში ჩავედი 1948 წელს. ვცხოვრობდი გაგრაში, მერე სოხუმში და ბოლოს ჩემთვის ყველაზე საყვარელ ოჩამჩირეში. Лучше нету города в мире, это наша Очамчира! – თავისი სიწყნარით, ზრდილობით, აფხაზებსა და მეგრელებს შორის ურთიერთობით. ოჩამჩირე მე სიგიჟემდე მიყვარს. ჩემი ოჯახის წევრები, მეუღლე, რძალი ოჩამჩირელი აფხაზები არიან. მე ვმუშაობდი მერკულას ჩაის მეურნეობაში. ვიყავი მოწინავე მკრეფავი. ყველა აფხაზი ლიდერი პატივს მცემდა. სერგეი ვასილის ძე ბაგაფში, ვალერი ბუთბა, სერგეი ჭარაია, რუდიკ ჭანია და სხვები. ვიყავი НПА-ს წევრი. ვარ აქტიური მონაწილე ყველა აფხაზური ყრილობისა. ხშირად გამოვდიოდი სიტყვით, მე ვიზიარებდი მათს ჭირსა და ლხინს. აფხაზეთში ვცხოვრობდი აფხაზურად. ვწერდი სტატიებს გაზეთ **“აფხაზეთის რესპუბლიკაში”, “აფხაზეთის ხმაში”,** ხშირად მწერდნენ რადიო-ტელე სტუდიაში, რისთვისაც თამაზ ნადარეიშვილი მსაყვედურობდა: რატომ დადიხარ აფხაზებთან, მალე ჩვენი ტელევიზია გვექნება და იქ ილაპარაკე რამდენიც გინდაო. მე მაშინ ქართველები სხვანაირი თვალით მიყურებდნენ. ქართულ შეკრებებზე არ მიშვებდნენ. მახსოვს, ერთხელ მიკროფონი გამითიშეს, მსახიობმა დ. ჯ-მ შემომძახა: არავითარი შერიგება, აუცილებლად სისხლი უნდა დაიღვაროსო. მე კარგად ვიცოდი აფხაზებსა და ქართველებს შორის თოფის გასროლას რა მოყვებოდა. მე ვალერი კვარჭიას ხელით წერილი გავუგზავნე არძინბას, მას მოეწონა წერილის შინაარსი და ის გააცნო დეპუტატებს. მე ოცდაოთხი საათი მუხლჩოქში ვიდექი პარლამენტის შესასვლელთან და ვთხოვდი ორივე მხარეს, ყოფილიყო ურთიერთგაგება. როცა ქართველები გამოეყვნენ აფხაზებს, ჩემი შვილები აფხაზეთში დარჩნენ, ერთი შვილი ანსამბლ **“შარათინში”** ქართულად აკვნესებდა სალამურს, მეორე უნივერსიტეტში აფხაზებთან დარჩა. მე აფხაზები სულ იმას მეხვეწებოდნენ, შენ მარტო რომ დადიხარ, რატომ არ ესწრებიან ქართველები ჩვენს შეკრებებსო. ვლადისლავ გრიგოლის ძემ მიმართა ქართველებს: давай братья, вместе будем защищать от бандитов абхазию. მე დიდ პატივს მცემდა სერგეი ვასილის ძე ბაგაფში. კაბინეტის კარს რომ შევაღებდი მეტყოდა: Гванджи дорогой, заходите, давай поговорим, что нам делать. ის მეუბნებოდა ჯერ კიდევ ტრაგედიამდე, ვითომდა ხუმრობით, მაგრამ ის გულით იყო ნაკარნახევი, Гванджи, дорогой, пусть до галидзга будет твой самурзакано, там нечего нам делать. მე კი საზღვრის კიდევ გადაწევას ვთხოვდი. როცა მდგომარეობა დაიძაბა, დენთის სუნი დადგა, მე ძალიან ვდელავდი. მახსოვს ერთხელ სხდომათა დარბაზიდან გამოვიდა ს. ბაგაფში და მე რომ დამინახა ჩემსკენ წამოვიდა, აფხაზური ზრდილობით ორივე ხელი ჩამომართვა და მანუგეშა: Гванджи дорогой, не переживайте так, сильно не бойтесь, эдвард амросиевич никак не допустит второй карабах на абхазской земле, მე ვუთხარი: Вы очень ошибаетесь! ის იყო, მე, მეორე დღეს ჩამოვედი თბილისში – 1992 წლის 11 აგვისტოს, რომ კომპეტენტური პირებისაგან გამეგო, რას ფიქრობდა თბილისი აფხაზებთან მიმართებაში. პირველად პრესცენტრში შევიარე, ვალერი კვარაცხელიას ჩემი წერილი მივეცი და ვთხოვე საჩქაროდ გამოექვეყნებინა. მან ცივად შემომხედა, წერილი უჯრაში ჩააგდო და მისაყვედურა: რა ამბავში ხართ თქვენ მეგრელები, ზუგდიდში მეგრული დროშა აგიფრიალებიათო. ვნახე, ის ჩემი გამგონე არ იყო და გადავწყვიტე მენახა ჩემი კარგი ნაცნობი, სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, შევარდნაძის ერთგული. მისი კაბინეტის კარები რომ შევაღე, არც კი მომესალმა. გამიკვირდა და ვუთხარი, რაშია საქმე, მოხდა რამე, რომელმა ბზიკმა გიკბინათ-მეთქი. ეს რომ ვთქვი, ის თავისი ჩვეული მანერით ახტა-დახტა და საშინელი სიტყვები მომაყარა, – რომელმა ბზიკმა ბატონო და თქვენმა მეგრულმა ბზიკმა მიკბინაო. მე და ვალერი კვარაცხელია სამეგრელოში ვაცილებდით მსოფლიო პოლიტიკოსს და წალენჯიხაში მეგრელი ქალი დაიკუზა და ედიკას მეგრული თეთრი ტრ.....ი აჩვენაო. სენაკში დამპალი კვერცხები გვესროლესო. მე გულში გავიფიქრე, კიდევ კარგად გადარჩენილხართ-თქო. მან გააგრძელა: თქვენს დამპალ ზვიად გამსახურდიას გვარი რომ არ ჰქონებოდა ია-თი დამთავრებული, ის, რაც მოგივიდათ, არ მოგივიდოდათო. ეს მეც ვიცოდი, მას რომ არ ეთქვა. საქართველოზე დაფერფლილი ზვიადი ხომ ქართულ შოვინიზმს შეეწირა. მან განაგრძო: მაგ დამპალს ივანე ჯავახიშვილი დაავიწყდა და თავის მამას კოსტიაის იუბილე გადაუხადაო, თქვენი მეგრელი ბერია მოვიდა და დედაჩემს ეჟოვის სურათი კედლიდან ჩამოახსნევინაო... ბოლოს დამაბარა, ეხლა რომ ჩახვალ დასავლეთში, გადაეცი შენს ხალხს, მეგრელებსა და აფხაზებს: არის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება შევარდნაძის ხელის მოწერით – სამ დღეში 170 ტანკით მოვდივართ და მეგრელებსა და აფხაზებს ერთ დღეში ზვავივით გადაგივლითო. მე ვერ მოვითმინე და გლეხურად ვუპასუხე: ეგრეთწოდებულ დიდ პოლიტიკოსს – ვიცი თქვენ ჩამოხვალთ, მეგრელებს იოლად გადაუვლით რადგან ისინი ქართველები არიან და წინააღმდეგობას ადგილი არ ექნება, მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი, თქვენ აფხაზებს საერთოდ ვერასდროს ვერ გადაუვლით-მეთქი. იქ მდგომმა პოლიტიკოსებმა ჩაილაპარაკეს, ვინ არიან ეს თქვენი აფხაზებიო. მე ვუთხარი, თქვენისთანა პოლიტიკოსები დაღუპავენ საქართველოს, ნუთუ არ გესმით, რომ თქვენ აფხაზებთან კი არ გექნებათ საქმე, არამედ სულ სხვა, ძლიერ გარე ძალებთან-მეთქი. დაე, მკითხველმა განსაჯოს, ვინ ყოფილა მართალი, ხოლო ეს კაცი კი, ვისზეც ამდენი მოგიყევით, გახლავთ ჩვენი ცნობილი პოეტი ჯ. ჩ!

მე ამ ბინძურ ყაჩაღობაში არ მიმიღია მონაწილეობა. როცა დავინახე, რომ მძიმე ტექნიკით, ტანკებით ეგრეთწოდებული რკინიგზის დამცველები შემოგრიალდნენ, აფხაზური დროშა სოხუმში ჩამოხსნეს და ნაძარცვი გაჰქონდათ, აზრი არ ჰქონდა მიმეღო ამ ძმათამკვლელ მოქმედებებში მონაწილეობა. ისიც კარგად შევატყვე, ქართველების უმრავლესობა როგორ ზიზღს აფრქვევდა. მე არ მინდოდა ვყოფილიყავი მონაწილე ჯერ არ გაგონილი გენოციდისა. გული მტკივა, რომ დღეს, ამ გენოციდის ავტორი, ამერიკის წყალობით, ფუფუნებაში ჰყავთ ქართველებს.

შვილო, ალექსანდრე, გთხოვთ მიპასუხოთ რა დააშავა პინოჩეტმა, მილოშევიჩმა შევარდნაძეზე უარესი? მე მჯერა, ისტორია, ადრე თუ გვიან, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. მე დიდ იმედს ვამყარებდი ივანიშვილზე, ვფიქრობდი, რომ ის გამოასწორებდა ნაცების შეცდომებს. ჩვენდა სამწუხაროდ, სულ სხვანაირად მიდის საქმე. დღევანდელი პარლამენტი დაკომპლექტებულია პრომერიკული ტყუპი ძმებით, მათი პრომერიკულობა და ანტირუსულობა კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს. მე, გლეხს, მიკვირს, რას ფიქრობენ პარლამენტს გარეთ გაყრილი ოპოზიციონერები, რატომ არ ერთიანდებიან, რომ იხსნან საქართველო. ყველას ვთხოვ, ნუ ვაიძულებთ რუსებს იძულებით მიიღონ რადიკალური ზომები ჩვენს წინააღმდეგ. მათ აქვთ იურიდიული უფლება, იზრუნონ თავიანთი საზღვრის უსაფრთხოებაზე და, არ არის გამორიცხული, მავთულხლართებმა გადმოიწიოს უფრო ღრმად, რადგან ოცნების და ნაცების პრომერიკული ქმედებები ამაზე მეტყველებს. ივანიშვილმა სააკაშვილი უფრო დიდ პილიტიკურ ორბიტაზე გაიყვანა, და მან, რადგან კავკასიიდან რუსებს ვერ შეუტია, დღეს უკრაინიდან უტევს რუსებს, ბენდერებთან ერთად. უკრაინის საქმეში ჩარევა ჩვენ კარგს არაფერს მოგვიტანს. ჯობია ჩვენ ჩვენს თავს მივხედოთ. იმედია, საქართველოს ყველა პროგრესული ძალები გაერთიანდებიან ამერიკელი კოლონიზატორების წინააღმდეგ, საერთო ენას გამონახავენ ისტორიულ ძმებთან – რუსებთან და ჩვენც გვეშველება. და ბოლოს, არ შემიძლია არ გამოვეხმიანო მერაბ მეტრეველს: შვილო მერაბ, არა მარტო სოხუმელებმა უნდა მოუხადონ ბოდიში აფხაზებს, არამედ მთელმა საქართველომ, რადგან ქართველებმა გადალახეს ინგირის საზღვარი და არა აფხაზებმა. მე ბევრი მაქვს სათქმელი, ვფიქრობ, მომეცემა საშუალება ვთქვა სიმართლე, როგორიც მწარეც არ უნდა იყოს იგი.

შვილო ალექსანდრე, დიდი იმედით გემშვიდობები, კარგად მეყოლეთ ოჯახით და ერით.

გვანჯი დარასელია,
ზუგდიდი

რა პირობა მისცა გაზეთ “საქართველო და მსოფლიოს” შს მინისტრმა ჭიკაიძემ?

რამდენიმე დღის წინ სასტუმრო **«რადისონ ბლუ ივერიაში»** შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის სტრატეგიის პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც **«საქართველო და მსოფლიო»** იყო მიწვეული. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, 2014 წელს გაგრძელდება სამინისტროს სისტემის რეფორმა, შენარჩუნდება შს სამინისტროს დეპოლიტიზების კურსი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანის უფლებების დაცვას. შს სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასაზღვრო უსაფრთხოება, მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა, ტერორიზმის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, კორუფციის, ტრეფიკინგისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. როგორც შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, პრიორიტეტი იქნება ადამიანის უფლებების დაცვა, ასევე პოლიციის განვითარება, მისი ტექნიკურ-ოპერატიული აღჭურვა. 2014 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა პოლიციელთა გადამზადების დონის ამაღლებასაც, რადგან ბოლო წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროში პროფესიონალიზმის სერიოზული ნაკლებობა იყო. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ **“საქართველო და მსოფლიოს”** შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ექსკლუზიურად ესაუბრა.

– ბატონო ალექსანდრე, რამდენიმე დღის წინ სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ზუგდიდის ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს... ოფისის ხელმძღვანელის – ზურაბ კვარაცხელიას განცხადებით, ეს აპარატურა იქ ახალი ჩამონტაჟებული იყო. გარდა ამისა, ადვოკატი ირმა ჭკადუა ამტკიცებს, მის ტელეფონს უსმენენ და საერთოდ, კატასტროფულად ბევრი ნომერი ისმინება... რა ხდება: შს სამინისტრო ისევ უკანონოდ უსმენს მოქალაქეებს?

– ალბათ, აჯობებს, ჯერ დაადგინონ, ეს მოსასმენი აპარატურა რა ვითარებაში შეიტანეს იმ ოფისში და ზუსტად როდის დაამონტაჟეს. პირადად ვარ იმის გარანტი საზოგადოებისთვის, რომ არანაირი უკანონო ვიდეო და აუდიომეთვალყურეობა, ვიდეოთვალთვალი, ხმის ჩაწერა და მიყურადება არ ხდება და არც მოხდება. დღეს ჩვენი სამინისტრო მთლიანად გადართულია სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესებზე, ჩვენი სამშობლოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და არა მოქალაქეების დევნაზე, ჩაგვრაზე, შანტაჟსა და შევიწროებაზე.

– საზოგადოების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ნაციონალებისდროინდელი ზონდერები, სისხლის სამართლის დამნაშავეები, გახმაურებულ უკანონო სადამსჯელო სპეცოპერაციებში მონაწილე პირები შს სამინისტროში თქვენი მოსვლის შემდეგაც მუშაობენ, მეტიც, საკვანძო თანამდებობებზე ინიშნებიან. როგორია თქვენი კომენტარი?

– პირველ რიგში, იმის თქმა მინდა, რომ მე არავითარ შემთხვევაში არ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმფციას, გამოძიება მიმდინარეობს. დამერწმუნეთ, ჩვენს სამინისტროში მკვლელები არ მუშაობენ, ჩვენ მკვლელებს არ ვნიშნავთ, არავის ვკლავთ და არც მკვლელს ვტოვებთ თანამდებობაზე. თუ მომავალში გამოძიებით დადგინდება, ვინ რა დანაშაული ჩაიდინა, ყველა სათანადოდ დაისჯება, პირადად გაძლევთ ამის გარანტიას.

– იური ვაზაგაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ თქვენ მფარველობთ ქალაქის პოლიციის უფროსს – გიორგი დალაქიშვილსა და მის მოადგილეს – ოთარ მირზოევს, რომლებიც მისი შვილის მკვლელობის თანამონაწილენი არიან. რა პასუხს გასცემთ ამ ბრალდებებზე?

– თუ გამოიკვეთა გიორგი დალაქიშვილისა და ოთარ მირზოევის დანაშაული, ისინი აუცილებლად დაისჯებიან, გაძლევთ ამის პირობას.

– ახლო წარსულში, ხშირი იყო შემთხვევები, როცა რამდენიმე პოლიციელი მოქალაქის დაკავების დროს მძაფრ ზეწოლას ახდენდა დაკავებულ პირზე, სისტემატური სახე ჰქონდა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. ერთი წელი არ არის საკმარისი დრო იმისთვის, რომ ეს მავნე პრაქტიკა ბოლომდე აღმოიფხვრას. როგორ უნდა მოახერხოს ჩვეულებრივმა მოქალაქემ თავის დაცვა, როცა რამდენიმე პოლიციელი აკავებს მას ასეთი ფორმით და როგორ უნდა დაამტკიცოს, რომ პოლიციელებმა თავიანთ უფლებამოსილებას გადაამეტეს მასთან დაკავშირებით?

– შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს გენერალური ინსპექცია და ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს პოლიციელის მხრიდან მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში; გენერალური ინსპექცია გამოიკვლევს აბსოლუტურად ყველა დარღვევას, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება რეაგირება.

ესაუბრა
ᲫᲔᲗᲘ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲙᲘ

P.S. ბევრი შინაგან საქმეთა მინისტრი ნახა ჩვენმა საზოგადოებამ. ძირითადად, მათი ტონი არ იცვლებოდა, ყველა საუბრობდა ადამიანის უფლებებზე, დასავლურ ფასეულობებზე და მოქალაქის უსაფრთხოებაზე. მოგვიანებით ირკვეოდა, რომ თურმე ამ მინისტრებს ელიტურ კორუფციაში იღლიამდე ჰქონდა ხელი ჩაფლული, ხოლო ზოგი მათგანი **«ორ გვამსაც»** მოითხოვდა თანამშრომლებისგან, მსუყე პრემიის სანაცვლოდ... დრო გვიჩვენებს, აღმოჩნდება თუ არა ჭიკაიძე გამონაკლისი მინისტრების ამ სიიდან და რამდენად შეასრულებს **«საქართველო და მსოფლიოსთვის»** მიცემულ პირობას ახალი მინისტრი.

თავისუფლების ძიებაში ჩაკარგულები!

უმარტივესი სპონტანური იერარქიები

მოზარდთა იერარქიები – წარმოიქმნება ყველგან, სადაც რამდენიმე მოზარდია, როგორც არ უნდა ებრძოდნენ მათ მოზარდები. მოზარდთა იერარქიები ულმობელია. თავიდან ბიჭები თამაშის ფორმით ავარჯიშებენ თავიანთ პროგრამებს, მოგვიანებით ურთიერთობები იმდენად მკაცრი ხდება, რომ ვეღარც დაარღვევ. შემდგომში ზოგი იერარქიული სტრუქტურა ბანდად გარდაიქმნება, ზოგი უფრო ცივილიზირებულ გზას ირჩევს.

არაოფიციალური იერარქია არმიაში – არმიაში ოფიციალური იერარქიის გარდა არსებობს არაოფიციალური იერარქია. ვინაიდან არმია გამუდმებით ივსება ახალგაზრდებით, მასში გარდაუვალია იერარქიები. ჯანსაღ არმიაში იერარქიები მსუბუქი ფორმით არსებობს, მაგრამ გახრწნილ არმიაში იერარქია უაზროდ სასტიკი ხდება.

იერარქია ციხეებში – იგი ისეთივე წარმოშობისაა, როგორც საბავშვო ბაღში და არმიაში, მაგრამ აქ იერარქიულ თამაშებს თავშეუკავებლად თამაშობენ მოზრდილი მამაკაცები, თანაც დამნაშავეები. ასეთ შემთხვევაში ლიდერები ხდებიან **„პახანები“**, დანაშაულების ჩადენის მიდრეკილების მქონე, განუსაზღვრელი ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც გარშემორტყმული არიან **„შესტიორკებით“**.

ბანდების, ყაჩაღების, მეკობრეების, მაფიისა და სხვათა იერარქია – ყველა ეს ჯგუფი დასაბამიდან წარმოიქმნება როგორც იერარქიული სტრუქტურა. ქცევის წესი – სისასტიკიდან კეთილშობილებამდე – დამოკიდებულია ლიდერის პირად თვისებებზე.

სუსტად გამოხატული საყოფაცხოვრებო იერარქიები – არსებითად მამაკაცური იერარქიის მოდელი შეიძლება გაჩნდეს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც სუბორდინაცია კანონიერად სუფევს. აქვე, პარალელურად, არსებობს ორი ფარული არაოფიციალური სტრუქტურა. ერთს შეადგენენ ჭკვიანი, წესიერი, მცოდნე და პირდაპირი ადამიანები. მათ, როგორც წესი, არ გააჩნიათ მკაფიო პირდაპირი დაქვემდებარება, ფლობენ დიდ შინაგან თავისუფლებას. მათთან მიდიან, როცა გადასაწყვეტია რთული ამოცანა, მისაღებია არატრივიალური გადაწყვეტილება. არის სხვა სტრუქტურებიც, **„შესტიორკებით“** გარშემორტყმული **„პახანის“** მეთაურობით, რომელიც შედგება სხვადასხვა ჯურის გაიძვერებით, შურიანებით და უსაქმურებით. ისინი ქმნიან ცალკე იერარქიას და საკმაოდ მკაცრად ექვემდებარებიან ერთმანეთს.

ადამიანის ქცევის ზოგადი თვისებების ასახსნელად ბევრი რთული და ჩახლართული თეორიაა გამოგონებული. ჭეშმარიტება კი ქცევის მოტივირების ძალზე მარტივ და თანდაყოლილ პროგრამებშია, რომელიც ბუნებრივმა გადარჩევებმა ბევრ სხვა სახეობებზე გამოსცადა.

საზოგადოებრივი ცხოვრების წესის იერარქიული პროგრამები პრიმატების ველური ჯოგისათვის შეირჩა, რომელსაც დღესაც დიდი წარმატებით იყენებენ რიგი ქვეყნების ხელისუფლებები. ვიცით რა, სადამდე მივყავართ იერარქიის უკონტროლო წარმოშობას, ვალდებულნი ვართ ვაკონტროლოთ ისინი და გარკვეული გეზი მივცეთ. ამისათვის საჭიროა ხალხს ჰქონდეს ხელისუფლებაზე ზემოქმედების გარკვეული ბერკეტები. ერთი შეხედვით თითქოს გვაქვს სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი სტრუქტურები, გვყავს მთავრობა და თითქოს და არჩეული პარლამენტი, რომელიც წესით ხალხის ინტერესებს უნდა იცავდეს. ჩვენი პარლამენტარების საქციელს ერთი გემრიელი იმერელი კაცის გამონათქვამი რამოდენიმე სიტყვით აღწერს: ამ ოხრებს დამით არ სძინავთ იმაზე ფიქრით თუ როგორ გაამწარონ კაცი. ეს ფრაზა იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ღებულობდნენ კანონებს ჭის გათხრაზე, კენკრის მოკრეფაზე, მდინარიდან ქვიშისა და სილის გამოტანაზე, ტყეში შეშის შეგროვებაზე და ა.შ. ჯარიმებს რომ აკანონებდნენ.

არადა, როგორი დაპირებები იციან; დეპუტატობის ორი კანდიდატი ქალბატონის ამომრჩეველთან შეხვედრას გავიხსენებ. ერთი ქალბატონი სოფლელებს ხიდის გაკეთებასა და სინათლის გაყვანას პირდებოდა, ხოლო მეორე კორპუსში საკანალიზაციო მილების გამოცვლას. ჩემმა ეჭვმა რომ, იმ ქალბატონებიდან არც ერთი ჩანდა ხიდის მშენებელი ინჟინერი და ან ელ. განათების ბოძზე ამსვლელი, როგორც მეორე არ იყო სანტექნიკოსი და მილებს ვერ შეცვლიდა, საკუთარ ფულს კი ამ საქმეში არ ჩადებდნენ, დამსწრე საზოგადოება ფრიად უმაყოფილო დატოვა და ამ ამბავმა, მიუხედავად ჩემი მათდამი ახლობლობისა, ჩვენს შორის პატარა შეხლა-შემოხლაც კი გამოიწვია. ამ საქციელს ისევ ეთოლოგები ხსნიან მაკაკების საქციელით: საკმარისია დომინანტმა გადაწყვიტოს ჯოგის არასასურველი წევრის დასჯა, დანარჩენებიც უმალ მხარს აუბავენ. ეს არის მისამართშეცვლილი აგრესია. ამ მექანიზმის გამოყენებით დომინანტს შეუძლია განსაკუთრებული რისკის გარეშე დაამარცხოს მასზე დაბლა მდგომნი.

ეს პროგრამები განსაკუთრებით ძლიერად მუშაობს ადამიანებში. რიგში დგომის დროს ალბათ შეამჩნევდით გამყიდველი (ჩვენს ქვეცნობიერებაში – დომინანტი რომელიც რადაცას ანაწილებს, რადაცას ხელმძღვანელობს) როგორ მიუსვევს მთელ რიგს იმ მყიდველს, რომელიც გაბედავს და რაიმეს მოითხოვს, მათ შორის რიგში მდგომთათვის სასარგებლოს. შეამჩნევდით ალბათ, თუ როგორ ადვილად მიიმხრობს გამყიდველი იმათ, ვინც თავს სხვებზე უფრო სუსტად მიიჩნევს – უფრო ადვილად ქალებს, ვიდრე მამაკაცებს, ასაკოვნებს ვიდრე ახალგაზრდებს. გამყიდველს არ სჭირდება ამ ზუსტი ფსიქოლოგიური ილეთის სწავლება, იგი უსწრაფესად ამოტივტივდება ქვეცნობიერებიდან.

ადამიანებში ეს პროგრამები მრავალსახოვანია: გაკიცხვა კრებაზე, საჩვენებელი პროცესი, საჯაროდ დასჯა და ა.შ. ბრბოს შეუძლია დამნაშავის ჩაქოლვა. ადამიანები ერთი დეტალით განვსხვავდებით მაიმუნებისაგან. ორივენი დასასჯელს რისხვას დაატეხს, მაგრამ, მაიმუნისგან განსხვავებით, ადამიანს შეუძლია გამოყოს აქტიური დამსჯელები, დაიახლოვოს და განადიდოს კიდეც. ასე იქმნება ყველაზე საშინელი სტრუქტურა – ნაძირლებით გარშემორტყმული იერარქია. ტირანი გარს შემოიკრეფს ადამიანებს, რომელთა გამორჩეული თვისებებია დამნაშავეობა, ამორალობა, ლაჩრობა და აგრესიულობა მათზე ქვემოთ მდგართა მიმართ.

ადამიანები, რომლებიც თავის თავს პოლიტიკოსებად მოიხსენიებენ, ძალაუფლების ჟინით შეპყრობილთ სწორედ ასეთი მოჭარბებული პროგრამები გააჩნიათ. არც მინახავს და არც წამიკითხავს რომელიმე ვიიპოლიტიკოსის ნაშრომი. ამომრჩევლებთან შეხვედრებში ყველა მათგანი, ალბათ ამომრჩევლების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, წყლის, დენის, გაზის, გზის გაყვანის პირობას დებს. არავინ ამბობს თუ როგორ მიხედავს მორყეულ საზღვრებს, დაკარგულ ტერიტორიებს, ადამიანების გათელილ და პატივაყრილ გრძნობებს (ის, რომ ქართველი ხარ), როგორ დააბრუნებს უცხო ქვეყნებში ლუმპაურის საშოვნელად გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებს, როგორ აღადგენს დაკარიელებულ, მოხუცების ამარა დატოვებულ ან სულაც დაცლილ სოფლებს, რომლებიც ქმნიდნენ ერის გენოფონდს, ინახავდნენ ერის ზნეს, ჩვევებსა და კულტურას; ან რას უპირებს იმ გადაგვარებულ, ზნედაცემულ ადამიანებს ვინც წაქცეულ თანამოძმეს ხელკეტს ურტყავდა და მიჯრით იარაღს ესროდა – ეს ხომ პიროვნებისა და საზოგადოების სრული დეგრადაციაა. მოწმე ვარ თუ როგორ განიცდიდა პოლიციელი იმის, რომ არ იმყოფებოდა ერთ-ერთი მიტინგის დარბევაზე და რის გამოც ვერ მიიღო პრემია. ამ ხალხს ოჯახი, სამეგობრო ან სანათესაო, მშობლები ხომ ჰყავთ? ეს მცირე, მაგრამ მაინც საზოგადოება ხომ არის?!

ერთი პარტია იმასაც გვპირდება, რომ ოთხი წლის განმავლობაში ათას ლარს ვაუჩერის სახით მოგვცემს. ეს ხომ იმას ნიშნავს რომ კიდევ ოთხი წლით ხელგაწვდილ მათხოვრებად გვიპირებენ ყოფნას.

ჩვენი დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე, შეიძლება საზოგადოებისათვის სულ ერთი იყოს თუ როგორ ვიქნებით. არიან ისეთებიც რომლებიც ერთი დღით ცხოვრობენ – **„დღეს მე ვიყო კარგად“**, ხვალ რა იქნება არ აინტერესებთ. არადა თუ მთლიანად ქვეყანა არ იქნება კარგად, მარტო პიროვნება ვერ იქნება ბედნიერი, ვინაიდან ის პროგრამები რომლებიც ადამიანს გააჩნია მთლიანად გათვლილია საზოგადოებრივი ცხოვრების წესზე. სიცოცხლის გახანგრძლივებაზე, ადამიანის უკვდავებაზე, სიცოცხლის ელექსირზე, რისთვისაც არაფერს იშურებდნენ განსაკუთრებით ტირანი მმართველები, ბუნებას არ დავიწყებია და ჩადებული აქვს შთამომავლობაზე გენეტიკური კოდის გადაცემით. ჩვენი სიცოცხლე შთამომავლობაში გრძელდება. საოცარია, ყველა ცოცხალი ორგანიზმი როგორ იბრძვის თავისი შთამომავლობის გასამრავლებლად. ეს საკმაოდ დიდი თემაა და ზოოლოგებმა კარგად იციან.

კიდევ ერთი საკითხი – იმიჯშელახულ და დეგრადირებულ საზოგადოებაში ეროვნული სულის გამოღვიძება, პატრიოტიზმის გრძნობების გაღვიძება და აღორძინება, რომელიც ალბათ შესაძლებელია, მაგრამ უფრო ძნელი, ვიდრე ეს მე-19 საუკუნეში გვქონდა ქართველებს. გლობალიზაციის პროცესის პირობებში, რომელიც წაშლით ემუქრება პატარა ქვეყნებს, თუ არა დიდი და ძლიერი ფესვები, ძნელია ერმა შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა. ისტორიული ფაქტებია, რომ საქართველოში ძნელბედობის ჟამს იბადებოდნენ ადამიანები, ერის ნამდვილი შვილები, რომელთაც ქვეყანა ბევრჯერ გადაურჩენიათ და ჩვენამდე მოუტანიათ ტერიტორიებით, ერით და სარწმუნოებით.

ფუტკრებში, რომელთაც კომუნიზმის მსგავსი საზოგადოება აქვთ შექმნილი და, ამასთან დაკავშირებით, საზოგადოების მართვის განსაკუთრებული პროგრამებიც გააჩნიათ, ძირითად ფიგურას წარმოადგენს დედა ფუტკარი. მასზეა დამოკიდებული მთელი სკის ბედ-იღბალი. მის შეცვლას 3-4 წლის პერიოდულობით ახდენენ. ხდება ისეც, რომ თუ დედა ფუტკარი დაიღუპება და ვერ მოასწრებენ ახალი დედის გამოყვანას, გაჩნდება ცრუ დედა, რომელიც უაზროდ დებს კვერცხებს, საიდანაც მხოლოდ არსებული საზოგადოებისათვის გამოუსადეგარი მამალი ფუტკრები იჩეკებიან. მეფუტკრე გრძნობს სკაში უდედობას. ამ დროს მუშა ფუტკარი შეწუხებულია და სკა განსხვავებულ ხმას გამოსცემს. ფუტკრებმა იციან, რომ საზოგადოება (სკა) დაიღუპება, მაგრამ ცრუ დედის გავლენით მეფუტკრეს სკაში ნამდვილი დედის შეყვანის საშუალებას არ აძლევენ. მეფუტკრეებს დამუშავებული აქვთ ცრუ დედის შეცვლის მეთოდი, რაც ამ საზოგადოებისთვის საკმაოდ მტკივნეული და არასასურველი პროცესია. ცრუ დედისაგან სკის განთავისუფლების მიზნით მეფუტკრე სკიდან იღებს ჩარჩოებს, გააქვს 200-300 მეტრზე და ჩარჩოს აცილებს ფუტკარს. ზოგიერთი მეფუტკრის აზრით ცრუ დედამ არ იცის სკაში დასაბრუნებელი გზა, ან უკან დაბრუნებულს მუშა ფუტკრები არ შეუშვებენ სკაში და კლავენ.

რომან კენკიშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქინფორმი, აანალიზებს რა გელაპის ინსტიტუტის გამოკითხვის შედეგებს, მიიჩნევს, რომ საქართველოს მცხოვრებთა 63% ნანობს სსრკ-ის დაშლას და მხარს დაუჭერს საქართველოს შესვლას ახალ ევრაზიულ კავშირში

როგორც ცნობილია, 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა (სსრკ) ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა და ადგილი დაუთმო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ).

22 წლის შემდეგ – გასული 2013 წლის დეკემბერში – საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცნობილმა ამერიკულმა ინსტიტუტმა – გელაპის ინსტიტუტმა – გამოაქვეყნა საკუთარი გამოკვლევის შედეგები – რას ფიქრობენ ყოფილი სსრკ-ის მცხოვრებნი მის დაშლაზე. ამ მიზნით გამოიკითხა საბჭოთა კავშირის 11 ყოფილი რესპუბლიკის 1000-ზე მეტი მცხოვრები, რომლებსაც ერთი კითხვა დაუსვეს: **“სსრკ-ის დაშლამ თქვენს ქვეყანას უფრო მეტი ზიანი მოუტანა თუ სარგებლობა?”.**

გამოკვლევა ჩატარდა რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, ყაზახეთში, თურქმენეთსა და მოლდოვაში, მასში მონაწილეობდნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ყირგიზები, ტაჯიკები, მოლდოველები, ყაზახები და თურქმენები (გამოკითხვა არ ჩატარებულა უზბეკეთში, ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში).

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების გამოკითხულ მცხოვრებთა უმრავლესობას – მიაჩნია, რომ სსრკ-ის დაშლამ მათ ქვეყნებს ზიანი მოუტანა, და მხოლოდ 4 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის – საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის და თურქმენეთის – მოქალაქეთა უმრავლესობა თვლის, რომ ამან მათ ქვეყნებს სარგებლობა მოუტანა.

საქართველოში პროცენტული თანაფარდობა შემდეგია (ცდომილება, გელაპის ინსტიტუტის აღიარებით, შესაძლოა შეადგენდეს 3-5%-ს):

37% – სსრკ-ის დაშლამ საქართველოს სარგებლობა მოუტანა;

33% – სსრკ-ის დაშლამ საქართველოს ზიანი მოუტანა;

9% – არც ერთი, არც მეორე;

21% – არ იციან/პასუხის გაცემაზე უარი თქვეს.

საქინფორმის ანალიზი: ამგვარად, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საქართველოში სსრკ-ის დაშლის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის განსხვავება მხოლოდ 4%-ს შეადგენს. გელაპის ინსტიტუტის მიერ გამოცხადებული 3-5%-იანი დასაშვები ცდომილების მიუხედავად, ამ 4%-ს მიკერძოებულად ნურცერთ მხარეს ნუ მივამატებთ, არამედ ყურადღება მივაქციოთ იმათ რაოდენობას, რომლებმაც არ იციან/პასუხის გაცემაზე უარი თქვეს – 21% და იმ რესპონდენტთა რაოდენობას, ვინც სსრკ-ის დაშლას ნეიტრალურად ეკიდება – 9%. თუ ეს უკანასკნელნი ფიქრობენ, რომ სსრკ-ის დაშლამ საქართველოს, უბრალოდ, არაფერი მოუტანა – არც ზიანი და არც სარგებლობა, არმცოდნე/პასუხის არგამცემთა 21%-ის საქმე სხვაგვარად არის. თუ გავითვალისწინებთ:

– ანტისაბჭოთა და ანტირუსულ პროპაგანდას, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარეობს საქართველოში – პრეზიდენტების შევარდნაძის (ერთ-ერთი მთავარი შემსრულებლის, ვინც სსრკ-ის რღვევა განახორციელა) და სააკაშვილის (სსრკ-ის დაშლის მთავარი დამკვეთის – აშშ-ის დასმული კაცის) დროს;

– რომ ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე (საქართველოში საპარლამენტო არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილის კოალიცია **“ქართული ოცნების”** გამარჯვების შედეგად ხელისუფლების შეცვლამდე) რუსეთთან მეგობრობისადმი, სსრკ-ის დროს ხალხთა ძმობისადმი უმცირესი სიმპათიის გამოვლენა კვალიფიცირდებოდა, როგორც სამშობლოს ღალატი და ჯაშუშობა და სისხლის სამართლებრივად ისჯებოდა, ქართულ ციხეებში სასიკვდილო წამებამდეც კი.

პასუხის გაცემაზე უარის მთქმელი 21% – შედეგია სწორედ საქართველოში ჩანერგილი და ადამიანთა ცნობიერებიდან ჯერაც აღმოუფხვრელი შიშისა, რომ პრორუსულად არ ჩათვალონ!

ხოლო თუ გავითვალისწინებთ ქართული საზოგადოების ტოტალურ პოლიტიზაციას, როდესაც მოქალაქეთა საუბრის მთავარი თემა პოლიტიკაა, იმათ საერთო რაოდენობას, ვინც **“არ გარკვეულა, არ იციან პასუხზე უარი თქვა”** – 30%-ს (9%+21%=30%) საქინფორმი არარეალურად მიიჩნევს.

ამიტომ, დიდი საფუძვლიანობით შეგვიძლია ეს 30% გამოკითხულთა იმ 33%-ს მივამატოთ, ვისაც სსრკ-ის დაშლა საქართველოსთვის საზიანოდ მიაჩნია. შედეგად გამოდის, რომ საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა – 63% (33%+30%=63%) ნანობს სსრკ-ის დაშლას და მხოლოდ მიესალმება საქართველოს შემდგომ გაერთიანებას ახალ კავშირში სსრკ-დსთ-ის ყოფილ პარტნიორებთან, ანუ ევრაზიულ კავშირში.

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს დიდსეული შვილები

მუშნი დადიანი — სამშობლოს შეჭირული რაინდი

მერი ივანეს ასული შერვაშიძის მეორე მეუღლის ბედიც ტრაგიკული აღმოჩნდა. პირველმა, კონსტანტინე ლაკერბაიამ, როგორც გვახსოვს, ველური რუსი მეზღვაურების მიერ ნიკოლოზ ემხვარის გემის საქვაბეში დაწვის შემდეგ (ამ საშინელებას თვითონ შეესწრო), შინ დაბრუნებულმა, რევოლვერით თავი მოიკლა. ნიკოლოზ მელიტონის ძე ემხვარი, მეფის უმამაცესი ოფიცერი, თავმოყვარე ვაჟკაცი, მისი საქმის მოსაგვარებლად პეტერბურგიდან სოხუმში ჩამოვიდა. ქალაქში გასული, მთვრალმა, სოხუმში შემოხეტიალებულმა მეზღვაურებმა აბუჩად აიგდეს, მოხდა სისხლიანი შეხლა-შემოხლა და ამ ინციდენტს კიდევაც შეეწირა. სწორედ იგია გამოყვანილი, უჯუშ ემხას სახელით, ლეო ქიაჩელის უკვდავ მოთხრობაში **„ჰაკი აძბა“.**

იშვიათი გემოვნებით, ნატიფად გამოცემულ **„მოგონებათა დღიურში“** მრავალი უნიკალური ფოტოსურათია დაბეჭდილი. უშუალობითა და პოეტურობით, მე განსაკუთრებულად მომხიბლა ერთმა, რომელზედაც ჭიათურის მახლობლად მდებარე სოფელ დარკვეთში (იქ უხდებოდა მუშაობა ამერიკელ მრეწველ ჰარიმანთან ოჯახის უფროსს, სამთო ინჟინერს, ეკონომისტს, ინგლისსა და გერმანიაში განსწავლულს) ვეებერთელა, გაშლილი ეზოს ფონზე, ქალბატონი ბაბოს ქალ-ვაჟი, სამი წლის თათული და ხუთი წლის გიორგი ჩანან. თათულის უსახელოებო თეთრი კაბა მოსავს, ხელთ თეთრი ჯამი უჭირავს, კოხტად დავარდნილ თმაზეც თეთრი ბაბთა უკეთია. გიორგისაც თეთრი საზაფხულო ტანისამოსი აცვია, თავი დახრილი აქვს. მის ზურგს უკან რამდენიმე თეთრი ბატი მიღერღეტობს; გეგონებათ, ერთ-ერთმა ქათქათა ფრთები უნდა გააკანკალოს და დაიყივლოსო. ჭეშმარიტად იდილიური, პასტორალური სურათია. იფიქრებ, უბრწყინვალესი ფრანგი რეჟისორის ლამორისის დაყენებულ კადრს ვუყურებო. სამწუხაროდ, ეს სიამტკბილობა დიდხანს არ გაგრძელებულა — ამ უპატიოსნეს, სტუმართმოყვარე, კეთილშობილურ ოჯახს ზედიზედ დაატყდა უბედურებანი, რასაც ისევ და ისევ სათაყვანებელი ქალბატონი ბაბოს ჩანაწერებიდან ვიგებთ.

ჩემს მიერ რამდენჯერმე ნახსენები, ბაბო დადიანის ქალიშვილი თათული მასხარაშვილი, მიამიტობამდე გულკეთილი ადამიანი, სულსაც რომ არ დაგიკავებს, წლების მანძილზე რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მსახურობდა და ახლოს ვიცნობ. იცის, რაზედაც ვმუშაობ და მითხრა, ძველ, გარდაცვლილ არისტოკრატთა ნაწერებს, კერძოდ, მუშნი და ოთარ დადიანების დის, გოშაიას მოგონებებს წაგაკითხებო. იქ ყოფილა ეპიზოდი ოთარ დადიანის საარაკო, განსაცვიფრებელი გმირობისა, რომელიც მან ზეპირად მიამბო.

პირველი მსოფლიო ომის დროს, ფრონტზე ყოფნისას, ისეთი საგანგებო ვითარება შექმნილა, რომ საშინლად ადიდებული დნეპრის ერთი ნაპირიდან მეორეზე წერილის გადატანა გამხდარა საჭირო და ამის შესახებ მებრძოლებისთვის გენერალს გამოუცხადებია. არავინ გატოკებულა, მხოლოდ ოთარ დადიანს, ოცდაორი წლის ჭაბუკს, გამოუთქვამს სურვილი აბობოქრებული მდინარის გადაცურვისა. პაკეტი ქუდში საიმედოდ ჩაუმაგრებია და აგორებულ ტალღებში გადაშვებულა. უვნებლად გასულა გაღმა და იმ წერილის პასუხიც გადმოუტანია. მტერსაც კი ვერ დაუმალავს აღტაცება და ტაშისცემა ამტყდარა. ადვილი წარმოსადგენია, ასეთი გმირობის ჩამდენს რა გამაყრუებელი ყიჟინით შეეგებებოდნენ თანამებრძოლები და, პირველ ყოვლისა, სიამაყით სავსე მისი უფროსი ძმა, მუშნი დადიანი. ამ თავგანწირვის გამო, ოთარ დადიანს წმინდა გიორგის სახელობის მეოთხე ჯვარი გადასცეს.

ღრმად სიმბოლური იქნებოდა და ამავე დროს სევდის მომგვრელიც, **„მოგონებათა დღიურში“** სადმე აღნიშნულიყო, რომ საუკუნეს მიღწეული ბაბო დადიანის ცხედარი ახლობლებმა გაასვენეს იმავე ტაძრიდან, სადაც 1921 წლის 7 იანვარს (საქართველო კიდევ არ იყო წითელი არმიის მიერ დაპყრობილი) მან და ალექსანდრე მასხარაშვილმა ჯვარი დაიწერეს. ქალბატონ ბაბოს მოხდენილად, ფერადოვნად აქვს აღწერილი ეს ულამაზესი რიტუალი და ქორწილის სუფრები. იმასაც იგონებს, რომ მისი მეჯვარეები იყვნენ მერი შერვაშიძე-ერისთავისა და გენერალი ვალოდია წულუკიძე. როგორი საზოგადოება ეყოლებოდათ მიწვეული, ისედაც ცხადია.

დაბოლოს, საგანგებო აღნიშვნის ღირსია **„მოგონებათა დღიურის“** პროექტის ავტორი - სა და რედაქტორის ნინო ხოფერიას დამსახურება, რომლის უზადო გემოვნება წიგნის გასაოცრად მიმზიდველ გაფორმებასა და დიდი კულტურით დაწერილ მისსავე წინათქმაში თვალნათლივ ჩანს.

იმის დასტურად, რა ღრმად ჩაწვდა იგი ქალბატონი ბაბოს განუმეორებელ პიროვნებას და მის ესოდენ ფასეულ დანატოვარს, ხსენებული წინათქმიდან ორიოდე აბზაცის ამოწერაც იკმარებს:

„მოგონებათა დღიური პუბლიკაციისთვის არ იყო გამიზნული („იქნებ ჩემმა შვილიშვილებმა წაიკითხონ ოდესმე...“), ანუ შესაძლოა, ეს ხელნაწერი რვეული, ცალკეულ ფურცლებთან ერთად, მხოლოდ საოჯახო რელიკვიად დარჩენილიყო ისე, როგორც ქალბატონ ბაბოსეული მემორიალური სამელნე ან შანდალი, ჩამოღვენთილი სანთლით...

ბაბო დადიანი რელიკვიად აქცევდა ყველაფერს. მაგალითად, მარტვილის ეკლესიის ეზოში მოწყვეტილ ყვავილს, რომელიც დღიურის ფურცლებშია ჩაკრული, წარწერით: **„მოწყვეტილია მარტვილის ეზოში...“** მისივე ხელნაწერებთან ერთად აღმოჩნდა ყაზახეთის პლანტაციებში მოკრეფილი ბამბის მცენარეც...

თუ რაოდენ ფაქიზი, პოეტური სული ჰქონდა ქალბატონ ბაბო დადიანს, ამას ისიც გვამცნობს, დღიურის ერთ-ერთ ფრაგმენტ - ზე როგორ განწყობილების შესაფერისად აღუნიშნავს ნაფიქრალის რვეულში ჩაწერის თარიღი: **„1959, წვიმიანი გაზაფხული“**.

გვანჯი ჩიქოვანის მრავალმხრივი, ხიფათებით აღსავსე ცხოვრების ეპიზოდებს როცა ჩავუღრმავდი, ჩემთვის უმალვე ცხადი გახდა, რომ ამ საარაკო ვაჟკაცის გარემოცვიდან ყველაზე მთავარი ფიგურა იყო მისი ნათლიის, კოწია დადიანის უფროსი ვაჟი მუშნი დადიანი. ისინი თითქმის თანატოლები იყვნენ.

შემთხვევისა თუ ბედისწერის გამო, სწორედ მუშნი დადიანის გვერდით იმყოფებოდა გვანჯი ჩიქოვანი ესოდენ სახელგანთქმულ **„ველურ დივიზიაში“** და პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მასთან ერთად მონაწილეობდა სისხლისმღვრელ ბატალიებში, სადაც არაერთხელ ისახელეს თავი.

მხედრობისა და ვაჟკაცობის იგივე გზა გაიარა საქართველოს თავისუფლებისთვის დაუცხრომელმა მებრძოლმა, უცხოეთის მიწაზე გარდაცვლილმა და ამჟამად მთაწმინდის სავანეში საფლავმიჩენილმა ჩვენმა ეროვნულმა გმირმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. მარტო ამათი და კიდევ რამდენიმე პიროვნების ხსენებითაც აშკარა ხდება — მეოცე საუკუნის დამდეგს როგორი გაუტეხელი ნებისყოფისა და შეუბღალავი ზნეობის ძლევამოსილი თაობა გვყავდა. ყოველ ჩვენთაგანს ამის შეგნება სიამაყეს უნდა გვრიდეს, გვამხნევებდეს რწმენა იმისა, რომ ამ რაინდების უთანასწორო ბრძოლას განუზომლად აღმატებულ ბოროტ ძალასთან ამაოდ, უკვალოდ არ ჩაუვლია. ვალდებულნი ვართ, ყველაფერი ვიღონოთ, რათა მათ ხსოვნას შესაფერისი პატივი მივაგოთ.

მრავალგზის ნახსენებმა საუკეთესო პიროვნებამ, ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა პაატა ქურდოვანიძემ კარგად იცოდა ჩემი განზრახვა და გამუდმებით მაწვდიდა ძვირფასს, უნიკალურ მასალებს, რომელთა ნაწილს ამ წიგნში ვიყენებ. უმრავლესობა ამ მასალებისა მუშნი დადიანის ირგვლივ იყრის თავს, მისი ნაკალმარია და რომც არ შევაფასო, განმარტებები არ დავურთო, ისედაც ჩანს, როგორი ნათელი აზროვნების, რა ძალის და გაქანების ადამიანია აქ წარმოდგენილი წერილების, ავტობიოგრაფიული ჩანაწერებისა და დღიურების ავტორი.

მე მკრთალად შემოვხაზე თუ შემოვლამდე მუშნი დადიანის ნაწამები, გაუტეხელი სახე, ხოლო მისი მონუმენტური ფიგურის მთელი სისრულით გამოკვეთა მომავლის საქმეა.

მუშნი დადიანი, მიუხედავად თავადური წარმოშობისა, მთელი ცხოვრება ჩაგრულთა და უპოვართა ქომაგი იყო, მუდამ იმას ცდილობდა, გაჭირვებულთა მდგომარეობა რითიმე შეემსუბუქებინა. თავისი მამის, თავგადაკლული პატრიოტისა და პოეტის, საზოგადო მოღვაწის შვილს, ილიასა და აკაკის იდეებზე აღზრდილს, სიყრმიდანვე ჰქონდა გულში ამოჭრილი საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლა, რასაც კიდევაც შეეწირა.

გამჭრიახი გონების ყმაწვილმა ადრევე შეიმუშავა ცხოვრებისეული მრწამსი, იმთავითვე გაემიჯნა დიდ ილიასთან დაპირისპირებული სოციალ-დემოკრატთა ლიდერების — ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის — ანტიეროვნულ პოზიციას, ბოლომდე მათ შეურიგებელ მოწინააღმდეგედ დარჩა; ეროვნულ-დემოკრატთა (ფედერალისტების) პარტიის აქტიური წევრი გახდა და 1904 წლიდან იდეურ მოძღვრად ილია ჭავჭავაძის ღირსეული მემკვიდრე არჩილ ჯორჯაძე აღიარა.

სპირიდონ კედიასთან, მელიტონ გობეჩიასთან, ვასო ალშიბაიასთან და სხვებთან ერთად, მუშნი დადიანი აქტიურად იყო ჩაბმული იმხანად აბობოქრებულ რევოლუციურ მოძრაობაში. ეს ამბავი მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა მამამისს, ჭკუადამჯდარ კაცს, მაგრამ შვილის არჩევანს არ გადაღობებია.

მუშნი დადიანმა უშუალოდ გამოსცადა ცხრაასხუთი წლის რევოლუციის დამარცხება, ზუგდიდის მაზრაში სისასტიკით გამორჩეული ალიხანოვ-ავარიელის დამსჯელი რაზმის თარეში. გვანჯი ჩიქოვანიც აღწერს თავის მოგონებებში, როგორ გადაბუგეს ყაზახ-რუსებმა მამამისის, კონსტანტინე დადიანის სასახლე — ხანძარმა შთანთქა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, **„დიდი ნიკოს“** ნაშრომები, ძველი ხელთნაწერები — ფასდაუდებელი განძი. თვით მუშნი დადიანი სიკვდილით დასასჯელთა სიაში იყო შეტანილი, იწვნია დევნილობის მთელი სიმწარე; სპირიდონ კედიასთან და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, ენგურის ხეობას აუყვა და საშინელ უამინდობაში, თოვაში (1906 წლის ადრიანი გაზაფხული იყო), სვანეთს შეაფარა თავი, რათა იქედან დედამისის სამშობლო კუთხეში, ყარაჩაში გადასულიყო. ყოველივე ეს ცოცხალ სურათებად არის წარმოდგენილ მის ძალზე ნიჭიერად დაწერილ დღიურში.

პაატა ქურდოვანიძემ მომიყვა (იგი მუდამ სარწმუნო ცნობებს ეყრდნობა) ერთი ნაკლებად გახმაურებული ფაქტი ახალგაზრდა სტალინის ცხოვრებიდან. სოსო ჯუღაშვილი, მასავით გორელ სიმონ ტერ-პეტროსიანთან, კამოსთან ერთად, საკმაოდ იყო გაწაფული ფოსტის ფულების გატაცებაში (ნაძარცვი შვეიცარიაში მყოფ ბოლშევიკების ლიდერს, ლენინს ეგზავნებოდა). იმხანადაც, 1905 წელს, ბოლშევიკებს ბათუმიდან მომავალი ფოსტის გემი გაუძარცვავთ. გემი ოჩამჩირის მახლობელ სოფელ სიდას მიაყენეს. აქ სტალინი დაიმალა, ვინაიდან ჟანდარმერიამ კვალი აიღო და მას დაეძებდა, როგორც დამნაშავეს. ცოტა ხნის მერე მოხერხდა ისე, რომ მუშნი დადიანმა და ვარლამ ჩიქოვანმა დევნილი კობა ზუგდიდიდან კუბოში ჩასვენებული გამოაპარეს სოფელ ხეთამდე. იქედან იგი ტყე-ტყე გადაიპარა მენჯში, შეეხიზნა ბერ ალექსი შუშანიას დაარსებულ მამათა მონასტერს. ექვსი თვე იმალებოდა იქ და, როდესაც საშიშროებამ განვლო, გაეცალა სამეგრელოს.

მუშნი დადიანს რომ სცოდნოდა, ვინ დაიხსნა, მეგობართან ერთად, სახრჩობელას გასანთლული თოკიდან, ასე ნამდვილად არ გადადებდა თავს.

ისტორიამ იცის ცოცხალი ადამიანის კუბოთი გაპარების შემთხვევა. რომის იმპერიის მიერ დაპყრობილ-დამონებულმა ებრაელებმა (რომაელთა სარდალი მაშინ ვესპასიანე იყო) ასე გაიყვანეს ქალაქიდან მოხუცებული ფილოსოფოსი ბენ-ზაქაი და მან, იერუსალიმს მოშორებულმა, პატარა ზღვისპირა ქალაქში შექმნა იუდაისტთა მძლავრი სკოლა, შეინარჩუნა მამა-პაპათა მოძღვრება, არაერთი დიდი სწავლული აღზარდა, რითაც თავის ერს დაუვიწყარი ამაგი დასდო.

მუშნი დადიანის საქმიანობაზე 1905 წლის რევოლუციის დროს, მიუხედავად ავტორის ტენდენციურობისა, სარწმუნო ცნობებია დაცული შემდგომ დახვრეტილი დიდი თანამდებობის მქონე პარტიული მუშაკის თენგიზ ჟღენტის წიგნში **„რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში (1905 წ.)“,** რომელიც სახელგამმა გამოსცა 1929 წელს, როცა ჯერ კიდევ არ იყო მკაცრი ცენზურა.

თენგიზ ჟღენტს საკმაოდ მოაქვს ადგილები ქუთაისის გუბერნატორის მოხსენებიდან, პუნქტებად არის ჩამოწერილი 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებული მოვლენები.

საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი ზუგდიდის მაზრაში მიმდინარე პროცესებს, ჩამოთვლილია აგიტატორები, რომლებიც სხვადასხვა სოფლებში (კორცხელი, ჩიკვინჯი, გულისკარი, კახათი, დარჩელი, მუხური, ნიკოსი, ჭკადუაში და სხვ.) გამართულ კრებებზე სიტყვით გამოდიოდნენ, **„ცდილობდნენ შთაეგონებინათ მცხოვრებთათვის, რომ ამჟამად არსებული ბიუროკრატიული მთავრობა იმდენად დასუსტებულია იაპონიასთან ომში, რომ მას არ შეუძლია ხალხის მოთხოვნებს წინააღმდეგობა გაუწიოს“.**

იყო მოწოდებები — გაეჩეხათ მემამულეთა ტყეები, გლეხებს არ გადაეხადათ მიწის ღალა, არ წასულიყვნენ ჯარში, არ გადაეხადათ არანაირი გადასახადები და, საერთოდ, ყოველმხრივ დაპირისპირებოდნენ მთავრობას.

აქტიურ აგიტატორებს შორის (მელიტონ გობეჩია, სპირიდონ კედია, იასონ შენგელაია, პავლე აკობია, ნიკო თოდუა, ვასილ ალშიბაია) დასახელებულია თავადი მუშნი დადიანიც.

მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი გენერალი მალამა შეშფოთებას გამოთქვამდა **„არალეგალური პროპაგანდის“** გავლენით სიმშვიდის დარღვევის, არეულობის გამო, პეტერბურგში დეპეშებს აგზავნიდა, დახმარებას ითხოვდა.

გურია-სამეგრელოს და იმერეთის მოსახლეობას იგი საყვედურობდა **„დანაშაულებრივი პროპაგანდის“** აყოლას, რამაც გააუბედურა **„მშვენიერი და დღემდე მშვიდობიანი მხარე“** და ამის დამადასტურებელ სავალალო სურათს ხატავდა:

ემზარ კვიტაიშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„კოლხური თეთრი"

#	დასახელება	სურათი	მონეტის აღწერა	წონა
1	ტეტრადრაქმა		შუბლზე - მარცხნივ მიმართული ლომის თავი; ზურგზე - ფრთოსანი რაშის პროტომა	ტეტრადრაქმის საშუალო წონაა 13 გ.
2	დიდრაქმა I ტიპი		შუბლზე - მარჯვნივ და მარცხნივ მიმართული მწოლიარე ლომი; ზურგზე - მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა.	დიდრაქმების საშუალო წონაა 8,99—9,90 გ.
3	დიდრაქმა II ტიპი		შუბლზე - ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; ზურგზე - ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა.	დიდრაქმების საშუალო წონაა 8,99—9,90 გ.
4	დიდრაქმა III ტიპი		შუბლზე - ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; ზურგზე - ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი 2 ხარი.	დიდრაქმების საშუალო წონაა 8,99—9,90 გ.
5	დრაქმა		შუბლზე - ლომის თავი ფასში; ზურგზე - მარჯვნივ მიმართული ხარის თავი.	დრაქმის წონაა 5,52 გ.
6	ნახევარდრაქმა I ტიპი		შუბლზე - ლომის თავის პროფილი მარჯვნივ; ზურგზე - მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა.	საშუალო წონაა 2,17 გ.
7	ნახევარდრაქმა II ტიპი		შუბლზე - მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი, ზურგზე - მარჯვნივ მიმართული ხარის თავი.	საშუალო წონაა 1,2-2,6 გ.

საქართველო – სამონეტო ცივილიზაციის უძველესი კერაა. კოლხური თეთრი კი მსოფლიოში წარმოებულ მონეტათა შორის ერთერთ უძველეს ფულად ერთეულს წარმოადგენს. ფულს ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციას. საუკუნეების სვლასთან ერთად ფულადი ერთეულებიც მუდმივად იცვლებოდა. მას ცალკეულ ქვეყანაში თავისი ისტორია აქვს და თითოეული თავისთავად უნიკალურია. სწორედ ამ უნიკალური და უძველესი მონეტების ჯგუფს მიეკუთვნება **„კოლხური თეთრი"** რომელიც ძვ.წ. VI ს-ში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრებოდა. გიორგი დუნდუას მოსაზრებით **„კოლხური თეთრი, მოჭრის ტექნიკითა და შესრულების მხატვრული დონით, არაფრით ჩამოუვარდება ბერძნული სამყაროს თანადროულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს".**

კოლხური თეთრის რამოდენიმე ტიპი და ნომინალი არსებობს – ტეტრადრაქმა, რომლის წონაა 13 გ. მის შუბლზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული ლომის თავი, ზურგზე – ფრთოსანი რაშის პროტომა. დიდრაქმა: I ტიპი: შუბლზე – მარჯვნივ და მარცხნივ მიმართული მწოლიარე ლომი; ზურგზე – მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა. II ტიპი: შუბლზე ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; ზურგზე – ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა. III ტიპი: შუბლზე – ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; ზურგზე – ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი 2 ხარი. კოლხური დიდრაქმების საშუალო წონაა 8,99-9,90 გრ.;

დრაქმა: შუბლზე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. 5,52 გ. ნახევარდრაქმები: I ტიპი: შუბლზე – ლომის თავის პროფილი მარჯვნივ; ზურგზე – მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა. საშუალო წონა – 2,17 გ. II ტიპი: შუბლზე მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი, ზურგზე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. წონა 1,2-2,6 გ. ამ ტიპის მონეტების ზოგიერთ ცალზე ამოტვიფრულია ბერძნული ასოები.

გიორგი დუნდუა წერს: **„სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი მონეტა I ტიპის კოლხური დიდრაქმის სახელწოდებით აღინიშნება. ისიც საკმაოდ იშვიათია. სამი ცალი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ორი – ერმიტაჟში, თითო-თითო ცალი ქუთაისის, ბრიტანეთის, ბერლინისა და ბოსტონის მუზეუმებში. აქედან – ოთხი დას. საქართველოს ფარგლებშია აღმოჩენილი (ფოთში და ზუგდიდის რნის სოფ. ახალსოფელში (მაკალათია, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, 1947, გვ.425-428)), რაც ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებისადმი მათი მიკუთვნების მტკიცე საფუძველს ჰქმნის. ასევე იშვიათია II ტიპის კოლხური დიდრაქმა, რომლის შუბლზე გამოსახულია ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ, ხოლო ზურგზე – ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ორი ისეთივე თავი, როგორიც მონეტის შუბლზეა გამოსახული. II ტიპის დიდრაქმაც რამდენჯერმეა ნაპოვნი ძველი კოლხეთის მიწა-წყალზე (ფოთი, ახალსოფელი). მას ძვ.წ. V საუკ-ით ათარიღებენ. III ტიპის კოლხურ დიდრაქმას ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად აღმოჩენილა 1910 წ. ფოთში და თავის დროზე ხელთ ჩავარდნია ჩეხ მეცნიერს, ე. პოხიტონოვს. ამჟამად ეს მონეტა დაკარგულია. საბედნიეროდ, ე. პოხიტონოვს დარჩენია მისი ჩანახატი, რომელიც გამოაქვეყნა კიდეც. II ტიპის დიდრაქმისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ზურგზე ადამიანია თავების ნაცვლად ერთმანეთს დაპირისპირებული ხარის თავებია გამოსახული. ეს მონეტა II ტიპის დიდრაქმის სინქრონულია."**

კოლხურ მონეტებზე, როგორც წესი, წარწერები არ არის, მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე გვხვდება ბერძნული ასოები, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. მკვლევართა ნაწილი კოლხური თეთრის მოჭრას კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი კი – შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, არსებულ ბერძნულ ახალშენებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კოლხური თეთრი ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებშია მოჭრილი, ამის დამამტკიცებელ ერადერთ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ ზოგიერთი მონეტის ბერძნული ასოები. გიორგი მელიქიშვილი წერს: **„კოლხური მონეტები ძირითადად გავრცელებულია ბათუმსა და სოხუმს შორის მდებარე ტერიტორიაზე, ე.ი იმ ფარგლებში, რომელიც შეადგენდა კოლხეთის სახელმწიფოს ძირითად ტერიტორიას ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. მოჭრილია ისინი, სწორედ იმავე პერიოდში. ამასთანავე, ეს მონეტები უფრო მეტად გავრცელებულია არა ზღვისპირა ზოლში, არამედ კოლხეთის შიდა რაიონებში. ეს ერთ-ერთი საბუთია, იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ამ მონეტებს კოლხეთის სახელმწიფო ხელისუფლება სჭრიდა. ამავეს უჭერს მხარს მონეტებზე მოთავსებული გამოსახულებების კავშირი ადგილობრივ კულტურულ-რელიგიურ წარმოდგენებთან. ქ. ხონში განძში ნაპოვნი მონეტის ერთ-ერთი ეგზემპლარი დამზადების პროცესში მყოფი ჩანს (ერთი მხარე გლუვი აქვს), რაც, აგრეთვე მათ ადგილობრივ დამზადებაზე მეტყველებს".**

კოლხური თეთრი გავრცელებული იყო კოლხეთის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე და ასევე კოლხეთის სამეფოს მიმდებარე ტერიტორიებზე. ყირიმში ნიმფეის არქაულ ტაძრის გათხრის დროს, ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრის ფენაში აღმოჩნდა კოლხური პითოსების (დიდი ზომის ჭურჭლის) ნამსხვრევები, კოლხური ვერცხლის მონეტებთან (კოლხურ თეთრთან) ერთად. კოლხური თეთრის არსებობა ნათელს ხდის იმდროინდელი კოლხეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. გ. მელიქიშვილის მოსაზრებით კოლხური მონეტების გავრცელება კოლხეთის სამეფოში და მათი აღმოჩენა სხვა ქვეყნებში, ისევე უცხოური მონეტების აღმოჩენა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მონეტის ინტენსიური მიმოქცევა დამახასიათებელია კოლხური საზოგადოებისთვის, რაც მისი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. ეს გულისხმობს სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის დიდ განვითარებას, პროფესიულ ვაჭართა სოციალური ფენის არსებობას. ყოველივე ეს მოწმობს, რომ კოლხური საზოგადოება, ამ დროს, სახელმწიფოს წარმოადგენდა. კოლხური მონეტები აღმოჩენილია ყირიმში, ქერსონესში სოჭის რაიონში, ტრაპეზუნტის მიდამოებში, ქართლში, არმაზში და სხვა... დასავლეთ საქართველოში კოლხური თეთრი ნაპოვნია ათასობით, განძის სახით. ამრიგად, კოლხური ცივილიზაცია სამონეტო ცივილიზაციის სათავეებთან დგას, რამეთუ ისტორიული ცნობები და არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ რომ, კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდა საკუთარი ფულადი ერთეული, რაც იმ პერიოდის მსოფლიოსთვის უიშვიათეს მოვლენას წარმოადგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოლხური თეთრი, გ.დუნდუა;
2. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა;
3. Ш.Амиранашвили, История грузинского искусства, Москва, 1960;
4. თავისუფალი ვიკიპედია, **„ფულის ისტორია";**
5. თავისუფალი ენციკლობედია, **„კოლხური თეთრი";**
6. საქართველოს ისტორია ტ 1. გიორგი მელიქიშვილი, გვ. 44, ტომის რედაქტორი ნოდარ შოშიაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006 წელი;

თემო სახურია

რძის ნაცვლად საწამლავი?! – "ქართულ ბაზარზე 90% სულაც არ არის რძის პროდუქტი"

"ჩვენს მაღაზიებში სარეალიზაციოდ გამოტანილი რძის პროდუქტის ხარისხი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, უფრო მეტიც, მათი 90 პროცენტი სულაც არ არის რძის პროდუქტი" – *ამ დასკვნამდე მივიდნენ* ***"საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის"*** *წარმომადგენლები, რომლებმაც მომხმარებელთა თხოვნით შეამოწმეს რძის ცხიმის შემცველობა სხვადასხვა ფირმის მიერ წარმოებულ პროდუქტში. ამ პრობლემაზე გვესაუბრება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ექსპერტი,* ***პროფესორი ეთერ სარჯველაძე:***

– ისეთი პროდუქტის ფალსიფიკაცია, როგორიც რძეა, დანაშაულია, თუნდაც იმიტომ, რომ ის ბავშვების მთავარი საკვებია, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ნებისმიერი სხვა ტიპის საკვები, მაგრამ ვერცერთი პროდუქტი ვერ ცვლის მას.

– საერთაშორისო სტანდარტით, მცენარეული ცხიმის შემცველი პროდუქცია რძის პროდუქტის დასახელებით არ უნდა იყიდებოდეს.

– სწორედ ამიტომ დავიწყეთ ხელმოწერა პეტიციაზე, გვინდა პარლამენტს ვთხოვოთ მიიღონ კანონი, რომლითაც აიკრძალება რძის პროდუქტის დასახელებით ისეთი პროდუქტის რეალიზაცია, რომლის ძირითადი კომპონენტები – ცხიმი და ცილა ცხოველის რძისაგან კი არა, სულ სხვა ნედლეულისგან არის დამზადებული. ეს ეხება არა მხოლოდ რძეს, არამედ ნაღებს, ხაჭოს, არაჟანს... საერთოდ, არაჟანი რძის ცხიმისაგან მიღებული პროდუქტია, ჩვენ კი რას ვყიდულობთ, არაჟანი კი აწერია, მაგრამ დამზადებულია მცენარეულ ცხიმზე. კარაქი არ შეიძლება ეწოდოს პროდუქტს, რომელსაც ერთდროულად აწერია კარაქი და სპრედი – ეს ორი, ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი ტერმინია. სპრედი არის ნარევი, შეიძლება ჯემების ნარევსაც დავარქვათ ასე, ხოლო კარაქი არის რძის ცხიმისაგან მიღებული პროდუქტი, ასე რომ, იცით, რას გვეუბნებოდნენ, როცა მეწარმეებს ამას ვუხსნიდით? – სპრედი რომ დავაწეროთ, ვინ იყიდისო? ხალხის ჯანმრთელობის ხარჯზე ფულის კეთება დანაშაულია! ამიტომ, 2013 წლის დეკემბერში ჩვენი ინიციატივით მომზადდა პეტიცია **"რძის პროდუქტების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ"**, რომელზეც უკვე ათასობით ადამიანმა მოაწერა ხელი.

– მით უმეტეს, რომ ფალსიფიცირებული რძის პროდუქტის გარჩევა ჩვეულებრივისაგან ძნელია.

– მართლაც ასეა და მომხმარებელს არც მოეთხოვება ამის ცოდნა. როცა პროდუქტი არ არის დამზადებული რძის ცხიმზე, ის დაბალ ფასში უნდა იყიდებოდეს. ტერმინების ფალსიფიცირება დაუშვებელია, ეს იგივეა, ავადმყოფმა წამლის ნაცვლად შაქრის ფხვნილი რომ შეიძინოს. ხაჭო, რომელსაც შერეული აქვს ათასგვარი შემავსებელი, ან თუნდაც ქართული მაწონი, რომელიც კუჭ-ნაწლავის მიკროფლორის სამკურნალო ნივთიერებებს შეიცავს, შეიძლება სხვა რამით შეცვალო? ევროპული კანონმდებლობა ითვალისწინებს **"მინდვრიდან თეფშამდე"**, ან **"მინდვრიდან – ჩანგლამდე"** არსებული ჯაჭვის თითოეულ რგოლს.

– რა პროცენტულობა უნდა იყოს დაცული, პროდუქტს რომ რძის პროდუქტი ვუწოდოთ? ჩვენს ქვეყანაში თუ არსებობს ამ ტიპის რეგულაცია?

– საქართველოში ამ ტიპის კანონი და რეგულაცია არ არსებობს. 2005 წელს, როდესაც სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონი შეჩერდა, სახელმწიფო სტანდარტიდან ყველა გადავიდა საწარმოო სტანდარტებზე და ვინ რას აკეთებდა, დღემდე არავინ იცის. ყველა საწარმოს საკუთარი სტანდარტები აქვს, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია. იმის მიუხედავად, რომ ამ სფეროს ექსპერტი ვარ, მეც არ შემიძლია ეჭვი შევიტანო რძის პროდუქტის ხარისხში მისი გემოს, სუნისა და ორგანოლეპტიკური თვისებების მიხედვით და წარმოიდგინეთ, რამდენად უმწეო და დაუცველია ამ მხრივ ქართველი მომხმარებელი! რაღა საჭირო იქნებოდა მილიონიანი აპარატურის შეძენა, თუკი სპეციალისტი თვალით, გემოთი ან სუნით განსაზღვრავდა რძის პროდუქტის ხარისხსა და იდენტურობას? ამიტომაც ეს სფერო უნდა მოწესრიგდეს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორების ერთობლივი საქმიანობით, მკაცრი და სამართლიანი კონტროლით. შეიძლება ადამიანმა მარგარინი თვეში ერთხელ მიიღოს, მაგრამ ყოველდღიურად მისი მიღება დაუშვებელია, რადგან მასში არსებული ცხიმი ხელს უწყობს ორგანიზმში თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას. შეიძლება კარაქის ნაცვლად ბავშვს ასეთი რამ მივაწოდოთ? ნამდვილ კარაქში შემავალი ნივთიერებები აუცილებელია ბავშვისათვის, იცავს მას ინფექციებისაგან, აუმჯობესებს მხედველობას, დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე. ასევეა რძეც, მასში შემავალ ამინომჟავებს აქვთ უნარი გააუვნებელყონ ორგანიზმში მოხვედრილი მავნე ნივთიერებები. სწორედ ამიტომ არის რძის მიღება აუცილებელი მავნე პირობებში მომუშავე ადამიანებისათვის.

ხ. ჩიბოგიძე

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო"-ს ზუგდიდის ორგანიზაცია გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი ქალბატონი

ლამარა ქობალია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი უღირსი და სამარცხვინო პუბლიკაციის კვალდაკვალ

„როცა ქალი სინდისისგან სულ მთლიანად გაშიშვლდება, ის ვერ შეძლებს სიმწრისაგან წამითაც კი გაწითლებას“
ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ

ასეთ დროს ვიღაცას უნდა აეღო, რამდენადაც შესძლებდა, თავის თავზე პასუხისმგებლობა და ემოქმედა ისე, როგორც მოითხოვდა სიტუაცია და საქმის არსებული ვითარება. ამასთან, შიდაფრაქციული ფარული კენჭისყრით, ჩემი კანდიდატურის გამარჯვების შემდეგ, აღმოვჩნდი ისეთ სიტუაციაში, რომ ხშირად (უფრო ბატონი თამაზის არყოფნის დროს) მიწევდა აფხაზურ მხარესთან ურთიერთობა და ზოგი საკითხის, მათ შორის საკადრო პრობლემების მოგვარება.

თუ ვინმეს კიდევ ეჭვი ეპარება იმაში, რომ ქართულ დეპუტაციაში გამოვირჩეოდი პასუხისმგებლობით და წარმოვადგენდი იმაზე მეტს, ვიდრე პასიური რიგითი დეპუტატი იყო, მინდა მიპასუხონ სრულიად მარტივ, ლოგიკურ კითხვებზე:

ვისი **„აღმოჩენა“** იყო ქ-ნი ასტემიროვა და ბატონი გია გვაზავა? ვინ შემოგთავაზათ მათი კანდიდატურა ჯერ ფრაქციაში, მერე კი შესაბამისად სადეპუტატო მანდატისა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ და ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარედ უმაღლეს საბჭოს სესიაზე?;

ვისი ძალისხმევის შედეგად გახდა ბატონ თამაზ ნადარეიშვილის კანდიდატურა გამსვლელი და ვინ წარუდგინა იგი სესიას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე?

ვინ შემოგთავაზათ ბატონ ვახტანგ ყოლბაიას კანდიდატურა იურიდიული კომისიის თავჯდომარედ, იმის გათვალისწინებით, რომ ის წლების განმავლობაში მუშაობდა უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ და გააჩნდა პოლიტიკური საქმიანობის დიდი გამოცდილება. ვინ წარუდგინა მისი კანდიდატურა უმაღლესი საბჭოს სესიას?;

ვინ ხელმძღვანელობდა, ბატონ თ. ნადარეიშვილის ავადმყოფობის დროს ქართული ფრაქციის სხდომას, როდესაც იხილებოდა თქვენი – გულრიფშის რაიონის თავკაცის საკითხი და სამი კანდიდატურიდან ფარული კენჭისყრით ერთ-ერთის შერჩევა?;

ვინ წარუდგინა უმაღლეს საბჭოს სესიას კენჭისყრით გამარჯვებული ბატონი დავით გვაძაბიას კანდიდატურა გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის თავკაცის თანამდებობაზე?;

ვინ წარუდგინა ასევე უმაღლეს საბჭოს სესიას გალის რაიონის თავკაცად ბატონი რუდიკ ცატავას კანდიდატურა?;

ვინ გარწმუნებდათ, მიუხედავად **„სახელმწიფო საბჭოს“** ქვეყნის სათავეში არალეგიტიმური გზით მოსვლისა, მასთან თანამშრომლობის აუცილებლობაში, რადგან, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ხელისუფლება კანონიერი, მას დაეკისრებოდა აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, ვინაიდან ის აგებდა პასუხს სრულიად საქართველოსა და მომავალი თაობების წინაშე;

ვინ აყენებდა გამუდმებით საკითხს **„გოსსაბჭოს“** ლიდერებთან ქართული დეპუტაციის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ და ვისი წინადადებით შეირჩნენ ისინი?;

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქართველი წევრების, გასაგები პასიურობის დროს, ვინ დააყენა ეს საკითხი ხელმეორედ ქართულ დეპუტატთა ფრაქციაში კენჭისყრაზე და დელეგაციის რა შემადგენლობა შეირჩა და ვინ გაემგზავრა მაშინ თბილისში?;

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც, თ. ნადარეიშვილისა და პრეზიდიუმის სხვა წევრების მიუტევებელი პასიურობის გამო, პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე, მივიდა აფხაზური მხარის სესიაზე და ასევე ღია ეთერში პასუხი გასცა ვ. არძინბას მის მიერ ქართული დეპუტაციისთვის მიყენებულ შეურაცხყოფისთვის, რაც მოჰყვა სესიაზე მასა და ბ-ნ თ. ნადარეიშვილს შორის სიტყვიერ შელაპარაკებას და ჩვენი დეპუტაციის უმაღლესი საბჭოს სხდომებიდან გასვლას?;

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც მეორე დღესვე ეწვია ვ. არძინბას და ხანგრძლივი დიალოგის შედეგად დაარწმუნა იგი თავის უტაქტობაში და იმაში, რომ მან ვერ შეარჩია ვერც ადგილი, ვერც სიტყვები და ღია ეთერში შეურაცხყოფა მიაყენა ქართულ დეპუტაციას, მათი სახით ქართველ ამომრჩევლებს და საერთოდ ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ქართულ ნაწილს, რასაც მოჰყვა ჩვენს წინაშე, ქართულ-აფხაზური დეპუტაციის ერთობლივ სხდომაზე, მის მიერ ბოდიშის მოხდა: «Я извиняюсь за то, что не подобрал место, нужные слова и в прямом эфире причинил обиду грузинским депутатам, а в их лице, грузинской части нашего населения!..» – ასეთი არ იყო მისი სიტყვები?!

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და ქართული დეპუტაციიდან ერთადერთი გამოვიდა ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის დროს და მიმართა მას სიტყვებით: «Владислав Григорьевич, вы запомнились нам подчеркнутыми антигрузинскими выступлениями в Верховном Совете СССР. Теперь выбираем вас председателем Верховного Совета Абхазской автономнои республики и, если вы станете лидером не толкьо этнического абхазского населения, которое в меншинстве в Абхазии, но и всего населения автономной республики, в том числе и его грузинскои части, мы, грузинские депутаты, станем рядом с вами, чтобы обустроить Абхазию?»; ამ სიტყვებში თქვენ და თქვენმა ომის პარტიამ ვერ დაინახეთ მშვიდობიანი, საქმიანი თანამშრომლობის შემოთავაზება და მონათლეთ ისინი, როგორც აფხაზებისა და მათი ლიდერის მიმართ ჩემი ლოიალური დამოკიდებულება და მხარდაჭერა! ეს შემთხვევით არ იყო, თქვენ არ გაწყობდათ პრობლემებისადმი გონივრული, წინდახედული მიდგომა და მათი მშვიდობიანი გზით მოგვარება!;

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე, დეპუტატთა მცირე ჯგუფთან ერთად, ეწვია ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას და ქვეყნის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე და, აფხაზეთიდან სხვა გამომსვლელებისგან (ნ. მგალობლიშვილი, გ. ლომინაძე და სხვ.) განსხვავებით, მოახსენა მას სიმართლე იმის შესახებ, რომ საქმე მთლად ისე არ იყო, როგორც ამ ორატორების მიერ იქნა აფხაზეთი წარმოდგენილი: **„ესენი თეთრ სამოსში ხედავენ აფხაზეთს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საქმე სინამდვილეში უფრო რთულადაა – პარლამენტი წაგებულია, უმრავლესობა აფხაზების ხელშია და აფხაზეთში წინ სერიოზული პრობლემები გველის“**;

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც არ დაუმალა ქართულ დეპუტაციას ვ. არძინბასგან მიღებული გამაოგნებელი ინფორმაცია **„გოსსაბჭოს“** მიერ გ. ლომინაძის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ წარდგენის შესახებ და არ დაეთანხმა მის წინადადებას, ყველაფერი ეს დარჩენილიყო საიდუმლოდ და ემუშავა მასთან ერთად სხვა კანდიდატურის ირგვლივ?;

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც ღამის თერთმეტ საათზე გამოიყვანეს სახლიდან მხედრიონელებმა და მის კაბინეტში ცხვირწინ უხეშად აუფრიალეს ჯაბა იოსელიანის წერილი, სადაც გულრიფშის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ის ლეონარდო დევდარიანის კანდიდატურას თავაზობდა და რომელსაც, თანხმობის ნიშნად, ხელს აწერდა თამაზ ნადარეიშვილიც (იმ დროს, როდესაც ერთი დღით ადრე, ეს საკითხი იხილებოდა ქართული დეპუტაციის სხდომაზე და ფარული კენჭისყრით, სამ კანდიდატთა შორის, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ლეონარდო დევდორიანის კანდიდატურა იყო, გაიმარჯვა ბატონი დავით გვაძაბიას კანდიდატურამ და ის მეორე დღეს უმაღლესი საბჭოს სესიაზე დგებოდა დასამტკიცებლად, ამიტომ მიუხედავად მხედრიონელების უხეში ფიზიკური და მორალური ზეწოლისა, არ დავთმე, ბატონი თამაზ ნადარეიშვილისაგან განსხვავებით, საკუთარი პოზიცია და თავმოყვარეობა, არ ვუღალატე კოლეგების ნებას, დეპუტატთა ქართული ფრაქციის გადაწყვეტილებას და უარით გავისტუმრე მხედრიონელების წარმომადგენლები)?;

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც პრეზიდიუმის სხდომებისა და უმაღლესი საბჭოს სესიებიდან გაუთავებელი გამოქცევების კატეგორიული წინააღმდეგი იყო და, მას შემდეგ, რაც ქართულმა ფრაქციამ დატოვა პარლამენტი, გადასახლდა სინოპში და თამაზ ნადარეიშვილის თავკაცობით ჩამოაყალიბა სამართლებრივად არაკანონიერი ქართული პარლამენტი, გაგემიჯნათ და პროტესტის ნიშნად დატოვა თქვენი რიგები და მთლიანად გადაერთო საკუთარ პრაქტიკულ საქმიანობაზე?;

ვინ იყო ის დეპუტატი, 1992 წლის მარტში ზუგდიდში მივლინებული უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც გენერალ დათუაშვილთან ხელჩართული ბრძოლის შედეგად წინ აღუდგა **„მხედრიონსა“** და ეროვნულ გვარდიას, ხელი შეუშალა მათ გადასვლას და თარეშს აფხაზეთში გადასვლას, რასაც უცილობლად მოჰყვებოდა ომის დაწყება? ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი მოსახლეობა მაშინ გარდაუვალ უბედურებას?!;

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც თავიდანვე გაემიჯნა ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს – იმ მე-5 კოლონას, რომლის რიგებს ამშვენებდით თქვენ, თქვენს დაქალ ე. ასტემიროვასთან და ზოგიერთ სხვა დეპუტატთან ერთად და ამხელდა მას ექსტრემისტულ და დესტრუქციულ საქმიანობაში (**„თქვენ დაღუპავთ აფხაზეთს და მთლიანად ქვეყანას!“** არაერთხელ მითქვამს ეს მათივე სხდომებზე, ასევე **„გოსსაბჭოს“** ლიდერების წინაშეც?);

ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელიც სოხუმის ქართული მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა ნეტარხსენებული ჟიული შარტავა, მთავრობის ყველა წევრი, აგრეთვე ქვეყნის ვიცე-პრემიერი სანდრო კავსაძე, იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია, ე.წ. ეროვნელი ერთიანობის საბჭოს ლიდერები ბორის კაკუბავას თავკაცობით, და იხილებოდა, 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ქართულ-აფხაზური ხელშეკრულების საფუძველზე, მთავრობის აფხაზური ნაწილის გუდაუთიდან სოხუმში დაბრუნების საკითხი, მიმართა წინადადებით მთავრობის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას: **„შეწყვიტეთ ხელშეკრულების გადასინჯვა, დატოვეთ სავარძლები, ხელს ნუ შეუშლით მათ დაბრუნებას და შერიგების პროცესის დაწყებას!“** – ვინ იყო ის დეპუტატი, რომელმაც ამასთან ერთად, ყველას გასაგონად უპასუხა ბორის კაკუბავასა და ჯანო ჯანელიძის შეკითხვას: **„ითანამშრომლებდით თქვენ არძინბასა და მის გარემოცვასთან?“ – „მე სატანასთანაც ვითანამშრომლებ, ოღონდ ომი არ განახლდეს და მეტი სისხლი არ დაიღვაროს აფხაზეთში!“**;

აფხაზური ფრაქციის წარმომადგენლებთან მძიმე და თანმიმდევრული კულუარული მუშაობის შედეგად, რომელი დეპუტატის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი აფხაზთა დელეგაციის, ბატონების სერგეი ბადაფშის, დავით ფილიას, ანრი ჯერგენიასა და ზურაბ აჩბას შემადგენლობით, თბილისში გამგზავრება და სახელმწიფო საბჭოს თავკაცებთან – ედუარდ შევარდნაძესთან, თენგიზ სიგუასთან, ჯაბა იოსელიანთან და თენგიზ კიტოვანთან მათი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა ეს დეპუტატი ბატონ თამაზ ნადარეიშვილთან ერთად, და სადაც აფხაზეთში შექმნილი უკიდურესად დაძაბული, ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვისა და არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ბატონი ე. შევარდნაძე ჩამოსულიყო სოხუმში, მაგრამ მან დაპირება არ შეასრულა – მოგვატყუა და თავის სანაცვლოდ ტანკები გამოგვიგზავნა აფხაზეთში?!;

ვისი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი წლების მანძილზე ჩვენთვის აკრძალულ სოხუმის ცენტრალულ მოედანზე ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოსა და საზოგადოების სხვა ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილის მრავალათასიანი მიტინგის მშვიდობიანად ჩატარება, რომელიც აშკარად ანტიაფხაზურ ხასიათს ატარებდა; ვისი ემოციური გამოსვლითა და შეგონებით გახდა ეს შესაძლებელი დაძაბულობის მოხსნა, რითაც მოიხსნა მხარეებს შორის მოსალოდნელი შეტაკების თავიდან აცილება და აფხაზეთში ომის დაწყების გადავადება?;

ვისი ძალისხმევით გადაურჩა შს მინისტრი გ. ლომინაძე დაკავებული თანამდებობიდან გადაყენებას, როდესაც აფხაზმა დეპუტაციამ **„ნიურნბერგის პროცესი“** მოუწყო მას და საკითხი კენჭისყრაზე დგებოდა, რომლის შედეგი ყველასათვის იმთავითვე ნათელი იყო? ბატონი დავით გვაძაბიას წინადადებითა და თანადგომით, ვინ, რომელმა დეპუტატმა დაარწმუნა ვ. არძინბა და მისი ახლო გარემოცვა იმაში, რომ, ისედაც დაძაბული ურთიერთობის ფონზე, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, თუნდაც ეროვნებით აფხაზი გენერალური პროკურორის აპოლონ კვიწინიას განთავისუფლების პარალელურად, რადგან ქართველი მინისტრის მოხსნას უეჭველად საზოგადოებრივი დესტაბილიზაცია და პოლიტიკის ხელიდან გასვლა მოჰყვებოდა! ვინ იყო ის დეპუტატი, ვინ შესძლო და გააკეთა ეს, მიუხედავად გ. ლომინაძისადმი მისი საფუძვლიანი აშკარა ნეგატიური დამოკიდებულებისა?!;

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხელს უშლიდნენ და მოდალატედ მიიჩნევდნენ, სდევნიდნენ და ჩაქოლვით ემუქრებოდნენ ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს შტაბის წევრები, ეწეოდა ფარულ, კულუარულ მოლაპარაკებებს აფხაზურ მხარესთან – ჩადიოდა გუდაუთაში სხვისი, თსუ-ს სოხუმის ფილიალის პრორექტორის, ბატონ რ. ხარებავას მანქანით ღამ-ღამობით, რათა არ ჰქონოდა ადგილი ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებისა და ექსტრემისტი დეპუტატებისგან ზედმეტ მითქმა-მოთქმას, ხვდებოდა წამყვან აფხაზ დეპუტატებს, უხუცესთა საბჭოს წევრებს და აწარმოებდა მათთან მოლაპარაკებებს, რომ ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიციები, როგორიც იყო შს სამინისტრო და სოხუმი ან გაგრა ყოფილიყო, ვთქვათ, ქართული (მათი თავკაცი ქართველი ყოფილიყო), ვინ მიაღწია შეთანხმებას ვ. არძინბას, კ. ოზგანსა და ამ ქართველ დეპუტატს შორის, რომ სადეპუტატო ვადის პირველ ნახევარში შს მინისტრი იქნებოდა ქართველი, ხოლო მეორე ნახევარში – აფხაზი და ასეთ პრაქტიკას ექნებოდა ადგილი მომდევნო წლებშიც, ხოლო რაც შეეხება სოხუმსა და გაგრას – გაგრა და გაგრის ზონა, ქვეყნის ეს მნიშვნელოვანი კარიბჭე, ეთმობოდა ქართულ მხარეს («Ну, ладно! Не выдавайте меня, а то Аидгылара с меня голову снесет! Обсудите эти вопросы на согласительной комиссии, которым вы руководите, притритесь друг к другу, а когда выйдете на меня, я не повешусь» – ასეთი იყო ვ. არძინბას სიტყვები!);

ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც შემდგომშიც, ჩვენსა და აფხაზ დეპუტაციის შორის ოფიციალური მოლაპარაკებების დროსაც, სადაც განიხილებოდა მთავრობის თავმჯდომარის საკითხი, არ თმობდა პოზიციას და, თ. ნადარეიშვილისა და საზოგადოება **„სოხუმელების“** წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, მას ქ. სოხუმისა და გაგრის ზონის საკითხთან ერთად, ერთ პაკეტში განხილვას მოითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამის შესახებ იცოდნენ მხოლოდ ვ. არძინბამ, კონსტანტინ ოზგანმა, ამ ქართველმა დეპუტატმა და მისმა ჯგუფმა (ა. გასვიანი, კ. ჯაჭვლიანი, ჯ. გამახარია), და მას გასაჯაროება სჭირდებოდა. ამიტომ საშემთანმხლებლო კომისიის სხდომაზე ეს დეპუტატი ჯიუტად იმეორებდა: «Ни один здравомыслящий грузин не согласится занять должность председателя Правительства без грузина-министра МВД Абхазии и главы администрации Сухуми или Гагры. Поэтому, при согласии вашей стороны, эти должности должны рассматриваться и решаться вместе, в одном пакете. Вот только тогда можно будет обсудить отдельные кандидатуры на ту или иную должность и думать о возвращении грузинской депутации в Парламент; ცნობისათვის: ყველაფერი ეს ხდებოდა – თ. ნადარეიშვილსა და დეპუტატთა მცირე ჯგუფის (რომლის შემადგენლობაში იყვნენ ეს ჩვენი ქალბატონი და მისი დაქალი ე. ასტემიროვა) თბილისში გამგზავრებისა და აფხაზეთში ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.

ნაპო მესხია,
პროფესორი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

“...ამან ხომ მთლად გადამრია კაცი, წიხლი ვუთავაზე და გავეკიდე”



ოთარ გაბელია – საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, კარგი მწვრთნელი, უბრალოდ, მართალი კაცი. როცა იმ ძველი **“დინამოს”** დიდების შემომქმედებთან გიწევს შეხვედრა, ხვდები, რომ ეპოქალური წარმატებები შემთხვევით არ მოსულა. დიდი ფეხბურთელები ნამდვილი პიროვნებები იყვნენ.

საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარე, თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული, ქვეყნის ჩემპიონი, თასისა და სხვადასხვა სინჯის მედლების მფლობელი – ჩვენს რესპონდენტს არც ინდივიდუალური ტიტულები აკლია და არც გუნდური.

გაბელიას გასახსენებელს რა გამოულევს. ვსაუბრობთ მის კარიერაზე, ქართული ფეხბურთის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ცხადია, ბევრი რამ უთქმელიც რჩება. მის თითოეულ სიტყვას განსაკუთრებული ფასი ადევს.

თავი რომ ვანებოთ ყალბ პათეტიკას, ქართული ფეხბურთი დღემდე მისი და მისი თაობის მიღწევებით სულდგმულობს...

– დავიბადე ზუგდიდში. ქალაქის შესასვლელში იყო მეურნეობა. იქ ვცხოვრობდით. მამა ამ მეურნეობის დირექტორი გახლდათ. ჩემს ბავშვობაში ყველა ბურთზე იყო გადარეული და რადა მე ვიქნებოდი გამონაკლისი. რაც თავი მახსოვს, სულ ფეხბურთს ვთამაშობ.

მამამ უდიდესი როლი ითამაშა ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მოგვიანებით, როცა ზუგდიდში გადავედით, 10 წელი აშენებდა სახლს. არადა, კაცი მეურნეობის დირექტორი იყო, სულ დიდ თანამდებობებზე მუშაობდა. ფულის გაკეთებას, უკანონობას ვერ გააგონებდი...

მაშინ ფეხბურთის ბუმი იყო, ტარდებოდა ქუჩის პირველობები. ჩემი ქუჩის გუნდში ვთამაშობდი. სხვათა შორის, მარცხენა გარემარბი ვიყავი. ამხანაგურ მატჩებში ბლომად გოლები გამქონდა. არ დაგიმალავთ და, ბომბარდირობაზეც ვფიქრობდი. ჩემი მეზობელი იყო მეკარე. სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად და კარში დადგომა მომიწია. შევხედე – ცუდად არ გამომივიდა. მერე მიყვა და მიყვა... 1963 წელი იყო, თუ არ ვცდები. ბავშვთა ზონალურ პირველობაზე საუკეთესო მეკარის პრიზი ავიღე. მერე აღარც მიფიქრია ამპლუის შეცვლაზე.

პირველი მწვრთნელი გივი სართანია გახლდათ, ყოფილი მსაჯი, კარგი ადამიანი. ასევე მინდა გავიხსენო ვასილ ბუკია – ისიც ფეხბურთის ფანატიკოსი. ვარჯიშები არ იყო დამღლელი და აუტანელი, ისინი უბრალოდ გვაყვარებდნენ ფეხბურთს...

მეათე კლასში ვიყავი, როცა ზუგდიდის **“დინამოში”** აღმოვჩნდი. ცხონებული ჯუბა ჩუხუას მამა, ჯუმბერ ჩუხუა იყო მწვრთნელი. მერე გასინჯვაზე წამიყვანეს სოხუმის **“დინამოში”**. ეს სერიოზული გამოწვევა იყო. თან სოხუმის ინსტიტუტში ვსწავლობდი.

“დინამოს” იური გრამატიკოპულო წვრთნიდა. ეს იყო მართლაც დიდებული სპეციალისტი, რომელიც თამამად ენდობოდა ახალგაზრდებს. არადა, გუნდში ძალიან დიდი კონკურენცია იყო –მურთაზ ვეკუა, იური კუჭუხიძე და გენო ახალაძე ძალიან ძლიერი მეკარეები იყვნენ.

სხვათა შორის, ვიტალი დარასელია სწორედ გრამატიკოპულომ შენიშნა პირველად. ერევნის **“არარატს”** ვეთამაშებოდით ამხანაგურ მატჩში, როცა სპეციალურად ჩამოიყვანა ოჩამჩირიდან. მაშინ სულ პატარა იყო ცხონებული...

ორი წელიწადი ვითამაშე სოხუმში. მერე გუნდი მეორე ლიგიდან გავარდა. ახლა უნდა მოგიყვეთ ნამდვილი სასწაული – სახლში, ზუგდიდში ვბრუნდები, ცუდ ხასიათზე ვარ. ჩერდება ავტობუსი, აწერია – ქუთაისის **“ტორპედო”**. ჩემი მეგობარი, ვოვა შელია ჩამოდის ავტობუსიდან და მეუბნება – გიგა ნორაკიძე გიბარებს ლესელიძეშიო.

ჩავედი სახლში. მშობლებმა არ დამიჯერეს – რას იგონებ, რა **“ტორპედო”**... ბედნიერი ვარ, რომ ნორაკიძესთან ვიმუშავე. მასზე შეიძლება ცალკე და ძალიან ბევრი ვისაუბროთ. ამოუწურავი თემაა.

– 1977 წლის დასაწყისში დავოჯახდი. ქორწილი მაქვს და გიგა ნორაკიძემ ერთი დღით დააგვიანა – გადაუდებელი საქმე ჰქონდა. ჩამოვიდა მეორე დღეს. ვეცით პატივი. ცოტა დალია და მეუბნება – **“დინამოს”** უნდა შენი წაყვანა, მაგრამ მე მინდა, რომ დარჩეო და... წარმოიდგინეთ, ატირდა ამხელა კაცი.

ბოლოს მირჩია – მე კი არ მეთმობი, მაგრამ მაინც **“დინამოა”**, უნდა წახვიდეო. ასე მივედი საქართველოს პირველ გუნდში. მოვიგე თასების მფლობელთა თასი, ვითამაშე საჩემპიონო სეზონში, მოვიგე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ქვეყნის თასი, გავხდი ქვეყნის საუკეთესო მეკარე... მოგიყვებით რამდენიმე საინტერესო ამბავს, **“დინამოში”** რომ გადამხდა.

1979 წელია. თასის ფინალი გვაქვს მოსკოვის **“დინამოსთან”**. ვემზადებით, ვცხოვრობთ სასტუმრო **“მოსკვაში”**. მეორე მეკარე ვარ. ძირითადში თამაშს არც ველოდები. ღამეა. დომინოს ვთამაშობთ მე, ნოდარ ხიზანიშვილი, ჩელე და ცხონებული ვიტალიკა. რეკავს ტელეფონი, თვით ნოდარ ახალკაცი – ხვალ ძირითადში ხარო, მეუბნება...

აბა, სასწრაფოდ დავიძინოთ-მეთქი, ბიჭებს ვუთხარი. დავწექი, მაგრამ რად გინდა – თვალი ვერ მოვხუჭე. ვფიქრობ, გადაჭედილი **“ლუჟნიკები”**, მსაჯი... თან მოსკოვის **“დინამოც”** მაგარი გუნდი იყო.

100-ათასიან სტადიონზე დაახლოებით 70 ათასი კაცი მოვიდა. ის მატჩი ალბათ ყველას ახსოვს. პენალტებში რომ მოვიგეთ, პირჯვარი გადავიწერე. დღემდე მწამს ღმერთი. მისი ნება იყო, ასე კარგად რომ აეწყო ყველაფერი...

ჰოდა, ატყდა ერთი ამბავი ამ პირჯვარის გამო. წერილს წერილზე წერენ გადამდგარი პოლკოვნიკები თუ მოქმედი მადალჩინოსნები – გაბელია რა შუაშია, მან პენალტები რადაც ზებუნებრივი ძალის წყალობით აიღოო. მოკლედ, უხერხული სიტუაციაა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია არ ამცდება.

მოვიდა სულმნათი ჟიული შარტავა ბაზაზე. კაცს აღარ ასვენებენ. დღე ერთია და ათას წერილს სწერენ. მითხრა, ახლა ჩვენ მეგრული **“შტუკა”** უნდა გავაკეთოთო. ასე თქვი, ვითომ ოფლს იწმენდდიო... მადლობა ღმერთს, რომ ამ გმირს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ახლოს ვიცნობდი.

ერთი ისტორიაც უნდა მოვყვე. ძალიან ემოციური ვიყავი. თამაშის წინ ბიჭებს ვეუბნებოდი კიდეც – უნდა მაპატიოთ, თუ მატჩის დროს რამე **“ისეთი”** წამომცდებამეთქი. მათაც ესმოდათ ჩემი.

მუნჯი და თამაშის დროს თავის თავში ჩაკეტილი მეკარის არ მწამს. ხარკოვში ვეთამაშებით **“მეტალისტს”**. ბარემ გეტყვით, რომ ჩემი სიდედრი წარმოშობით ხარკოველია. წვიმს, საშინელი ამინდია. არ მიგვდის თამაში. მესამე ბურთი რომ გავუშვი, მინდორზე ფოტორეპორტიორი შემოვარდა და სიტყვა-სიტყვით მითხრა: **“ვინიმაი ტრეტიუ ბანკუ”**. ჯერ ისედაც გაგიჟებული ვარ და ამან ხომ მთლად გადამრია კაცი. წიხლი ვუთავაზე და გავეკიდე. ფოტოაპარატი ასფალტზე გაუტყდა, მე არ დამიმტვრევია. დისკვალიფიკაციას გადავრჩი – ფოტოგრაფს არ ჰქონდა მინდორზე შესვლის უფლება.

მომდევნო თამაში **“დნეპრთან”** გვქონდა, დნეპროპეტროვსკში. არ დამაყენა ნოდარ ახალკაცმა, გართულებებს მოერიდა. მოდის ხალხი, მთხოვს ავტოგრაფებს. უცებ, ფოტოგრაფი გამოჩნდა. ვიღაც ენაკვიმატმა დაუძახა, გამოეცალე, მაგას ფოტოგრაფები არ უყვარს, თავზე დაგამტვრევს აპარატსო...

მეც გამიგონია ჭორი, თითქოს მამაჩემს ინფარქტმა იმ დროს დაარტყა, რაც ტაშკენტში, **“ფახთაქორთან”** 3 გოლი გავუშვი. არაა მართალი – ტაშკენტში ყოფნისას გავიგე მისი გარდაცვალების ამბავი. იმ დროს უკვე ავადმყოფობდა...

ჰო, კიდევ ერთი – საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები არ შემხვდა. მხოლოდ 2 მატჩი დამაკლდა, მაგრამ ყველა მეუბნებოდა, ნამდვილი ჩემპიონი ხარო და მეც ვიფერებდი.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322



საიდან მოვიდნენ ბოშები

გენეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ევროპის ეროვნული უმცირესობების მსხვილი ჯგუფი – ბოშები, ჩრდილოეთი ინდოეთიდან 1500 წლის წინ გამოვიდნენ. შუა საუკუნეებში ფიქრობდნენ, რომ ბოშები ევროპაში ეგვიპტიდან იყვნენ მისული. ამ ისტორიას თავად ბოშათა ნაწილი დღემდე ყვება და თავს ძველ ეგვიპტელთა შთამომავლად მიიჩნევს.

გენეტიკური მეცნიერების განვითარებისა და ევროპის ხალხების, მათ შორის ებრაელთა წარმომავლობის აქტიური შესწავლის მიუხედავად, ბოშები, რომელთა რიცხვიც 11 მილიონამდე აღწევს, ცალკე ჯგუფად რჩებოდნენ. საკითხის შესწავლა ესპანელმა მეცნიერმა დავიდ კომასმა და მისმა კოლეგებმა ითავეს.

ლინგვისტიკურმა და გენეტიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბოშები ინდუსების მონათესავეები არიან. ამ იდეის დასამტკიცებლად და მიგრაციის დამატებითი დეტალების მისაკვლევად მეცნიერებმა ბოშათა 13 ჯგუფისა და სხვა ხალხების **Dნმ**-ები შეადარეს.

გაირკვა, რომ თანამედროვე ბოშების წინაპრები ჩრდილოეთი ინდოეთიდან ერთდროულად გამოვიდნენ. ბალკანეთში ჩაღწევამდე, თითქმის 900 წლის განმავლობაში, ისინი მთელ ევროპას მოედნენ.

მას შემდეგ, ასწლეულების განმავლობაში ისინი ან შეერეოდნენ ევროპულ პოპულაციას, ან მათ ანათემას გადასცემდნენ. ჰოლოკოსტის წლებში 200 ათასიდან ნახევარ მილიონამდე ბოშა განადგურდა. შემდეგ ისინი კომუნისტურ ქვეყნებში გახდნენ ასიმილაციის მსხვერპლი.

დავიდ კომასი ანალიზის გაფართოებასა და კვლევაში ბოშებისა და ინდური პოპულაციის უფრო მეტი ჯგუფების ჩართვას გეგმავს, სადაც ამ ხალხის წინაპრები ცხოვრობდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო ბოშებს დღევანდელი სომხების შორეულ წინაპრებად მიიჩნევს და იგი ამ დასკვნას აკეთებს ცნობილი ისტორიკოსების მომზენისა და მასპეროს დაკვირვებების შედეგად. მტკიცებად კი მოჰყავს ის, რომ სომხები, ბოშების მსგავსად, “ბრახიცეფალები” (ბრტყელთავიანები) არიან, არ გააჩნიათ ნოსტალგიის განცდა და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეუძლიათ უდარდელად ცხოვრება და პარაზიტული მეთოდებით დიდძალი კაპიტალის დაგროვება.

გარდა ამისა, ბოშებსა და სომხებს სახე ერთნაირად მომწვანო-მოლურჯო ფერის აქვთ, რაც განსაკუთრებით იგრძნობა თურქეთიდან გადმოსახლებულ ჯავახელ სომხებში.

საკ. ინფ.

იუმორი

უგონოდ მთვრალი კაცი ტაქსში ჯდება.

– საით? – ეკითხება მძღოლი.

– რა შენი საქმეა? – უყვირის მთვრალი.

* * *

კაცი რეკავს სახანძროში:

– ალო, ჩქარა მოდით, ხანძარია!

– არ ჩააქროთ, მოვდივართ!

* * *

ახალი წლის ღამეს სვანი აივანზე გამოვა, თოფს ვერ იპოვნის და ხანჯლის ქნევას დაიწყებს.

***

– ჩემს ჯანმრთელობაზე ჰოროსკოპის მიხედვით იუპიტერი მოქმედებს. შენზე?

– ჩემზე – ურანი!

– მაგ ნიშნით დაიბადე?

– არა, ჯარში ვიყავი ჩერნობილში.

***

გურული ეკითხება სადგურის მორიგეს:

– ოზურგეთის მატარებელი მალე ჩამოვა?

– დღე-დღეზე ველოდები, – დაამთქნარა მორიგემ.

***

ოსი სასწრაფოში რეკავს:

– ალო, სასწრაფოა?

– დიახ!

– სასწრაფოდ ასი ლარი მჭირდება!

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge